გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
კვირა, 19 ივნისი, 2005 წელი.
№144 (5177)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნდოვანი სიცრუეა, ცრუილობით და ჩრჩილით ბუნტის გაცდანა ყველა უნაპირისობაზე უსამართლობაა.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

**საეკლესიო კალენდარი**



## დღეს, 19 ივნისს – სულთმოფენობაა

ქრისტეს წმიდა ეკლესია აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს სულთმოფენობის დღესასწაულს აღნიშნავს.

და როცა სრულდებოდა აღდგომიდან 50-ე დღე, ყველანი ერთად იყვნენ ერთ ადგილას და უცებ იგვრგვინა ზეცით, თითქოს გრიგალი აგუგუნდაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ და მოევლინათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თვითოეულ მათგანს. და აღივსენ ყველანი სულით წმიდით და სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ, როგორც სული ამეტყველებდა.

## პოლიციელები საკუთარი თანამშრომლების ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ?



ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, დაკავებულებს რომ სცემენ და აწამებენ, ამაში ახალი არაფერია. საზოგადოება ამ მდგომარეობას კარგა ხანია როგორღაც „შეეგუა“. მაგრამ ფაქტი, რომლის შესახებაც უნდა გიამბოთ, პოლიციელთა მიერ საკუთარ კოლეგაზე შურისძიებას ეხება. ყველაფერი ასე დაიწყო...

იხ. მე-2 გვ.



ქვეყანაში ლამის ყველა საწარმოსა თუ ორგანიზაციის კუთვნილ ტექნიკურ აღჭურვილობას, მიწის ნაკვეთებსა და, უბრალოდ, სამუშაო ფართებს მაინცდამაინც ყოფილი დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები და ბუღალტრები დაეპატრონენ, ხოლო მრავალი რიგითი მუშაკი, რომელმაც წლები შეალია ამა თუ იმ ორგანიზაციაში მუშაობას, „წითელმა დირექტორებმა“, რომ იტყვიან, „მშრალზე დატოვეს“.

## ასეთი პრივატიზება მართლაც „ბასიანის“ ომია

იხ. მე-4 გვ.

## სიკვდილის ყველა კარი ჩარაზა, ანუ სიცოცხლე სამ საუკუნეში

**ვის აჩუქა ფული რაჭაში სიძედ ჩასულმა სოსო ჯუღაშვილმა?**

იხ. მე-4 გვ.



## ქართული სახელმწიფოს მაჯისცემა

### პრეზიდენტის გუშინდელი დღე

თელავის რაიონის სოფელ შაქრიანში 18 ივნისს ახლადგახსნილ ბანაკში რეზერვისტთა სრული შემადგენლობა დილიდან შეიკრიბა. ეს რეგიონში შექმნილი პირველი სარეზერვო ბანაკია, თუმცა კი კახეთს ოსიაურში გაწვრთნილი რეზერვისტთა ერთი ბატალიონი უკვე ჰყავს.

რეზერვისტების შეკრებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.

შაქრიანიდან პრეზიდენტი ლაგოდეხს ეწვია და მოსწავლეთა ბანაკი მოინახულა, მან ბავშვებთან ერთად საქართველოს ჰიმნი იმღერა, ფეხბურთი ითამაშა და იცეკვა.

კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილის თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება სულ რაღაც ათი დღეა ბანაკის შექმნაზე მუშაობს, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოხალისეთა სურვილი, რომ მაქსიმუმის გაკეთება მცირე დროში შეძლეს.

ბანაკი მთელი ზაფხულის და შემოდგომის განმავლობაში იარსებებს და კიდევ უფრო დაიხვეწება.

* * *

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სტიქიით დაზარალებული დუშეთიც მოინახულა და ხალხს დახმარება აღუთქვა.

### იქნებ ჯერ რეგლამენტი მოეწესრიგებინათ...

**საგაზაფხულო სესიის ბოლოს წინა კვირა პარლამენტმა ისე დაასრულა, რომ ყველა საკითხის განხილვა ვერ მოასწრო.** ათამდე კანონპროექტი პარლამენტს მისაღები დარჩა. დარჩენილ პროექტებს მომავალ კვირას დაგეგმილ რიგგარეშე სხდომაზე მიიღებენ. კენჭისყრების დაუსრულებლობის მიზეზი პარლამენტის რეგლამენტი გახდა, რომლის მიხედვითაც ცხრა საათის შემდეგ პარლამენტს კენჭისყრის ჩატარება აღარ შეუძლია.

პარლამენტმა ვერ მოასწრო, ჩამოეყალიბებინა საკუთარი პოზიცია აეროპორტის მშენებლობის ტენდერის კანონიერებაზე. პარლამეტმა ამ საკითხის შესახებ მომხსენებელთა ჯგუფის ჩამოყალიბებაც კი ვერ მოახერხა. ასეთი ჯგუფის ჩამოყალიბება მემარჯვენე დავით გამყრელიძემ მოითხოვა.

საგაზაფხულო სესია 24 ივნისს დაიხურება.

### წყალდიდობა აფხაზეთში

**გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩეში 18 ივნისს მდინარე კალაპოტიდან გადავიდა და სოფელი დატბორა.** საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რომლის ბოძებსაც წყალმა შეიძლება საძირკველი შეურყიოს. გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თემურ ეშბას თქმით, წყალმა „თითქმის დაფარა ვარჩე, გადარჩა მხოლოდ პატარა კუნძული, რომელზეც რამდენიმე საცხოვრებელი სახლი დგას.“ წყალდიდობამ სერიოზული ზიანი მიაყენა სოფელ ვლადიმიროვკას, სადაც წყლის დონემ საცხოვრებელი ბინების პირველ სართულებს მიაღწია. ზარალს ვერც ოჩამჩირის რაიონი გადაურჩა. სოფელ მერკულაში მდინარე მოქვის ადიდებამ სოფლის მეურნეობის ნაკვეთების დატბორვა გამოიწვია.

**ჯი-ეიჩ-ენი.**

**საზღვარგარეთ**

სუდანის მთავრობამ ოპოზიციასთან დადო ხელშეკრულება დაზავების შესახებ. ამ დოკუმენტმა ბოლო უნდა მოუღოს პოლიტიკურ კონფლიქტს, რომელიც დაახლოებით თხუთმეტი წელია გრძელდება



და განამტკიცოს ქვეყნის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებს შორის წინათ დადებული სამშვიდობო შეთანხმებები. დაზავების მიღწევა მხარეებმა შეძლეს მას შემდეგ, რაც თითქმის ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში სუდანის მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა მოლაპარაკება.

* * *

„არსებობს იმის საფუძველი, რომ ვილაპარაკოთ ყირგიზეთში კონტრრევოლუციაზე, რომელსაც ას-



კარ აკაევის რეჟიმის მომხრეები აფინანსებენ“, – განაცხადა ყირგიზეთის ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა დანიარ უსენოვმა. როგორც მან აღნიშნა, ამჟამად ყირგიზეთის გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმეები ქვეყნის დედაქალაქ ბიშკეკში ხულიგნობისა და მასობრივი უწესრიგობის ორგანიზების ფაქტების გამო.

* * *

ნიუ-იორკში, გაეროს შენობასთან ჩამოვარდა მეორე ვერტმფრენი. ვერტმფრენში იმყოფებოდა პილოტი და ხუთი მგზავრი. ისინი ამოიყვანეს წყლიდან შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მისულმა მაშველებმა. სამ ადამიანს დასჭირდა სამედიცინო დახმარება, რომლებიც საავადმყოფოებში მოათავსეს.

* * *

ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ გადასცა აზ-ზავაჰირის ახალი გამოსვლა. ვიდეოფირზე იგი აღბეჭდილია შავზოლებიან თეთრ ტანსაცმელში. თავის გამოსვლაში აიმან აზ-ზავაჰირიმ დაგმო ამერიკელთა ჩარევა არაბული ქვეყნების საქმეებში და განაცხადა, რომ შეიარაღებული ჯიჰადი არის არაბული სამყაროს შეცვლის ერთადერთი საშუალება.

**კვირის თვალსაწიერი**

# კოკოითის კვერცხი, კვირაიას გაკვეთილი და მდუღარე ქვაბი



**გასული კვირა „სამხრეთ ოსეთის“ თემით იყო გაჯერებული.**

**ცხინვალის რეგიონში ვითარება კვლავ გართულდა. 6 ივნისს ოსების მიერ გატაცებული ოთხი ქართველის ბედი ისევ გაურკვეველია, ჯერჯერობით ვერც მკვდრები და ვერც ცოცხლები ვერ იპოვეს.**

ვრცელდება სხვადასხვა ხმა (ხანდახან უმაღლეს დონეზეც კი), რომელიც არანაირად არ მტკიცდება.

15 ივნისს, უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყების წინ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ქართველი მხარისთვის ცნობილია, სად იმყოფებიან გატაცებული ქართველები, ასევე ისიც, თუ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაულიო.

გატაცებული მამუკა ხაჭაპურიძის ძმა ლევანი აცხადებს, ვიცი გატაცებულები ცოცხლები არიანო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გატაცება შურისძიების მიზნით მოხდა, ორგანიზატორები ცხინვალის ე. წ. „ტექსტილის“ დაჯგუფების წევრები რუდიკ ბესტაევი და აცამაზ კოჩიევი არიანო.

ერთი სიტყვით, ყველამ ყველაფერი იცის, ადამიანები კი უკვე ორი კვირაა, არ ჩანან.

კოკოითს ხელისუფლებას ასეთი ფეთქებადსაშიში სიტუაცია ხელს აძლევს.

იხ. მე-2 გვ.

## მართლა ასე გაიზარდა შობადობა?

იხ. მე-3 გვ.



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## ევროკავშირის ქვეყნების მეთაურები მიესალმებიან საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანას

**ბრიუსელში გამართული ევროკავშირის სამიტის მონაწილეები მიესალმნენ რუსეთის გადაწყვეტილებას 2008 წლამდე საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გამოტანის შესახებ.** ეს ხაზგასმულია „ევროპის საბჭოს დასკვნებში“, – დოკუმენტში, რომელიც მიიღეს საბჭოს სხდომის – ევროკავშირის წევრი 25 ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სრულუფლებიანი ფორუმის შედეგების მიხედვით. სამიტის მონაწილეებმა ასევე მხარი დაუჭირეს იმას, რომ რუსეთმა სრული მოცულობით შეასრულოს 1999 წელს სტამბოლის ეუთოს სამიტზე ნაკისრი ვალდებულებები. ევროკავშირის ლიდერებმა მოიწონეს ასევე ევროკავშირ-რუსეთის სამიტის შედეგები, რომელიც 10 მაისს გაიმართა მოსკოვში.

**რია „ნოვოსტის“ საინფორმაციო სააგენტო, 18 ივნისი.**

## ქართული ლოკოკინები – საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში

**პარასკევს, მოსკოვის დროით 3 საათსა და 9 წუთზე, ბაიკონურის კოსმოდრომიდან საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ აიღო სტარტი „სოიუზ“ მატარებელმა-რაკეტამ „პროგრეს“ სატვირთო ხომალდთან ერთად.**

ხომალდს მიაქვს 2,5 ტონა ტვირთი: მოწყობილობის მუშაობისთვის საჭირო სათბობი, კვების პროდუქტები და წყალი, აგრეთვე, ჟანგბადი. გარდა ამისა, იგი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში ჩაიტანს კიდევ საკმაოდ უჩვეულო ტვირთს: ლოკოკინების დამატებით პარტიას. „ქართული ვაზის ლოკოკინებს, მათი წინამორბედებისგან განსხვავებით, ახლა ორბიტაზე მოუწევთ არა ორი, არამედ ოთხი თვის გატარება“, – აღნიშნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა გივი გორგილაძემ. როგორც მან თქვა, სატვირთო ხომალდი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში 60-მდე ლოკოკინას ჩაიტანს. სატვირთო ხომალდის სადგურთან შეპირიპირება 19 ივნისისთვის არის დანიშნული.

**ბი-ბი-სის რუსული სამსახური. 18 ივნისი.**

**ანონსი**

## ამერიკელი ექსპერტი არ გამორიცხავს შეიარაღებულ კონფლიქტს კასპიის რეგიონში

„ახალი საომარი ტენდენციები კასპიის რეგიონში“ – ასე დაასათაურა თავისი სტატია ცნობილმა ამერიკელმა სამხედრო ექსპერტმა, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამხედრო კოლეჯთან არსებული სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის პროფესორმა სტივენ ბლანკმა, როგორც იგი წერს, „ამ ბოლო ხანებში, რუსეთის, ირანის და ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თანამიმდევრულად იტყობინებიან, რომ ამერიკელები ქმნიან სწრაფი რეაგირების მობილურ ჯგუფებს და თვით სამხედრო ბლოკსაც კი კასპიის ზღვის ირგვლივ. ასეთი ინფორმაციები ვრცელდება იმის მიუხედავადაც კი, რომ ყოველივე ეს არაფრით არ არის დასაბუთებული.

ЭХО „ექო“ (ბაქო), 18 ივნისი.

ვრცლად შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 144. კვირა, 19 ივნისი, 2005 წელი.

◎ წადი და გაიგე...

# პოლიციელები საკუთარი თანამშრომლების ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ?

**ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, დაკავებულებს რომ სცემენ და აწამებენ, ამაში ახალი არაფერია. საზოგადოება ამ მდგომარეობას კარგა ხანია როგორღაც „შეეგუა“. მაგრამ ფაქტი, რომლის შესახებაც უნდა გიამბოთ, პოლიციელთა მიერ საკუთარ კოლეგაზე შურისძიებას ეხება. ყველაფერი ასე დაიწყო...**



შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის თემურ რევაზიშვილის განცხადებით, იმავე დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კოდუამ მას ნარკოტიკების ერთ-ერთი გამსაღებლის წინააღმდეგ საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტა და რეალიზატორთან თანამშრომლობა სთხოვა, საამისოდ კი რეალიზაციიდან შემოსული თანხების განაწილება შესთავაზა, რაზედაც რევაზიშვილისგან უარი მიიღო. თავად რევაზიშვილმა ამ შეთავაზების შემდეგ პატაკი დაწერა სამსახურიდან წამოსვლის თაობაზე. ერთი კვირის შემდეგ, თანამშრომლების თხოვნით, ის სამსახურში დაბრუნდა და კოლეგებს დეპარტამენტში არსებული ბინძური გარიგებებისა და ნარკობარონთა მფარველობის შესახებ უამბო, რის შემდეგაც უფროსობასა და რევაზიშვილს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გამწვავდა.

2005 წლის 21 მაისს რევაზიშვილი მისმა თანამშრომელმა და მეგობარმა კახა მირუაშვილმა მოტყუებით წყნეთისკენ წაიყვანა. მოგვიანებით იქ დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი კოდუა და მისი მოადგილე კახა მისირელი რამდენიმე თანამშრომელთან ერთად მივიდნენ. კოდუა და მისირელი მისგან ნარკოტიკების გასაღებაში მონაწილეობასა და მექრთამეობის აღიარებას ითხოვდნენ. თან შვიდივე თანამშრომელი სასტიკად სცემდა. მას შემდეგ, რაც რევაზიშვილისგან უარი მიიღეს, მოკვლა დაუპირეს. იგი აცხადებს, რომ თავს გაქცევით უშველა, — ხევში გადახტა, გზაზე პირველივე შემხვედრი მანქანა გააჩერა და იქაურობას გაეცალა. მისი თქმით, დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაქცეულს ცეცხლსასროლი იარაღის ჯერი მიაყოლეს: „მიუხედავად ტკივილისა, გავრბოდი, კარგად ვიგრძენი, როგორ ჩამიარა ტყვიამ თავთან ახლოს“, — ამბობს რევაზიშვილი.

წყნეთთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ რევაზიშვილმა სამედიცინო ექსპერტიზა გაიარა, რომლის შედეგადაც ცემის ფაქტი დასტურდება. 23 მაისს კი მან გენერალურ პროკურატურას განცხადებით მიმართა და საქმის გამოძიება მოითხოვა. განცხადებაში იგი ოპერატიული დეპარტამენტის იმ თანამშრომლების ვინაობასაც ასახელებს, რომლებიც მის ცემაში მონაწილეობდნენ.

რევაზიშვილი დეპარტამენტში არსებულ სხვა დარღვევებზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებს, თუმცა ამბობს, რომ გამოძიებასთან აქტიურად ითანამშრომლოს.

რევაზიშვილის ადვოკატი გოჩა სიღრაშვილი აცხადებს, რომ პროკურატურას ამ ფაქტზე მოკვლევაც კი არ ჩაუტარებია. იგი ვალდებულია, მომხდართან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება, მაგრამ... იქნებ ტყუის რევაზიშვილი და ვინმეს ცილს სწამებს? ფაქტიც კი არ გადამოწმებულა. ამასთან, რევაზიშვილის ოჯახს ემუქრებიან, აშინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ, — განაცხადა სიღრაშვილმა. მისივე თქმით, გაჩუმების შემთხვევაში რევაზიშვილს სამსახურში დაბრუნებას და დიდ თანამდებობაზე დანიშვნას ჰპირდებიან.

თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი კოდუა ასეთ კომენტარს აკეთებს: — ეს ყველაფერი ტყუილია. რევაზიშვილმა შეიტყო, რომ შსს-ს გენერალური ინსპექცია ქრთამის აღების ფაქტზე მის მიმართ მოკვლევას აწარმოებდა. როგორც წესი, მოკვლევის პროცესში თანამშრომელი ამ ინფორმაციას არ ფლობს, რათა შემდეგ რაიმე ფანდს არ მიმართოს. რევაზიშვილის შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა, მან განთავისუფლების თაობაზე განცხადება დაწერა და სიტუაცია სათავისოდ შეაბრუნა.

კოდუას მოადგილე კახა მისირელს კი რევაზიშვილის ნაამბობზე კითხვა უჩნდება: — თუ შვიდი ადამიანი ესროდა, ერთიც ვერ მოხვდა? ან გაქცეული შემხვედრ მანქანაში რომ ჩაჯდა, ნომერი ან მძღოლის ვინაობა რატომ არ დაიმახსოვრა, ის ხომ ოპერატიული თანამშრომელია?

ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მსგავს ბრალდებებს ამ უწყების კიდევ ერთი ყოფილი თანამშრომელი გიორგი ხუხია უყენებს. იგი ამბობს, რომ მისმა ერთ-ერთმა ინფორმატორმა (შსს-ს ყოფილმა თანამშრომელმა, ამჟამად კი ნარკოტიკების მომხმარებელმა), ხუხიას აცნობა, რომ კახა მისირელი ნარკოტიკების გამსაღებლებს მფარველობდა. ხუხიამ ინფორმაცია შსს-ს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსს ლაშა არველაძეს მიაწოდა.



21 მაისს გიორგი ხუხია მისირელის კაბინეტში დაიბარეს, სადაც მას, როგორც თავად ჰყვება, დეპარტამენტის უფროსი ირაკლი კოდუა, მისი მოადგილე კახა მისირელი, დეპარტამენტის კიდევ ორი თანამშრომელი და ის ინფორმატორი დახვდა, რომელმაც ცოტა ხნით ადრე ხუხიას ის ავბედითი ინფორმაცია მიაწოდა. მან, ცხადია, ხუხიასათვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტი უარყო. ხუხია აცხადებს, რომ მისირელმა სატაბელო იარაღის კონდახი თავში რამდენჯერმე ჩაარტყა და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. მისი თქმით, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მისგან მექრთამეობისა და ნარკოტიკების გამსაღებლებთან თანამშრომლობის აღიარებას და სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადების დაწერას ითხოვდა. ხუხიას სხეულის დაზიანებებს ასევე ადასტურებს სამედიცინო ექსპერტიზა.

საქმის გამოძიების თხოვნით ხუხიამაც გენერალურ პროკურატურას მიმართა, თუმცა მას ჯერჯერობით არანაირი ღონისძიება არც აქ განუხორციელებია.

თავად დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე კახა მისირელი აცხადებს, რომ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, ხუხია ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რაც ოპერატიულ თანამშრომელს უნდა ჰქონოდა, ალბათ, სამსახურიდან წასვლაც ამიტომ გადაწყვიტაო.

ორივე საქმეში აქტიურად ჩაერთო „თავისუფლების ინსტიტუტი“. იგი საქმის სასწრაფო და მიუკერძოებელი გამოძიების მოთხოვნით მიმართავს გენერალურ პროკურატურას და შსს-ს გენერალურ ინსპექციას. — კოდუას საქმიანობის შესახებ ბევრი ცუდი მსმენია, ამიტომ ამ ადამიანების განცხადება არ გამკვირვებია. მე პროკურატურა არ ვარ, რომ საქმე გამოვიძიო, მაგრამ ის რომ ცემის ფაქტი ორივე შემთხვევაში ნამდვილად მოხდა, ეს აშკარაა, ამას ექსპერტიზის დასკვნებიც ადასტურებს. უახლოეს მომავალში განცხადებით სახალხო დამცველსაც მივმართავთ, — აცხადებს თეა თუთბერიძე.

რევაზიშვილს და ხუხიას იმედი აქვთ, რომ გამოძიება მიუკერძოებლად წარიმართება და ყველა დამნაშავე დაისჯება.

**ლელა ხვადაგიანი.**

◎ გამოსათხოვარი

# ვლადიმერ (ლადო) ბახუტაშვილი

**საქართველოს სამეცნიერო და სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, — გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, მკვლევარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვლადიმერ (ლადო) ბახუტაშვილი.**



ბატონმა ლადომ ცხოვრებისა და საექიმო მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლო. სამედიცინო ტრადიციების მქონე ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა საექიმო განათლებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ეზიარა და თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში თავდადებით იღვაწა მეცნიერების სამსახურში.

ქართული მედიცინის გამოჩენილი მოღვაწეების მხარდამხარ იხვეწებოდა და მდიდრდებოდა ახალგაზრდა მკვლევარის მეცნიერული აზროვნების პოტენციალი. მათი გავლენის შედეგად ბატონი ლადო ეზიარა სამედიცინო მეცნიერების საფუძვლებს და შემდგომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მამულიშვილური თავდადებით ემსახურა ქართული მედიცინის წინსვლას.

ბატონი ლადო ყოველმხრივ განსწავლული, ჭეშმარიტი მეცნიერი და მკვლევარი იყო, რომელიც არა მხოლოდ ნერგავდა და პრაქტიკულად იყენებდა უკვე მიღწეულს, არამედ მთელი თავისი მონდომებითა და შესაძლებლობებით ხელს უწყობდა სამედიცინო მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას. აღნიშნულის ჭეშმარიტი მაგალითია მისი თაოსნობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ბიოტექნოლოგიური მეცნიერების კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

დიდია ბატონი ლადოს დამსახურება ქართული სამედიცინო მეცნიერების საერთაშორისო მასშტაბით აღიარების საქმეში. მისი და მისი მოწაფეების ფუნდამენტურ შრომებს კარგად იცნობენ და ჯეროვან შეფასებას აძლევენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები.

მისი ავტორობით შესრულებულია 300-ზე მეტი სამეცნიერო თუ პრაქტიკული მნიშვნელობის ნაშრომი, 5 მონოგრაფია, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 50-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები, რომლებმაც პრაქტიკული ასახვა ჰპოვეს როგორც სამამულო, ისე უცხოურ სამედიცინო აზროვნებაში.

ბატონ ლადოს განსაკუთრებით იტაცებდა ახალგაზრდა კოლეგებთან ურთიერთობა. ყოველმხრივ მზად იყო თავისი კეთილი დამოკიდებულება გამოეხატა მათი პროფესიული დაოსტატების, ეთიკურ-ზნეობრივი სრულყოფის მიზნით. პედაგოგის ასეთ ზრუნვას სიყვარულითა და ერთგულებით პასუხობდნენ მომავალი სპეციალისტები.

ბატონი ლადო საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში აქტიურად იყო ჩაბმული და მისი ყოველი ნოვატორული წამოწყება ფართე საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობდა. მას დიდად ახარებდა ყოველივე ის, რაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების დადებით პროცესებთან იყო დაკავშირებული.

ბატონი ლადო დიდად ამაყობდა ძირძველი თბილისელობით, ხარობდა დედაქალაქის ცხოვრებაში დამკვიდრებული დადებითი ტრადიციებით, სიახლეებით, განახლებული ქუჩებითა და უბნებით.

სახელოვანი მეცნიერის, ქვეყნის მოჭირნახულე პატრიოტის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ჩვენი საზოგადოებისათვის, მაგრამ რჩება იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორი ერთგულებითა და თავდადებით უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, ხალხს, პროფესიას. ეს არის ის ამქვეყნიური ვალი, რომელიც პირნათლად მოიხადა ბატონმა ლადომ.

**ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ლადო ჭიპაშვილი, გიგი წერეთელი, ნიკოლოზ ფრუიძე, ფრიდონ თოდუა, დავით თელია, გიორგი მენაბდე.**

◎ მხარე

# ჩუ, შტაბის უფროსი ფიქრობს!

**გუშინ ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რწმუნებული კახა არდია რუსეთის სამშვიდობო ძალების გენერალური შტაბის უფროსს ევნევიჩს შეხვდა. საუბარის თემა, ძირითადად საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის საკითხი იყო.**

პრეზიდენტის რწმუნებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების სქმიანობასაც შეეხო და რუს გენერალს მათი მხრიდან ხულიგნური ფაქტების აღკვეთა კატეგორიულად მოსთხოვა. „მათი ასეთი საქციელის გამო ვითარება კიდევ უფრო იძაბება, ამიტომ სამხედრო ხელმძღვანელობამ საგუშაგოებზე დისციპლინის დამყარებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს“, — უთხრა შტაბის უფროსს მხარის რწმუნებულმა.

ამ შენიშვნასთან დაკავშირებით ევნევიჩს კონკრეტული კომენტარი არ გაუკეთებია, ზედაპირულად კი აღნიშნა, რომ რუსული მხარე ამ საკითხებზე „იფიქრებს“.

◎ დოკუმენტი

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2005 წლის 7 ივნისი ქ. თბილისი

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის — დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ„ ქვეპუნქტისა და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34- ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი — დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი (შემდგომში — მუზეუმ-ნაკრძალი).
2. დამტკიცდეს მუზეუმ-ნაკრძალის თანდართული დებულება.
3. მუზეუმ-ნაკრძალის სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ. მასვე დაევალოს მუზეუმ-ნაკრძალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.
4. მუზეუმ-ნაკრძალს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცეს ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთაში მდებარე მაჩაბლების ყოფილი სახლი, ხოლო მოძრავი ქონება გადაეცეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს მუზეუმ-ნაკრძალთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება ამ ბრძანებულების მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით.

**მიხეილ სააკაშვილი.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2005 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი

### „საქართველოსა და ერაყს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე“ შეთანხმების დადების შესახებ

ნოტების გაცვლის გზით დაიდოს შეთანხმება „საქართველოსა და ერაყს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე“.

**მიხეილ სააკაშვილი.**

## საქართველოს მთავრობის დადგენილება

2005 წლის 10 ივნისი ქ.თბილისი

### „საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი საპატრულო კატარღის ჩამოწერისა და დავალიანების დასაფარავად უკრაინის სახელმწიფო კომპანია „უკრსპეცექსპორტისათვის“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 სექტემბრის №82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად „საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი საპატრულო კატარღის ჩამოწერისა და დავალიანების დასაფარავად უკრაინის სახელმწიფო კომპანია „უკრსპეცექსპორტისათვის“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 სექტემბრის №82 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი საპატრულო კატარღის ჩამოწერის შესახებ“.

2. დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (ი. ოქრუაშვილი) ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბალანსიდან ჩამოწეროს საპატრულო კატარღა „ბორტი №301“.

**პრემიერ-მინისტრი**
**ზურაბ ნოღაიდელი.**

## საქართველოს მთავრობის განკარგულება

2005 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დანიალ ახმეტოვის მიმდინარე წლის 3-4 ივნისს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ვ. ჩეჩელაშვილი) „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიას გამოუყოს 59 870 (ორმოცდაცხრამეტი ათას რვაას სამოცდაათი) ლარი.

**პრემიერ-მინისტრი**
**ზურაბ ნოღაიდელი.**

◎ კვირის თვალსაწიერი

# კოკოითის კვერცხი, კვირაიას გაკვეთილი და მდუღარე ქვაბი

(პირველი გვერდიდან)

ის შიშობს, რომ საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანა, „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას ბოლოს მოუღებს, საქართველოს ხელისუფლებას ამ რეგიონზე კონტროლის აღდგენის შესაძლებლობას მისცემს.

გავრცელდა ცნობა, რომ კოკოითმა თავისი მთავრობის დახურულ სხდომაზე განაცხადა: სამწუხაროდ, რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ და ვაღიაროთ, რომ ჩვენ არა ვართ აფხაზეთის რესპუბლიკა. რუსეთი აფხაზეთს კბილებით ჩაეჭიდება, ყველაფერს იღონებს, რომ ეს მდიდარი, სტრატეგიული და პერსპექტიული მხარე მიიერთოს და ამის საფასურად სამხრეთ ოსეთი საქართველოს იმპერიალისტურ ძალებს ჩაუგდოს ხელში... ამიტომ დროში უნდა მოვიგოთ და სასწრაფოდ გავამყაროთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, სანამ რუსეთი ჯერ კიდევ ერთნაირად უჭერს მხარს ოსეთს და აფხაზეთსო.

მან იცის: რომ რუსეთის პოლიტიკური ძალებს იმედად ყოფნა არ ღირს, მისი რეჟიმის ერთადერთი მხარდამჭერი ძალა რუსეთის გენერალიტეტი და პროკომუნისტური ძალებია და სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობით აპირებს საქართველოსგან სრულ იზოლაციას. აქედან გამომდინარე, მისთვის ერთადერთი გამოსავალი ქართველებთან სამხედრო დაპირისპირებაა, რასაც კონფლიქტში რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევა მოჰყვება.

როგორც ამბობენ, ცხინვალში უკვე გამოჩნდა შეიარაღებული ხალხი, დე ფაქტო ხელისუფლებამ სტრატეგიული სიმაღლეების გამაგრება დაიწყო. არადა, კონფლიქტის ზონაში ყველა სტრატეგიული სიმაღლე თითქმის ერთიანად ოსთა ხელშია.

მოსალოდნელ საფრთხეზე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ლაპარაკობს, — საქართველოს მტრებს ძალიან სურთ, რაიმე სახის პროვოკაცია მოგვიწყონ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ კონფრონტაციაში ჩვენი ჩათრევა. უნდა დავიწყოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი სამშვიდობო გეგმის განხორციელება. დიალოგისთვის მზად ვართო (სამწუხაროდ, ეს სიფრთხილე შარშან ვერ გამოვიჩინეთ, თანაც ცხინვალთან აგვისტოს ავანტიურის შემდეგ შეცდომა კი არ ვაღიარეთ, მიფუჩეჩება, დამალვა ვცადეთ იმისა, რაც მოხდა).

რუსეთის „ქორები“ კოკოითს მეგობრობას უფასებენ. 12 ივნისს „რუსეთის გმირთა კომიტეტის“ წევრები ცხინვალში ჩავიდნენ, ოს „უმცროს ძმებთან“ ერთად „რუსეთის დღე“ აღნიშნეს და კოკოითს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის ე. წ. „მამულის ფარის“ პირველი ხარისხის ორდენი გადასცეს.

რა ხვითოა ეს „რუსეთის გმირთა კომიტეტი“ ან ორდენი „მამულის ფარი“ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ხალხმა დაინახა, რომ მოსკოვიდან „ბატონები“ ჩამოვიდნენ და მათ „პრეზიდენტს“ ბრჭყვიალა ქეტონი გადასცეს. ე. ი. ის მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა!..

ამ დღეებში კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი ამბავი მოხდა. ცეცხლზე ნავთი დაასხა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ახალდანიშნულმა პრეზიდენტმა თეიმურაზ მამსუროვმა. მან „ნოვაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში არც აცივა, არც აცხელა და დაახეთქა — სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს უნდა შეუერთდესო: „ვფიქრობ, მხოლოდ ერთი პერსპექტივა არსებობს. ოსები გახლეჩილი ერია. ჩვენ საბჭოთა კავშირში გაგვყვეს, ამიტომ გაერთიანების გარდა სხვა გზა არ არსებობს“.

ასეთი რამ ალანიის ხელმძღვანელებს შეიძლება უფიქრიათ, მაგრამ აქამდე ხმამაღლა არასოდეს უთქვამთ.

მამსუროვის ვირეშმაკული სვლა გასაგებია. ოსეთის (არ არსებობს ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი, არის მხოლოდ ერთი ოსეთი — ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) მოსახლეობა ამ ახალ, ძალად თავმოხვეულ მეთაურს „ძასოხოვი №2“ უწოდებს და მის გადადგომას მოითხოვს. მის წინააღმდეგ განსაკუთრებით არის ალესილი ბესლანის მოსახლეობა, შარშანდელი ტრაგედიის შემდეგ. და ახლა პატივცემულ თეიმურაზს იდეის დონეზე მაინც „სრულიად ოსური გმირობის“ გამოჩენა და ხალხის მიმხრობა სურს. მისი მიზანი ნათელია, მაგრამ კოკოითმა საკენკი უმალ გადაყლაპა და კაკანიც დაიწყო. ვნახოთ, რა კვერცხსაც დადებს ან ის და ან მამსუროვი.

16 ივნისს ის ტრაგიკომიკური დღეები გამახსენდა, შოთა კვირაია მძიმე ტექნიკითა და ნიღბიანი ჯარით ამერ-იმერში კრიმინალურ ელემენტებს რომ ლაშქრავდა ხოლმე.

კამუფლაჟიანი კოლონა ასობით მეტრზე იჭიმებოდა და გულს უხეთქავდა ისედაც დამფრთხალ მოქალაქეებს, წინასწარ გაფრთხილებული ქურდები და ყაჩაღები კი საგულდაგულოდ მიმალვას ასწრებდნენ.

ეს იყო, იყო...

მერე ახალი ხელისუფლება მოვიდა და ფრიად დაწუნებული ძველისგან სწორედ ხმაურიანი პოლიციური ღონისძიებები გადაიღო.

ახლაც თვალწინ მიდგას როგორ მიარბენინებდნენ კისერში ტორებჩავლებულ მინისტრს ბულა სპეცრაზმელები, როგორ დაეცნენ „იმელში“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ერთი ძმის მაგივრად მეორეს — ჭალარა, სოლიდურ კაცს გადაუგრიხეს ხელები, სწორედ ისე, ზორგე რომ აიყვანეს იაპონელებმა...

ყოველ ასეთ ოპერაციას მთელი რესპუბლიკა ადევნებდა თვალს ტელევიზიის პირდაპირი ჩართვებით.



ვუყურებდით ჯერ შურისძიებით ანთებულნი („ასე მოუხდება მაგ კორუმპირებულს და ხალხის სისხლის მწოველს“!), უფრო სწორად, ღარიბის საუკუნეებრივი სიძულვილით მდიდრისადმი.

მაგრამ მერე და მერე „შურისძიება“ შიშმა შეცვალა — ხალხს არ უყვარს სისასტიკე და პიროვნების აბუჩად აგდება. ის კადრები არა მარტო ტელედაპატიმრებულთა ღირსების შემლახველი იყო, არამედ ტელემაყურებლებისაც.

მძიმედ, უხალისოდ, მაგრამ მაინც ყურად იღო ახალმა ხელისუფლებამ და ეს სისხლმოწყურებული კადრები ტელეეკრანს მოშორდა.

ახლა კი ისევ ვიხილეთ ხელისუფლების მხრიდან ძალის დემონსტრირება.

სამიზნე კაფე „ნიკალა“ იყო.

იმ დროს იქ ათობით ადამიანი უჯდა მაგიდებს. იყო წვეულებაც: ერთი პატარის დაბადების დღეს ზეიმობდნენ. ავტომატიანმა და ნიღბიანმა ჩაკურატებულმა სპეცრაზმელებმა დაზაფრეს დიდებიც და პატარებიც, ამ მამაცური შეჭრის „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ მიერ სინქრონულად გადაცემამ კი — მილიონობით ტელემაყურებელი.

აი, როცა ბუკიას პაწაწკინა სკვერში ეს ცირკისოდენა კაფე შენდებოდა აშკარად უკანონოდ მოპოვებული ნებართვით და ფულით, მაშინ რომ მოგრიალებულიყო ეს ჩვენი თავზარდამცემი სპეცრაზმი, ვინ რას იტყოდა სასაყვედუროდ! ამ „ოპერაციას“ მხოლოდ კუნთების ჩვენების და ბიზნესმენების დაშინების პროპაგანდისტული მიზანი ჰქონდა, თორემ რომელი ბასაევი და დალი ჰასანი ეგულებოდათ იქ ჯავშანტექნიკით, კომპიუტერის ამოღებას ეს ამხელა ალიაქოთი რად სჭირდებოდა?

დიდი ბოდიშები კი იხადა ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით კეზერაშვილმა, ჩემს უნებართვოდ დადგეს ჩემმა თანამშრომლებმა ეს საზიზღარი სპექტაკლიო, მაგრამ ბოდიში არ უშველის, დამნაშავეებს სამხრეები უნდა აახიოს (დავით კეზერაშვილმა პარლამენტს, რომელიც ერთობ შეწუხებულია იმით, რომ „ნიკალას“ შტურმის კადრებმა უმალ შემოირბინა ევროპა, აღუთქვა, დამნაშავეს 10 დღეში დავასახელებო. წინასწარ იმაზე ნერვების აშლა არ ღირს. ამ 10 დღეში დასახელებული მართლა დამნაშავე იქნება თუ მხოლოდ განტევების ვაცი?).

ნაკლებ ღრიანცელი როდი იყო ჩვენს დედა-უნივერსიტეტში, თუმცა იქ ნიღბიანები არ შეცვენილან.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან ლორთქიფანიძემ მარჯვედ და ოპერატიულად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ამ ერთი კვირის წინათ საგანგებო განკარგულებით მისთვის მინიჭებული ფართო უფლებები და სპეციალური ბრძანებით გააუქმა უნივერსიტეტის წესდება და ყველა ფაკულტეტი (მათ ბაზაზე იქმნება 6 ფაკულტეტი, რომლებიც ერთნაირი პროფილის სპეციალისტებს გააერთიანებს), ნავარაუდევია კადრების 60 პროცენტის შემცირება. თან ყველაფერი ელვის სისწრაფით — 2 კვირაში უნდა აღსრულდეს.

ამ სიახლემ უნივერსიტეტი ადუღებულ ქვაბს დაამსგავსა. 17 ივნისს შეიკრიბა დარბაზი (ეს ორგანო გაუქმებული დიდი სამეცნიერო საბჭოს ნაცვალია და უნივერსიტეტის რეფორმების ზედამხედველობა ეკისრება).

მაგრამ აღმოჩნდა, რომ დარბაზი მშვიდობიანი თათბირისთვის სულაც არ იყო განწყობილი, ომის ბილიკზე იდგა!

ცეცხლოვან შეკითხვებს რექტორის მოადგილე ლევან გორდეზიანი უპასუხებდა (თავად ქალბატონი რუსუდანი შეხვედრაზე არ მივიდა). იმ დღეს მის ადგილზე ყოფნას ნამდვილად არ ინატრებდი. ბატონი ლევანი ცდილობდა ხალხი დაერწმუნებინა, არავინ ცდილობს უნივერსიტეტის ავტონომიის ხელყოფას, რეფორმები საჭიროა და ეს თქვენც კარგად იცითო. ის პირადად შეხვედრია ყველა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და თურმე მათგან არანაირ წინააღმდეგობას არ წაწყდომია. ჰოდა, ახლა რამ გადაგრიათო, ისმოდა მის საყვედურიან ხმაში. შემცირებების შესახებ განაცხადა, ეს დამხმარე პერსონალს შეეხება და არა პედაგოგიურ თანამდებობებსო (დღეს უნივერსიტეტში 1000 პედაგოგიური და 500 დამხმარე თანამდებობა ყოფილა). ორკვირიანი ვადა ნუ გაღიზიანებთ, უბრალოდ, ამ პერიოდში რექტორს შესაბამისი ცვლილებების პაკეტი უნდა წარვუდგინოთო.

მაგრამ დარბაზის რეაქცია ძალზე მძაფრი იყო. პროფესორმა ნესტან კირთაძემ ხიდები გადაწვა — ამ უკანონობაზე პროტესტის ნიშნად ჩემს პროფესორულ უფლებამოსილებას ვიხსნიო. პროფესორმა ზურაბ სალიამ კი დარბაზს მოუწოდა, კარები ჩავკეტოთ და არავინ შემოვუშვათ. უნივერსიტეტი ისედაც დაიხურება და ჩვენ, რომელთაც ათეული წლები გაგვიტარებია აქ, ლტოლვილებზე უარეს დღეში აღმოვჩნდებით. და თუ არაფერმა გაჭრა, ჯიბეში ქვები ჩავიწყოთ და პრეზიდენტს სააკაშვილს ვეახლოთო.

ქვებით ანგარიშსწორების პერსპექტივამ ერთი ნაწილი შემრიგებლურ პოზიციაზე დააყენა. პროფესორმა მარიამ ცაცანაშვილმა განაცხადა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის განკარგულებაში და რექტორის ბრძანებაში უამრავი იურიდიული ხარვეზია, მაგრამ პოლიტიკურ შეცდომას ნუ დავუშვებთ, პრეზიდენტს ნუ დავუპირისპირდებითო.

აღშფოთების მიზეზად ისიც სახელდებოდა, არც რექტორს ვიცნობთ წესიერად და, მით უმეტეს, არც იმ ხალხს, ვინც ამ რეფორმებს ხელმძღვანელობსო.

ერთი სიტყვით, ბევრი ფიქრობს, რომ რეფორმები უნივერსიტეტის ნგრევას გამოიწვევს. როგორც ამბობენ, პროფესორმასწავლებელთა ერთი ჯგუფი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

არ ვიცი, საბოლოოდ როგორ წავა საქმე, მაგრამ დღევანდელობა ასეთია: უნივერსიტეტი ორად არის გახლეჩილი თავის პედაგოგ-სტუდენტებიანად და ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძეს მძიმე რექტორობა ელის. არადა, რეფორმა რომ საჭიროა (ოღონდ, არა ასეთი რევოლუციური გზით), ესეც ფაქტია.

**ალეკო ასლანიშვილი.**

◎ მშენებლობა

# მშენებლობაში თბილისი ლიდერობს

**სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წლის იანვარ-აპრილში სამშენებლო საწარმოების მიერ გამოშვებულმა პროდუქციის მოცულობამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰ-დენიზის გაზსადენის მშენებლობების გარეშე 91 მილიონი ლარი, ანუ მთლიანად სამეწარმეო სფეროში შექმნილი პროდუქციის 6,9 პროცენტი შეადგინა, რაც 1,7 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

ზოგადად, წარმოებული პროდუქციის 7 პროცენტი სწორედ სამშენებლო საწარმოებზე მოდის. სამშენებლო სახეობებს რაც შეეხება, მისი მოცულობის უდიდესი ნაწილი, 93,5 პროცენტი, უშუალოდ შენობა-ნაგებობების მშენებლობას უჭირავს (საერთო ღირებულებით 85, 1 მილიონი ლარი). წარმოებული სამშენებლო პროდუქციის 64,9 პროცენტი თბილისზე მოდის (ანუ მთელი 10,8 პროცენტით ნაკლები შარშანდელთან შედარებით), შემდეგ ადგილზე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონია (13, 4 პროცენტი).

აჭარის წილი სამშენებლო პროდუქციის მოცულობაში 6, 6 პროცენტია, ანუ 3 პროცენტით მეტი გასულ წელთან შედარებით. უკანასკნელი ადგილზე საქართველოს რეგიონებს შორის გურიაა: გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში მას მინიმალური 0,1 პროცენტი უჭირავს.

რაც შეეხება 2005 წლის იანვარ-აპრილში სამშენებლო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობას, მათ რიცხვმა 17 ათასი კაცი შეადგინა, რაც თითქმის 2 ათასით მეტია შარშანდელთან შედარებით.

№ 144, კვირა, 19 ივნისი, 2005 წელი.

◉ კანონმდებლები

# ვინ ასხამს ხალხს თავზე პიურეს და ვინ აფარებს ხელს კეზერაშვილს?

**გუშინწინდელი პარლამენტის პლენარული სხდომის ძირითად განსახილველ თემად კაფე „ნიკალას“ დარბევის ფაქტი იქცა. იმას, რასაც ფინანსური პოლიცია მორიგ სპეცოპერაციად მიიჩნევს, დეპუტატებმა სწორედ დარბევა უწოდეს. საქმეში გარკვევა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტებს დაავალა. მათ ფინანსური პოლიციის უფროსი უნდა მიეწვიათ. დავით კეზერაშვილმა, როგორც ჩანს, კარგა ხანს ვერ მოიცალა, ბოლოს კი მოვიდა მშვიდი და მომღიმარი სახით. არადა, პლენარულ სხდომაზე მისდამი ბევრი მწარე სიტყვა იყო გამოთქმული. ნინო ბურჯანაძემ ეს ოპერაცია სპეცრაზმელთა დემორალიზაციის საფუძვლადაც მიიჩნია.**

დავით გამყრელიძემ ფინანსთა მინისტრის დასჯა მოითხოვა, თუნდაც სამსახურიდან გათავისუფლებით:

— ჩვენ რიგითი მუშაკების პასუხისმგებლობის საკითხი არ გვაინტერესებს. ფინანსთა მინისტრი თავის კეზერაშვილიანად უნდა გადაჰყვეს ამ ამბებს.

დანაშაული ფინანსური პოლიციის უფროსმაც იგრძნო (ან აგრძნობინეს) და ბოდიში მოიხადა საგანგებო ბრიფინგზე. მისი თქმით, ოპერაცია სხვაგვარად იყო დაგეგმილი — სპეცრაზმი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩარეულიყო. როგორც ჩანს, განტევების ვაცად კეზერაშვილის მოადგილის მხეიძეს გამოყვანას აპირებენ. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილიც ამბობდა, კაფეში შესვლისთანავე სპეცრაზმის გამოყენების გადაწყვეტილება, ალბათ, ოპერაციის დაწყებისას მიიღო იქ მყოფმა რომელიმე თანამდებობის პირმაო. თუმცა, ჯერჯერობით არ დაკონკრეტებულა, უკიდურეს აუცილებლობად რა მიიჩნია ამ მავანმა თანამდებობის პირმა — დაბადების დღის აღმნიშვნელი ბავშვებისგან იგრძნო საფრთხე თუ იარაღი დაუნახა რომელიმე მიმტანს.

— თუ დავით კეზერაშვილმა არ იცოდა, რას აპირებდნენ, ცუდი ხელმძღვანელი ყოფილა და პასუხი უნდა აგოს, თუ იცოდა და გააკეთა, ასევე ცუდი ხელმძღვანელია და ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა აგოს პასუხი, — ორივე მხრივ გადაუჭრა გზა ფინანსური პოლიციის უფროსს დავით ბერძენიშვილმა. ბოდიშის მოხდა მან სწორ ნაბიჯად მიიჩნია, თუმცა საქმის ამით დასრულება, მისი აზრით, დაუშვებელია.

— ის, რაც მოხდა, გაგრძელებაა სახელმწიფო პოლიტიკისა, რომლის მიხედვითაც ყველა, ბიზნესმენი, კაფეში სადილად შესული მოქალაქე, ბავშვი თუ მოხუცი შიშისა და წნეხის ქვეშ უნდა იყოს მოქცეული. მალე ვნახავთ, კეზერაშვილის ბოდიში ყელზევით ნათქვამი სიტყვაა, თუ ამ პროცესებისგან გამიჯვნის რეალური მცდელობა. თუ მან მართლაც არ იცოდა, რა მზადდებოდა, მის პირველ მოადგილეს მაინც ეცოდინებოდა. ხოლო თუკი მანაც არ იცოდა, ძალიან ცუდად გვქონია საქმე — ხვალ შეიარაღებული რაზმი, ალბათ, რომელიმე ჩვენგანს შეუვარდება ოფისში.

ბერძენიშვილის მსგავსად, კეზერაშვილის ჟესტი — ბოდიშის მოხდა — ზვიად ძიძიგურმაც მოიწონა, თუმცა, ისიც დასძინა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდაო:

— იმასაც მოგახსენებთ, რომ დავით კეზერაშვილი გულწრფელი არ



არის. ამბობს, არაფერი ვიცოდიო, მაშინ როცა რამდენიმე კვირის წინათ ასეთივე ფორმით დაარბიეს კაფე „მარენო“ და გულები დაუხეთქეს იქ მყოფ ხალხს. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ კამერების თანხლებით არ დაურბევიათ. იმედი მაქვს, გუშინდელი ვანდალიზმის გამო პასუხისმგებელი ადამიანი დაისჯება.

სპეცოპერაციად წოდებული დარბევის გასაშუქებლად ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიწვევას ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობის მახინჯ ფორმად მიიჩნევს.

— არც ერთ ქვეყანაში არ გამიგია, სპეცოპერაციაზე მიჰყავდეთ ტელევიზია, რათა იქ მომხდარი უმსგავსოება ფირზე აღბეჭდონ. თანაც, რაღა მაინცდამაინც ეს ერთი ტელეკომპანია მიჰყავთ ხოლმე?! მე დიდ პატივს ვცემ თავისუფალ მედიას, მაგრამ გულისტკივილით ვამბობ, ეს არ არის თავისუფალი მედია. საგამოძიებო სტრუქტურებს შეერწყა, ხელისუფლების ისეთ მიმყოლად იქცა, როგორიც ახლადაბადებული ბავშვისთვის არის ჭიპლარი.

ამ ყველაფრის შემდეგ, ცხადია, დიდი ინტერესით ველოდით დავით კეზერაშვილის მოსვლას. თუმცა ლევან ბეჟაშვილმა გადაწყვიტა, რომ ჟურნალისტების იქ ყოფნა ხელს შეუშლიდა სწორი ინფორმაციის მიღებას. სხდომის დახურვას „მემარჯვენე ოპოზიცია“ შეეწინააღმდეგა. კოკა გუნცაძემ, მანანა ნაჭყებიამ, ფიქრია ჩიხრაძემ, გიორგი ცაგარეიშვილმა და რესპუბლიკელმა თემურ ნერგაძემ, უმრავლესობის წევრებისგან განსხვავებით, ამ საკითხში საიდუმლოების ნიშნები ვერ დაინახეს. ლევან ბეჟაშვილმა ოპოზიციის აქტიურობაში პოლიტიკური კეკლუცობა დაინახა, „მემარჯვენეები“ კი პირიქით ფიქრობდნენ — პლენარულ სხდომაზე სწორედ უმრავლესობის წევრებმა იკეკლუცეს და მკვეთრი განცხადებებით გამოვიდნენ, ახლა კი ყველაფრის მიჩქმალვა სურთო.

ნიკა გვარამიას სიტყვით, ოპოზიციონერებს მხოლოდ შოუს დადგმა სურდათ, მომხდარის მიზეზების გარკვევით კი არ იყვნენ დაინტერესებულნი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებისგან განსხვავებით. კოკა გუნცაძემ ოპონენტის ფუნქციად „მთავრობისთვის პირის მოწმენდა“ ჩათვალა.

კამათი გამწვავდა და დეპუტატმა ბოცვაძემ იყვირა: — თავს კონტროლი გაუწიეთ!

ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გადასული ჩხუბის დროს ფიქრია ჩიხრაძემ მშვიდად წამოაყენა სხდომის დახურვის საწინააღმდეგო არგუმენტი: — თუ გუშინ ტელეეთერში აჩვენეთ დარბევა, დღეს დახურულ რეჟიმში რატომ უნდა გადავიტანოთ ამ საკითხის განხილვაო?

მისი სიტყვები გიორგი ცაგარეიშვილმა განაგრძო:

— გუშინ კატლეტები გააგდებინეთ ხალხს პირიდან და პიურე დაასხით თავზე. ეს ყველაფერი ტელეკამერის თანხლებით მოხდა, ახლა კი პრესის გაყვანას ითხოვთ...

დაბერილი ძარღვებისა და დავიდარაბის მიუხედავად, სხდომა დაიხურა. როგორც ოპოზიცია აცხადებდა, კეზერაშვილს საიდუმლო დეტალებზე არ უსაუბრია. უმრავლესობის წევრებს კი სიმტკიცე და სიმწვავე არ გამოუჩენიათ, როგორც ჩანს „თავს კონტროლი“ გაუწიეს.

სხდომიდან გამოსულმა კოკა გუნცაძემ იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოება დიდხანს არ მოითმენს მერაბიშვილის, კეზერაშვილისა და სხვათა ძალაუფლებას. ოპოზიციის წარმომადგენლები იმაზეც სწუხან, რომ დაშინებული ბიზნესმენები საქართველოში საქმიანობას არ მოისურვებენ.

**რუსუდან გახარია.**

◉ აქტუალური თემა

# სანამ არ წაართვეს, არ გახსენებიათ

**მომავალი წლის იანვრიდან იმ ღონისძიებათა დაფინანსება, რომლებიც რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდებიდან ხორციელდებოდა, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან მოხდება. ამ ფონდის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტმა პირველი მოსმენით ამ დღეებში მიიღო. დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ კანონი პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდის შესახებ საბიუჯეტო სისტემის თაობაზე მოქმედ კანონს ეწინააღმდეგება. პარლამენტის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის რწმუნებულებს პროტესტი არ გამოუთქვამთ, ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილება ხმამაღლა არ გამოუხატავთ.**

უკმაყოფილო მაჟორიტარი დეპუტატები არიან, მაგრამ მათ რწმუნებულების ფონდის გაუქმება კი არ აღელვებთ, მათი შეშფოთების მიზეზი ის მოსალოდნელი ცვლილებებია, რომლებიც სულ მალე ახალ საგადასახადო კოდექსში შევა. საქმე ის გახლავთ, რომ ახალმა საგადასახადო კოდექსმა ადგილობრივ ბიუჯეტებს მნიშვნელოვანი შეღავათი მისცა. კერძოდ, ადგილობრივ ბიუჯეტებს მოგების ასი პროცენტი დარჩათ. მოსალოდნელი ცვლილებებით კი, მათ ეს მოგება ჩამოერთმევათ და ცენტრალურ ბიუჯეტს გადაეცემა. ანუ, მაჟორიტარების თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტის შევსების წყაროების დეფიციტი ისევ მთელი სიმწვავით დადგება. მაჟორიტარი დეპუტატების აზრით, ის, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებს მოგების ასი პროცენტი რჩებათ, საგადასახადო სისტემის რეფორმირებაში უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორც ამბობენ, თითქმის ყველა რაიონში ამ ფულით მნიშვნელოვანი პრობლემების



გადაწყვეტა მოხერხდა. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. რაც ამ ახალ საგადასახადო კოდექსს აკრიტიკებენ, ახლა გაახსენდათ, ასეთი კარგი თუ იყო? რაღაც არ მახსენდება, აქამდე ამის შესახებ ენა დაესველებინოთ.

საერთოდ, თვითმმართველობასთან დაკავშირებით, პარლამენტში დიდი ვნებათაღელვაა. მართალია, დღეს საქართველოში ზოგიერთი ქალაქის მერი უკვე არჩევითია, მაგრამ, ოპონენტების აზრით, ეს რეალურად არ ხორციელდება. მაგალითად, საპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციას არღვევს, როცა ქუთაისის მერის რიგგარეშე არჩევნებს არ ნიშნავს. უკვე ერთი წელია ქუთაისში ამ პოსტზე ერთმანეთს მერის მოვალეობების შემსრულებლები ცვლიან.

**კობა დავითაშვილი, „კონსერვატორები“:** „ნაკლებად მაქვს ამ ხელისუფლების იმედი, რომ მერების არჩევითობას დასთანხმდება. იმედი მაქვს საზოგადოებისა, რომელიც ამ საკითხში აქტიურად უნდა ჩაერთოს და ხელისუფლება დაარწმუნოს, რომ საზოგადოების მიერ ესოდენ მოწონებული საკითხის ჩაგდება, მისთვის წამგებიანი იქნება“.

ოპოზიცია საზოგადოების თანადგომას იმ შემთხვევაში ელის, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებს და მერების არჩევითობაზე რეფერენდუმის ჩატარებისთვის საჭირო ნებართვას გასცემს. მოგეხსენებათ, „რესპუბლიკელებმა“, „კონსერვატორებმა“ და „სახალხო ფორუმის“ წარმომადგენლებმა ამ დღეებში ცესკოს ასეთი მოთხოვნით მიმართეს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობის შემთხვევაში მათ ორასი ათასი ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვება მოუწევთ.

მივა კი საქმე რეფერენდუმამდე? ამას უახლოეს ერთ თვეში გავიგებთ. საარჩევნო კანონის თანახმად, ცესკომ უარი ან დასტური ერთი თვის ვადაში უნდა განაცხადოს.

**მზია გელენავა.**

◉ ინფორმაცია

## სამების საკათედრო ტაძარში 75 ჯარისკაცი მოინათლება

19 ივნისს სამების საკათედრო ტაძარში თავდაცვის სამინისტროს მე-4 მსუბუქ ქვეითთა ბრიგადის 75 ჯარისკაცი მოინათლება. მათგან 30 აჭარის რეგიონის მაცხოვრებელია. ყველა ჯარისკაცმა მონათვლის სურვილი თავად გამოთქვა.

ნათლობის ცერემონიას ბრიგადის მეთაური როინ გიგიაძე, შტაბის უფროსი ხვიჩა კალანდაძე და კაპელანი პაატა ცერცვაძე დაესწრებიან.

## ახალი საგაზეთო ჯიხურები დაიდგმება

დედაქალაქის პრემიერის თემურ ქურხულის მითითებით, თბილისში ახალი, თანამედროვე ტიპის, საგაზეთო ჯიხურები დაიდგმება.

ჯიხურის ნიმუშებს დედაქალაქის მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური ტენდერის საფუძველზე შეარჩევს. რაიონული გამგეობები კი ჯიხურების დისლოკაციის ადგილებს გამოყოფენ.

როგორც დედაქალაქის პრემიერმა განაცხადა, თბილისში ამჟამად არსებული ჯიხურები მოძველებულია. ახალი, შემინული საგაზეთო ჯიხურები კი თბილისის იერ-სახეს გააუმჯობესებს.

## მშვიდობის გარანტი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედება მთიანი ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივებს ქმნის და საბრძოლო მოქმედებების განახლების შესაძლებლობას გამორიცხავს,—აცხადებს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარდან ოსკანიანი.

მისივე თქმით, ომის განახლება ახლა მხოლოდ აზერბაიჯანზე აღარ არის დამოკიდებული.

— ომის წინააღმდეგ არა მხოლოდ სომხეთი, არამედ მსოფლიო თანამეგობრობა და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებიც გამოვლენ. ასე რომ, აზერბაიჯანი ამ კუთხით სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, — მიაჩნია სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს.

ჯი-ეიჩ-ენი.

◉ პრობლემა

# მართლა ასე გაიზარდა შობადობა?

## სასურველი, მაგრამ ნაკლებად რეალური ფაქტი, რომლისაც პრეზიდენტს სჯერა

**2005 წლის 3 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტუდენტ ახალგაზრდობასთან თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრაზე ქვეყნის სხვა უამრავ საჭირბოროტო საკითხებს შორის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებაში მომხდარ დადებით ცვლილებებზეც ილაპარაკა.**



როგორც პრეზიდენტის გამოსვლიდან ნათელი გახდა, ნამდვილად საჭიროა უმაღლესი ხელისუფლების დემოგრაფიულ პრობლემებზე უფრო ზუსტი ინფორმირება, თორემ ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მათ სათანადო ინფორმაცია ან არაზუსტად მიეწოდებათ, ან ამ მონაცემების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები არ არის რეალური მდგომარეობის ადეკვატური, ანუ საეჭვო ხდება იმათი კომპეტენცია, ვინც ხელისუფლებას დემოგრაფიულ პრობლემებზე უწევს კონსულტაციას.

კერძოდ კი, შეხვედრაზე პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა მის მიერ სხვა დროს უკვე აღნიშნული ფაქტი, რომ პირველად 2004 წელს საქართველოში უფრო მეტი ადამიანი ჩამოვიდა, ვიდრე გავიდაო. მან იგივე გაიმეორა აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის დროს თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოსვლისას და კიდევ ერთი, თავისთავად მეტად სასურველი, მაგრამ ნაკლებად რეალური ფაქტიც აღნიშნა — 2004 წელს საქართველოში შობადობის დონე 30 პროცენტით გაიზარდაო. ვფიქრობ, პრეზიდენტს ამ დემოგრაფიული მახასიათებლების მოხმობა ქვეყანაში მიმდინარე დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების არგუმენტად დასჭირდა და, თავისთავად, ასეთ სურვილში, თუკი ის მართლაც რეალობას ასახავს, ცუდი და მიუღებელი არაფერია, მაგრამ იყო კი შესაძლებელი დროის ასე მცირე მონაკვეთში შობადობის დონის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა?

იმისათვის, რომ ჩვენი მომდევნო მსჯელობა მკითხველთა ფართო წრისთვის უფრო გასაგები გახდეს, შევნიშნავ, რომ დემოგრაფიაში შობადობის დონის დასახასიათებლად, ძირითადად, ორი სახის მაჩვენებელი გამოიყენება: ეს არის აბსოლუტური — ე.ი. წლის განმავლობაში ცოცხლად გაჩენილი ბავშვების რიცხვი და შეფარდებითი — ე.ი. წლის განმავლობაში ცოცხლად გაჩენილი ბავშვების რიცხვი მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე გაანგარიშებით.

თუ ვივარაუდებთ, რომ პრეზიდენტმა შობადობის დონის ზრდაში ამ ორი მაჩვენებლიდან პირველი ზრდა იგულისხმა, მაშინ გამოდის, რომ 2004 წელს, 2003 წელთან შედარებით, ცოცხლად გაჩენილი ბავშვების რიცხვის 30 პროცენტით ზრდის შემთხვევაში, 2003 წელს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აღრიცხული 46,2 ათასი ბავშვის ნაცვლად 2004 წელს 60,1 ათასი ბავშვი უნდა გაჩენილიყო, რაც, უბრალოდ, შეუძლებელია, რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს. რატომ? სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქვს, რომ გასული, 2004 წლის სტატისტიკური მონაცემებით ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რეალურად რამდენით გაიზარდა შობადობა (თუკი ის საერთოდ გაიზარდა), რადგანაც ჯერ ოფიციალური მაჩვენებლები სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს დაანგარიშებული არა აქვს (ტრადიციულად ის ამას ივნის-ივლისში ახდენს ხოლმე, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტს ისინი ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება ჰქონდეს). ამასთან, იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ სტატისტიკოსები ძველი „მაამებლური სტატისტიკის“ მავნე ტრადიციას არ გააგრძელებენ და თუ 2004 წლის რეალური სურათი პრეზიდენტისგან უკვე ნახსენებ რიცხვთან შედარებით განსხვავებული აღმოჩნდება, ისინი მის კორექტირებას არ შეეცდებიან.

ახლა კი შევეცდებით სხვა არაპირდაპირი გზით დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება ამდენი ბავშვის გაჩენის შეუძლებლობასთან დაკავშირებით.

შედარებისთვის ავიღოთ 1970 წელი, ანუ ის წელი, როცა საქართველოში თითქმის იმდენივე ადამიანი (4686 ათასი) ცხოვრობდა, რამდენიც 2002 წელს (4602 ათასი). 1970 წელს რეალურად დაიბადა 90207 ბავშვი, 2002 წელს კი — 46605. ამასთან, ეს ნიშნავს, რომ 1970 წელს ბავშვი გააჩინა 15-49 წლის, ე.წ. ფერტილური, სხვაგვარად ბავშვთაშობის უნარის მქონე, საშუალოდ ყოველმა მე-14 ქალმა, ხოლო 2002 წელს კი — იმავე ასაკის ყოველმა 24-ე ქალმა.

როგორც ოფიციალური მონაცემებით ცნობილია, 2004 წლის დასაწყისისთვის 2002 წელთან შედარებით საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ფერტილური ასაკის (15-49 წლის) ქალების რიცხვიც, შემცირდა. მიუხედავად ამისა, რომც ვივარაუდოთ, რომ 2004 წელს მშობადი კონტინგენტი არ შემცირებულა, ანუ იმდენივე დარჩა, რამდენიც 2002 წლის აღწერით იყო, ხოლო წინა წელთან შედარებით დაბადებულთა რიცხვის 30 პრო-



ცენტით ზრდის შემთხვევაში 60,1 ათასი ბავშვი გაჩნდა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ 2004 წელს თითო ბავშვი უნდა გაეჩინა 15-49 წლის ასაკში მყოფ საშუალოდ ყოველ მე-19 ქალს, რაც, უბრალოდ, შეუძლებელია, სინამდვილეს შეესაბამებოდეს. მით უფრო, რომ შესაბამის პერიოდში არ გაზრდილა არც მთლიანად მშობადი კონტინგენტისა და არც ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა და ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში.

რაც შეეხება შობადობის შეფარდებითი მაჩვენებლის 30 პროცენტით გაზრდას, აქ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იკვეთება. რატომ? იმიტომ, რომ ამ მახასიათებლის გაანგარიშებისას, გარდა მრიცხველში მოცემული ცოცხლად გაჩენილი ბავშვების აბსოლუტური რაოდენობისა, წილადის მნიშვნელში ფიგურირებს მოსახლეობის საერთო რაოდენობა (რომელიც, პრეზიდენტის თქმით, გასულ წელს, წასულებთან შედარებით ჩამოსულების გადამეტების გამო — განსაკუთრებით ქართველებში — უნდა გაზრდილიყო) და რომლის თუნდაც უმნიშვნელოდ გაზრდის გამო 30-პროცენტიანი ზრდის მისაღწევად ზემოაღნიშნულ 60,1 ათას ბავშვზე მეტის გაჩენა იქნებოდა საჭირო, რაც, როგორც ვნახეთ, კიდევ უფრო პრობლემატური აღმოჩნდებოდა და ამიტომ მისი დაჯერება შეუძლებელია.

არც საქართველოდან გასულ-ჩამოსულთა რაოდენობის შესახებ პრეზიდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრება შეესაბამება სინამდვილეს.

ვთქვათ, დავიჯერეთ, რომ 2004 წელს უფრო მეტი ადამიანი დაბრუნდა საქართველოში ვიდრე აქედან წავიდა (რაც ბოლო 40 წელზე მეტია არასოდეს მომხდარა და საქართველოს ყოველთვის უარყოფითი მიგრაციული სალდო ჰქონდა ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან და ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ტენდენცია ასე უცებ, ერთ წელიწადში სრულიად საპირისპირო დადებითი ბალანსით შეცვლილიყო), თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მათ შორის ქართველები უფრო მეტი იყო. რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეებს არც ერთ იურიდიულ დოკუმენტში, არც პირადობის მოწმობაში და არც პასპორტში ეროვნება აღარ აქვთ აღნიშნული. ამიტომ, ეროვნული ნიშნის მიხედვით დემოგრაფიული მაჩვენებლების და მათ შორის მიგრაციის აღრიცხვაც უბრალოდ შეუძლებელია, რადგან მოსახლეობის აღწერებისგან განსხვავებით, მიმდინარე სტატისტიკა ემყარება ოფიციალურ, იურიდიულ დოკუმენტებს (პირადობის მოწმობას, დაბადების მოწმობას, პასპორტს, ქორწინების მოწმობას და ა.შ.), რომლებშიც, როგორც აღვნიშნეთ, ეროვნება აღარ იწერება.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარების დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერება გახლავთ შობადობის დონის შემცირება, როგორც განვითარებულ, ასევე ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებშიც, ასე რომ, საქართველო, რომელიც პარადოქსულ სიტუაციაშია და მიუხედავად მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობისა, თავისი დემოგრაფიული მახასიათებლებით ძალიან წააგავს მოწინავე ცივილიზებულ ქვეყნებს, ისტორიის ბორბალს უკუღმა ვერანაირად ვერ დაატრიალებდა და შობადობის დონეს ერთ წელიწადში ასე მნიშვნელოვნად ვერ გაზრდიდა.

ამას მრავალი ქვეყნის ისტორიულ დემოგრაფიული გამოცდილებაც ადასტურებს, თუმცა დემოგრაფიაში ცნობილია, ე.წ. კომპენსაციის წესიც, რომელიც გულისხმობს, რომ მოსახლეობაში რაიმე მიზეზით (ომები, ეპიდემიები, შიმშილი, სტიქიური უბედურებები, მასობრივი გადასახლებები და სხვა) გადავადებული დემოგრაფიული შემთხვევები, ამ მიზეზების მოხსნის შემდეგ, შესაძლებელია, რომ უფრო მეტი ინტენსივობით გაიზარდოს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ ჩვენს ქვეყანაში თხუთმეტწლიანი სოციალურ-ეკონომიკური დაქვეითების შემდეგ 2004 წელი ხომ არ იყო საკომპენსაციო პერიოდის დასაწყისი? ამას მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ შევიტყობთ, ამჟამად კი მხოლოდ არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ, რომ გარდა იმედისა, რომელიც შეიძლება მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მართლაც გაუჩნდა (თუ რამდენს, ძალიან ძნელი დასაანგარიშებელია, თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ნამდვილად დიდი მოლოდინი ახლდა), რაიმე სხვა არსებითი მიზეზი, რაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოსახლეობის გამრავლებას აბრკოლებდა (უმუშევრობა, ძალიან მძიმე საბინაო და ყოფითი პრობლემები, რაც ხელს უშლიდა ახალგაზრდებს, რომ უკეთესი მერმისის დადგომამდე გადაედოთ დაქორწინება და ბავშვების, მათ შორის პირველი შვილის გაჩენაც კი), არათუ არ მოხსნილა, არამედ ზოგიერთ სფეროში, განსაკუთრებით კი დასაქმების კუთხით, გაუარესდა კიდეც. **ამიტომაც, 2004 წელს ვერ მივიჩნევთ საკომპენსაციო პერიოდის დასაწყისად.**

**ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ საქართველოდან წასულ იმ მრავალრიცხოვან ემიგრანტთაგან (რომელთა შორისაც უმეტესად ფერტილური ასაკის ქალები არიან) ბევრი სწორედ 2004 წელს დაბრუნებულიყოს და ბავშვებიც გაეჩინოს, თუნდაც იმიტომ, რომ მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული იმ მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელობა, რომლის თითქმის გაუსაძლისმა სიმძიმემაც აიძულა ისინი, ლუკმა პურის საძიებლად სამშობლოდან ძალიან შორს გადახვეწილიყვნენ.**

ვითარების დღევანდელი ტენდენციით განვითარების შემთხვევაში საქართველოსთვის მეტად სავალალო დემოგრაფიული პერსპექტივა ისახება. **ვნახოთ გაეროს მიერ 2005 წელს გამოცემული დემოგრაფიული პროგნოზი: 2015 წელს საქართველოს მოსახლეობა იქნება 4183 ათასი, 2025 წელს — 3917 ათასი, ხოლო 2050 წლისთვის 2985 ათასი ადამიანი. მკითხველს რომ ამ მონაცემების შედარებისა და შეფასების შესაძლებლობა ჰ ქონდეს, შევნიშნავთ, რომ 1989 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 5400,8 ათასი, ხოლო 2002 წელს კი 4371,5 ათასი ადამიანი. ვფიქრობ, პერსპექტივის შეფასება არ გაჭირდება.**

ერთი სიტყვით, დემოგრაფიული ტენდენციები აუცილებლად შესაცვლელია, საამისოდ კი ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ ესახება მას საქართველოს დემოგრაფიული მომავალი და შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკაც ამის მიხედვით აირჩიოს.

**ანზორ სახვაძე,**
თსუ-ს დემოგრაფიის კათედრის დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხრეთ ოსეთი საქართველოსკენ შემობრუნდა

**თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა მზად არის დაბრუნდეს საქართველოს შემადგენლობაში, თუ მას მიანიჭებენ გაფართოებულ ავტონომიურ უფლებამოსილებას. ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა თბილისში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ ვაჟა ხაჭაპურიძემ. ცხინვალის სხვა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ამ განცხადების დეზავუირება მოახდინეს, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ კი აღნიშნა, რომ რესპუბლიკა კვლავ ესწრაფვის რუსეთთან შეერთებას. ჩვენი ექსპერტების აზრით, თვითაღიარებული რესპუბლიკა შეეცდება გამონახოს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ შეთანხმების ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი.**

სამხრეთ ოსეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და 1991-1992 წლებში საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ სურდა გამხდარიყო რუსეთის ერთ-ერთი რეგიონი. 1992 წელს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამას რეფერენდუმზე. გასული წლის ზაფხულში რესპუბლიკის პარლამენტმა სთხოვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის შემადგენლობაში მიღება. მაგრამ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ რუსი დეპუტატების მიერ შეტანილი მოთხოვნის პასუხად აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას რუსეთს თხოვს თვით საქართველო. დაბოლოს, მიმდინარე წლის მარტში სახელმწიფო სათათბირომ უარყო კანონპროექტი მეზობელი ქვეყნების თანხმობის გარეშე რუსეთთან ყოფილი საბჭოთა ავტონომიების მიერთების შესახებ. ასეთ სიტუაციაში ორი კვირის წინათ ედუარდ კოკოითის მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ეცდება მიაღწიოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას, უკვე გამოიყურებოდა პოლიტიკურ ვაჭრობად საქართველოს შემადგენლობაში შესვლის შესახებ მომავალი შეთანხმების პირობების ირგვლივ.

### ცხინვალმა პასუხი გასცა თბილისს

**მიმდინარე წლის მარტში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როცა იგრძნო, რომ შეიცვალა გუნება-განწყობილება ცხინვალსა და მოსკოვში, სამხრეთ ოსეთს შესთავაზა მშვიდობიანი მოწესრიგების ახალი გეგმა.** ამ გეგმის მთავარი პრინციპებია: ქვეყნის შემადგენლობაში ფართო ავტონომიის შექმნა, რომლის მცხოვრებლებსაც ექნებათ ისეთივე უფლებები, როგორც ქართულ მოსახლეობას, აგრეთვე, ექნებათ წარმომადგენლობა საქართველოს ხელისუფლების ორგანოებში. დაბოლოს, თბილისმა ცხინვალს შესთავაზა, რომ დაუბრუნებდა სოციალური გადასახდელების სფეროში დაგროვილ მთელ დავალიანებას და შექმნიდა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ფონდს.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ ვაჟა ხაჭაპურიძემ ხუთშაბათს არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ცხინვალი მზად არის მოლაპარაკებისთვის. „სამხრეთ ოსეთის შესვლა საქართველოს შემადგენლობაში გაფართოებული ავტონომიის უფლებებით სავსებით რეალურია“, — აღნიშნა ხაჭაპურიძემ ქართული ტელეკომპანიის „იმედის“ ეთერით გამოსვლისას. როგორც მან თქვა, ამისთვის აუცილებელია გაუქმდეს საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის დადგენილება სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შესახებ, რომელიც, ფაქტობრივად, კრძალავდა რესპუბლიკაში პარლამენტის არსებობას. გარდა ამისა, ხაჭაპურიძე დაჟინებით მოითხოვს განიარაღებას კონფლიქტის ზონაში. „ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ პოლიტიკურ სტატუსზე“, — აღნიშნა მან, და დასძინა, რომ მოამზადებს კოკოითისა და სააკაშვილის შეხვედრას.

### „გარდამავალი ეტაპი“

**ასეთმა განცხადებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია როგორც ცხინვალში, ისე თბილისში. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ხაჭაპურიძე არ არის რესპუბლიკის სპეციალური წარმომადგენელი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. „საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის შესვლის საკითხი არ განხილულა, და არც განიხილება, არც ოფიციალურ და არც სახალხო დონეზე.** საქართველოსთან მოლაპარაკება შეიძლება წარიმართოს მხოლოდ თანასწორუფლებიან საფუძველზე“, — თქვა მან. ედუარდ კოკოითმა კი ხუთშაბათს კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მხარს უჭერს რუსეთთან შეერთებას: „ჩვენი რესპუბლიკის გაერთიანება ჩრდილოეთ ოსეთთან აუცილებელი და გარდუვალია“. თავის მხრივ, კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ აღნიშნა, რომ ხაჭაპურიძის მიერ გაკეთებული განცხადება შეიძლება დაედოს საფუძვლად თბილისისა და ცხინვალის შემდგომ მოლაპარაკებას. „სამშვიდობო პროცესის განვითარება, ორივე მხარის სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი მუშაობა არის გარდამავალი ეტაპი სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე“, — მიაჩნია გიორგი ვოლსკის.



### იძულებითი მანევრი

**როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ცხინვალი და თბილისი ახლა აწარმოებენ კონსულტაციებს სერიოზული მოლაპარაკების წინ. ასეთი მოსაზრება გამოთქვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ახმედ ბილალოვმა.** როგორც მან თქვა, „შეთანხმება შეიძლება დაიდოს ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე, რომელიც გაითვალისწინებს ორივე მხარის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, აგრეთვე სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მცხოვრებთა ნათესაურ კავშირებს“. პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს ალექსი მაკარკინს მიაჩნია, რომ თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობს მიაღწიოს საქართველოსთან შეერთების ყველაზე ხელსაყრელ პირობებს. „მათ შეიგნეს, რომ რუსეთთან მიერთება აუხდენელი ოცნებაა, და გადადგეს ნაბიჯი საქართველოს მხარეს“, — თქვა ექსპერტმა. მაკარკინის აზრით, სააკაშვილი მზად არის დათანხმდეს დათმობებს ტერიტორიული პრობლემის მოგვარების მიზნით: „ამით იგი შეიძლება გახდეს ქვეყნის გამაერთიანებელი ქართველთა და მშვიდობისმყოფელი — დასავლეთის თვალში“.

**პაველ აპტეკარი,**
**რობერტ ერემიანი,**
**(თბილისი),**
**„გაზეტა“, 17 ივნისი.**

ГАЗЕТА

◎ პური ჩვენი არსობისა

# უთანაბრო ჭიდილი

## როდის დამყარდება წესრიგი პურსაცხობებში?



**ახალს არაფერს ვიტყვით, თუ განვაცხადებთ, რომ დღეს მოსახლეობის უმეტესობა პურის წყალობით არსებობს. ეს ფაქტი მცხობლებს ავალდებულებს განსაკუთრებულად იზრუნონ პურის ხარისხისა და კეთილგემოვნების, კალორიულობის, წონის, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, ფასის და ტექნოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.**

**მაგრამ ზრუნავენ კი?**

**ამის დასადგენად საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ექსპერტები დედაქალაქის რამდენიმე პურის საწარმოს ვეწვიეთ.**

ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მცირე პურის საცხობების დიდი ნაწილი განთავსებულია სარდაფებში, ავტოფარეხებში, სხვადასხვა ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორიაზე, სადაც გამეფებულია ქაოსი, განუკითხაობა და ანტისანიტარია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბევრ ასეთ საწარმოს მისი საქმიანობის ამსახველი აბრაც კი არა აქვს, აღარაფერს ვამბობთ იმ ინფორმაციაზე, რომელსაც უნდა იძლეოდნენ პროდუქციის შესახებ. გაუმართავ მდგომარეობაში აქვთ გირები, სასწორები, გამზომ ხელსაწყოებს არ აქვთ დამღა, არ მოწმდება დადგენილ ვადებში, ანგარიშსწორება არ ხდება საკასო-საკონტროლო აპარატით, არ გაიცემა ქვითარი.

ეს და სხვა სახის დარღვევები გამოვლინდა, მაგალითად, ზესტაფონის ქუჩაზე, ელდეპოს მიმდებარე ტერიტორიაზე (მეპატრონე დავით ლორთქიფანიძე), იქვე ახლოს ჭყონდიდელის ქუჩის 7 ნომერში, სამკერვალო ფაბრიკის ტერი-



ტორიაზე (კახა გიორგაძე), დიდგორის ქუჩა №62-ში (ინდმეწარმე მზია ხაჩიშვილი), იმავე ქუჩის №4-ში (მეპატრონე ლალი ჭანტურია), მიქელაძის ქუჩის № 7-ში (გრიგოლ ჭაბუკიანი) განთავსებულ პურის საცხობებში. ამ უკანასკნელმა ჩხუბი ატეხა და არ მოგვცა ინფორმაციის მოპოვების საშუალება.

ამ ფონზე, ბუნებრივია, დავინტერესდით, როგორია მდგომარეობა ტრადიციულ პურისმცხობ საწარმოებში და თბილისის მეოთხე ქარხანას ვესტუმრეთ. ეს საწარმო (დირექტორი მალხაზ დოლიძე) ერთ-ერთი უძველესია დედაქალაქში. მან პურის ცხობა დაიწყო 1941 წლიდან და მიუხედავად მძიმე წლებისა, მუშაობა ერთი დღითაც არ შეუწყვეტია. იგი უშვებს პირველი ხარისხის „ძირის“ პურს, „ქვის“ პურს და ჭვავის პურს, რომელიც გამოირჩევა მაღალკალორიულობით, კარგი საგემოვნო თვისებებით და მომხმარებლის მოწონებით სარგებლობს. ამის დასტურია გამოხმაურებები და მადლიერების წერილები, რომლებსაც ქარხანა მომხმარებელთაგან იღებს, ბიუჯეტში შეტანილი თანხები, თანამშრომელთა კვალიფიკაცია. ქარხანაში დასაქმებულია 140 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი 150 ლარს შეადგენს.

ყოველდღიურად ქარხანა 12 ტონა პურს აცხობს, რომელიც სარეალიზაციოდ იგზავნება 60 მაღაზიაში. ადრე 30 ტონასაც უშვებდა, მაგრამ მძიმე საგადასახადო პოლიტიკამ, არაჯანსაღმა კონკურენტულმა გარემომ პროდუქციის მოცულობა 12 ტონამდე შეამცირა.

ქარხანას ჭიდილი უწევს პურის მცხობელ მცირე საწარმოებთან, რომელთა უმეტესობა არა თუ არ იხდის გადასახადებს, ოფიციალურად პროდუქციის რაოდენობასაც არ აღრიცხავს და ზოგჯერ რეგისტრირებულიც კი არ არის. კონტრაბანდამ, აღურიცხავმა პროდუქციამ, დაუბეგრაობამ, ხარჯების დამალვამ მათ სასათბურე პირობები შეუქმნა, რის გამოც პროდუქციის წარმოება გაცილებით ნაკლები უჯდებათ, ვიდრე ქარხანას.

ქარხანას დიდ პრობლემებს უქმნიდა და უქმნის გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდებაში არსებული შეფერხებები, რის გამოც ღუმელში გამოსაცხობად შეწყობილი პურის არც თუ უმნიშვნელო ნაწილი უფუჭდებათ. ამ ზარალს მათ არავინ უნაზღაურებს, რაც, ბუნებრივია, ამცირებს საწარმოს რენტაბელობას.

პურის ქარხანასთან არსებობს სპეციალიზებული მაღაზია,სადაც მომხმარებელთან ანგარიშსწორება ხდება საკასო-საკონტროლო აპარატის მეშვეობით, გაიცემა ქვითარი. საწარმოში მუშაობს ლაბორატორია, სადაც როგორც ნედლეულს, ისე მზა პროდუქციას უკეთდება საჭირო ფიზიკო-ქიმიური ანალიზები, მომხმარებელს ქართულ ენაზე მიეწოდება ინფორმაცია ნაწარმის კვებით და ენერგეტიკულ ღირებულებებზე, რეალიზაციის ვადებზე, აღირიცხება უკან დაბრუნებული პროდუქცია

როგორც ქარხანაში, ისე სპეციალიზებულ მაღაზიაში, დაცულია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონისა და მის ბაზაზე დამტკიცებული „ცალკეული სახის სასურსათო და არასასურსათო საქონლის გაყიდვის წესის“ და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები. ქარხნის მომსახურე პერსონალი გადის სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას.

**პრობლემის გადაჭრის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, მოწესრიგდეს ან დაიხუროს ყველა ის საცხობი, სადაც არ არსებობს ნორმალური პირობები პურის ცხობისა და ვაჭრობისთვის. ასეთი წვრილი, კუსტარული, თავმინებებული საცხობები დედაქალაქში ასობითაა, რომლებიც არამარტო არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ქმნიან, უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციასაც უშვებენ.**

**ლევან ბაღდავაძე,**
**საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი;**

**დიანა ბაზალეიშვილი,**
**ამავე ასოციაციის ექსპერტი.**

◎ გული არ ბერდება

# სიკვდილის ყველა კარი ჩარაზა,

## ანუ სიცოცხლე სამ საუკუნეში

### ვის აჩუქა ფული რაჭაში სიძედ ჩასულმა სოსო ჯუღაშვილმა?

**ტელეფონით ჩემი დიდი ხნის მეგობარი, ნუგზარ მდივანი მეხმაურება:**

**— ერთ იშვიათ ქალბატონთან მივდივარ, მე მგონი შენთვისაც საინტერესო იქნება. წამოხვალ?**

**ვეთანხმები.**

მანქანით გამომიარა.

— ეს ივეტაა. — მაცნობს შუახნის, სიმპათიურ ქალს. კარგა ხანს ვიარეთ. მანქანა წვალებით, ტაატით მიდის ოღრო-ჩოღრო მტვრიან გზაზე.

— არ მეტყვი, სად მივდივართ და ვისთან? — ვეკითხები ნუგზარს.

— გეტყვი, აპა, არ გეტყვი? — უქცევს იმერულად. თან ეღიმება, — გლდანში მივდივართ, მარიამ სვანიძესთან.

უსახური, მაღლივი კორპუსები, დაშლილი და დანგრეული გზები.

„რა და ვინ მოუვლის ამ ქალაქს?!“ — ვფიქრობ ჩემთვის.

— მიგდე ყური! — ფიქრებიდან გამოვყავარ ნუგზარს. — ამას წინათ, „იმედის“ ტელეარხზე მოვისმინე გადაცემა, წამყვანი გულდაწყვეტით მიმართავდა ადრესატებს: განა შეიძლება 108 წლის მარტოხელა ქალს, სინათლე გადაუჭრა და გაზი გამოურთო ფულის გადაუხდელობისთვის?

გული დამეწვა. იმავე დღეს დავადგინე ქალბატონის ვინაობა, მისამართი და ივეტას ხელით გავუგზავნე ფული, სურსათ-სანოვაგე, მოვუგვარე ყველა საქმე. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ მივაწოდე წამლები, საკვები, ის კი არა, ხელფასიც დავუნიშნე.

— რამდენი დაუნიშნე? — ვეკითხები.

ნუგზარს ეცინება.

— ყოველ შემთხვევაში, ორჯერ მეტი, ვიდრე სახელმწიფო უხდის! რამდენიმეჯერ შემომითვალა — მოდი, დამენახე, შე დალოცვილო, მადლობა მათქმევინე, დედაშვილურადო! ჰოდა, ახლა იმასთან მივდივართ.

— გაგახაროს ღმერთმა! — გულწრფელად ვლოცავ მეგობარს.

რამდენიმე ოღრო-ჩოღრო მოსახვევი გავიარეთ და ერთ მაღალსართულიანი სახლის სადარბაზოს მივადექით.

— მოვედით! — გვამცნობს ივეტა.

მეორე სართულზე ავედით. შავად შეღებილ რკინის კარებზე დავაკაკუნეთ. ცოტა ხანში მოხუცი ქალი ღიმილით გვეპატიჟება შინ.

— უი, ივეტა, შენ შემოგევლე, — შესციცინებს ჩვენ თანმხლებს.

— აი, ნახე ვინ მოგიყვანეთ! ეს ნუგზარი გახლავთ!

— ამას ვენაცვალე, ამას! — ეხვევა ნუგზარს.

მარიამი ხელს არ უშვებს ნუგზარს, ეფერება. სიარული უჭირს.

— ეს არის ჩემი მარჩენალი, ჩემი პატრონი! დაბრძანდით, დაბრძანდით, თქვენ გენაცვალეთ. ზღვა მადლობა ყველას, დაგლოცოთ გამჩენმა.

ნუგზარი გვერდით უჯდება თვალცრემლიან მოხუცს.

— ხომ კარგად ხართ, მარიამ ბებია?

— შენი მოვლა-პატრონობით არაფერი მაკლია. კარგად ვარ, კარგად!

... ქალბატონი მარიამ სვანიძე წარმოშობით ამბროლაურის რაიონიდანაა, სოფელ ბაჯშია დაბადებული, აქვე გათხოვდა რომანოზ მესხზე.

სვენებ-სვენებით საუბრობს. წარსულს იხსენებს.

— ორი შვილი მყავს, ერთი ოთხმოც წელსაა გადაცილებული, მეორე სამოცდაცხრა წლისაა. ორივე რამდენიმე ხნის წინ გაათავისუფლეს სამსახურიდან. ახლა სოფელში არიან, შრომობენ, წვალობენ ლუკმაპურის მოსაპოვებლად.

მალი-მალ მიუბრუნდება ნუგზარს:

— ამის პატრონს რა გამიჭირვებს.

მერე ისევ წარსულს იგონებს. — ამბროლაურში, საავადმყოფოში ოცი წელი ვმუშაობდი მედდად. ქუთაისშიც ვცხოვრობდი კარგა ხანს.

მერე ოთახს მოავლო თვალი.



— ეს ბინა შვილებმა გაყიდეს და სოფელში წავიდნენ. იქ კარგი ექვსთვლიანი სახლი გვიდგას. ეს ბინა კი ვიღაც ღვთისნიერმა იყიდა, ჯერჯერობით არ მაგდებს აქედან. არ ვიცი, როგორ იქნება ჩემი საქმე.

მერე ისევ ნუგზარს მიუბრუნდა:

— ამას წინათ, თეთრებში შემოსილი ქალი დამესიზმრა — კიდევ სამ წელიწადს იცოცხლებო, შენი მფარველი კი შენ ხნობამდე მიაღწევსო, მითხრა და გაქრა. აბა!

როდესაც შეამჩნია, რომ სურათს ვუღებდით, შეწუხდა: რაღა დროს ჩემი სურათია, ისე პირის დაბანა კი მოვასწარი, თქვა და თეთრ თმაზე ხელი გადაისვა.

— კეთილ ხალხს რა გამოლევს ამ დუნიაზე. საბერძნეთიდან ერთმა უცნობმა ქალმა ორასი დოლარი გამომიგზავნა, კიდევ დაგეხმარებიო. არ ვიცი, საიდან გაიგო ჩემი ამბავი. ერთმა ასევე უცნობმაც 100 ლარი მომიტანა. მთავრობა კი 28 ლარს მაძლევს!

ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. პარკიდან პური, კარაქი და სხვადასხვა სანოვაგე ამოალაგა.

— მოდი, ლია, გენაცვალე, მოდი, დიდი მადლობა!

— მერე ჩვენ მოგვიბრუნდა: მეზობელია, ესენი რომ არ მყავდნენ, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ისე ქე გევიგე, რომ ასი ლარის წამლები მერგება უფასოდ, მაგრამ ვერაფრით ვერ მივაგენი, ვისთან უნდა მივიდე და როდის!

— ვიცი, რომ ეკატერინე სვანიძე, სტალინის პირველი მეუღლე, თქვენი ახლო ნათესავი იყო, — ეკითხება ნუგზარი.

— ნათესავი რას ჰქვია, მამაჩვენები ძმები იყვნენ, ალალი ბიძაშვილები ვართ. ერთად ვიზრდებოდით. ჩემზე უფროსი კი იყო ათი თუ თორმეტი წლით.

— თვითონ სტალინს თუ შეხვედრიხარ?

— კი, რამდენიმეჯერ. რაჭაში წვადიშში ჩამოვიდა ეკატერინესთან. სავლე ლექავა და ალექსანდრე კილაძე ახლდნენ. დედაჩემმა წამიყვანა სანახავად. დედა რომ დაინახა, შეწუხდა.

— ქალბატონო, რატომ შეწუხდით, მე თვითონ გესტუმრებოდით.

ეზოში ჰქონდათ სუფრა გაშლილი. ცოტა ხანში დედაჩემს მიმართა — მე რომ სიმღერა მიყვარს, ის ვიმღეროთო და, „გაფრინდი შავო მერცხალო“ წამოიწყო.

წამოსვლისას ფული მაჩუქა, დედაჩემიც დაასაჩუქრა.

იაკობსაც შევხვედრივარ, მის ვაჟს, შვილიშვილებსაც, შვილთა შვილებსაც. ის კი არა, დედამისი კეკე და მე ერთ ზაფხულს წყალტუბოში ერთად ვმკურნალობდით. აგე, შეხედეთ, კედელზე მიკიდია სტალინის სურათი!

დავინტერესდი მისი ხნოვანებით და სიჯანსაღის საიდუმლოებით.

— რა გითხრა, ბებია, ჩვეულებრივად ვცხოვრობდი, გლეხურად, არაფერი არ მქონია გამორჩეული. ყანაში რომ მივდიოდი სამუშაოდ, მჭადის ნაჭერი მიმქონდა და იმას წიწმატს ვაყოლებდი.

— მოდი ჭადს და წიწმატს მივაწვეთ, ეგებ ჩვენც მივაღწიოთ ამ ხნოვანებამდე, — ვხუმრობთ მე და ნუგზარი.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. მარიამმა ყურმილი აიღო:

— იცოცხლე ჩემო მარიამ, გმადლობთ, გმადლობთ! ახლა სტუმრები არიან და მერე დამირეკე.

გამართულად საუბრობს.

მაგიდაზე დაწყობილი წიგნები შევათვალიერე — „ახალი აღთქმა“, ვაჟაფშაველას ორტომეული, რეზო ჭეიშვილის მოთხრობები, „აფორიზმები, ხატოვანი თქმები“, სხვადასხვა ჟურნალები.

შემამჩნია.

— კითხვა ბავშვობიდან მიყვარდა. ახლაც ვკითხულობ. თუმცა, მხედველობა შემელახა. ხანდახან სათვალე მჭირდება. ტელევიზორსაც ვუყურებ.

ტელეფონის ნომერი ვკითხე, არც დაფიქრებულა, სხაპასხუპით მომაყარა ციფრები.

... წამოსვლისას შეწუხდა.

— რავა უპატივცემულოდ გიშვებთ, ღმერთო, მომკალი!

— ნუ გაგვაცილებთ, ქალბატონო, ვთხოვეთ.

იუარა, ფეხათრევით გამოგვყვა, კარები გაგვიღო, ხელის ქნევით და დალოცვით გამოგვემშვიდობა.

**გურამ გოგართელი.**

**სურათზე: ქალბატონი მარიამი ნუგზარ მდივანთან ერთად...**
**გენადი სანაიას ფოტო.**

**მინაწერი: თუ ვინმე ღვთისნიერი და კეთილშობილი პიროვნება დაინტერესდება მარიამ სვანიძის პიროვნებით, აი მისამართიც: გლდანის მეცხრე მიკრორაიონი, მეჩვიდმეტე კორპუსი, ბინა 12. ტელეფონი — 68-97-46.**

◎ ინფორმაცია

## რელიგიათა საბჭოს პირველი სხდომა

**სახალხო დამცველის ოფისში სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს დამფუძნებელი სხდომა გაიმართა. მასში საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება მონაწილეობდა.**

**სხდომას უძღვებოდა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. საბჭო მიესალმა კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის ინიციატივას სახელმწიფო აღმშენებლობისა და განვითარების სფეროში რელიგიების კოორდინირებული მოქმედების შესახებ და გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის იმედი. სხდომაზე აღინიშნა რომ, სახალხო დამცველთან არსებული საბჭოს საქმიანობის ამოსავალი პრინციპი ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვა, ტოლერანტული სულისკვეთების გაღვივება, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა, სოციალური, ჰუმანიტარული და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინირებული წარმართვაა.**

**საბჭომ შეიმუშავა მემორანდუმის ტექსტი და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომლის საფუძველზე მოგვიანებით საბჭოს წესდება შემუშავდება . საბჭომ ხმათა უმრავლესობით აირჩია მდივანი — ელენე ნოდია, რომელიც კოორდინირებას გაუწევს საბჭოს საქმიანობას.**

**სხდომაზე გადაწყდა წყალდიდობით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განხორციელდეს ჰუმანიტარული აქცია.**

**საბჭოს საზეიმო კურთხევა 21 ივნისს 16 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართება, სადაც ხელი მოეწერება სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს ერთობის მემორანდუმს.**

## რა თქვა ბრიტანეთის ელჩმა

**ბრიტანეთის საელჩოს მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს მთავრობასთან საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა იქნება. ამის შესახებ ბრიტანეთის ელჩმა დონალდ მაკლარენმა დედოფალ ელიზაბეტ ||-ის 79 წლის იუბილის აღსანიშნავ მიღებაზე განაცხადა.**

**აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის თავმჯდომარეობას ივლისში ექვსი თვით ჩაიბარებს. ელჩის თქმით, სამოქმედო გეგმა ჩვეულებრივი ბრიუსელის დოკუმენტი არ უნდა იყოს.**

**„გვინდა, რომ ეს დოკუმენტი რეალისტური, მოქმედებაზე ორიენტირებული იყოს და მას მხოლოდ ტექნიკური კი არა, პოლიტიკური შინაარსიც ჰქონდეს. საჭიროა, ყურადღება მიექცეს კონფლიქტების მოგვარებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, — აცხადებს ელჩი. მისი თქმით, ამ კონფლიქტებს საერთაშორისო საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.**

**ცნობისათვის: ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავების გზით საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავების შესახებ რეკომენდაცია ევროკომისიამ მარტის დასაწყისში გასცა.**

**მედიანიუსი.**

◎ თაღლითობა

# ასეთი პრივატიზება მართლაც „ბასიანის“ ომია

**დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმისთვის, რომ მიხვდეთ: საქართველოში თავის დროზე ამოქმედებულმა პრივატიზების კანონმა და წესებმა ნოყიერი ნიადაგი შექმნეს ქონების დასანიავებლად. ქვეყანაში ლამის ყველა საწარმოსა თუ ორგანიზაციის კუთვნილ ტექნიკურ აღჭურვილობას, მიწის ნაკვეთებსა და, უბრალოდ, სამუშაო ფართებს მაინცდამაინც ყოფილი დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები და ბუღალტრები დაეპატრონნენ, ხოლო მრავალი რიგითი მუშაკი, რომელმაც წლები შეალია ამა თუ იმ ორგანიზაციაში მუშაობას, „წითელმა დირექტორებმა“, რომ იტყვიან, „მშრალზე დატოვეს“.**

**დროს, ცხადია, უკან ვერ დავაბრუნებთ და არც ჩავლილი პრივატიზების შედეგების რევიზია წაადგება ქვეყანას, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, როცა სათქმელი გვაქვს, ყველაფრის თაობაზე ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ.**

1994 წლის დამდეგს, მოქმედი საპრივატიზაციო კანონმდებლობის საფუძველზე, თბილისის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის №31 ატელიეს შრომითმა კოლექტივმა ერთობლივად გადაწყვიტა საწარმოს კუთვნილი 237 კვადრატული მეტრი ფართის პრივატიზება. 22 იანვარს ჩატარდა კოლექტივის საერთო კრება. გადაწყდა... რომ ობიექტის საპრივატიზაციო პროცესი კოლექტივის წევრ ვალერიან ბასიაშვილს წარემართა. თუმცა მან ამ საკითხის გადაწყვეტა... მთელი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა.

ამის გამო, 1995 წლის 4 აპრილს №31 ატელიეს შრომითმა კოლექტივმა ჩაატარა კიდევ ერთი საერთო კრება. გადაწყდა დროებითი ამხანაგობის შექმნა, რომელიც ობიექტის პრივატიზებას განახორციელებდა. საპრივატიზებო კომისიის მიერ ატელიეს კუთვნილი ფართის შესასყიდ ფასად განისაზღვრა 4434 დოლარის ეკვივალენტი ლარებით. კრებამ ასევე გადაწყვიტა, რომ საპრივატიზებო დოკუმენტების გაფორმებისათვის ამხანაგობის უფლებამოსილ კაცად იგივე ვალერიან ბასიაშვილი აერჩიათ. მან განაცხადა, რომ კარგად იცის, თუ როგორ და რანაირად უნდა შედგეს პრივატიზებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი, რითაც, ფაქტობრივად, საერთო კრებას საკუთარი თავი თავადვე შესთავაზა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისთვის კოლექტივის ყველა წევრისთვის უკვე ცნობილი იყო საპრივატიზაციო თანხის ოდენობა და შემდგომ, თითოეულმა მათგანმა (ვ. ჩლაიძის გარდა) ვ. ბასიაშვილს 250 დოლარი გადასცა. ამ კრების ოქმი დამოწმებულია ნოტარიუს ქ. ოდილავაძის მიერ 1995 წლის 14 აპრილს.

ყოველივე ეს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში შეიტყვეს შპს „ბასიანის“, ანუ ყოფილი ტანსაცმლის ინდკერვის №31 ატელიეს შრომითი კოლექტივის განცხადებიდან, რომელიც შეეხებოდა საზოგადოების დამფუძნებლის ვალერიან ბასიაშვილის უკანონო მოქმედებებს, თაღლითურად სხვისი თანხებისა და საზოგადოების კუთვნილი წილების დაუფლების ფაქტებს.

ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებულმა წინასაგამოძიებო შემოწმებამ დაადგინა, რომ ვ. ბასიაშვილმა, ობიექტის პრივატიზების მიზნით, კოლექტივის წევრთა შერჩევის გზით ათ კაცზე გააფორმა დამფუძნებელი ხელშეკრულება დროებითი ამხანაგობის შექმნის შესახებ. ვინაიდან, კანონმდებლობის თანახმად, დროებითი ამხანაგობის ჩამოყალიბებას ესაჭიროებოდა 1994 წლის 1 მარტის მდგომარეობით საწარმოს მუშაკთა ნახევარზე მეტი (ისინი კი ამ დროისთვის 18-ნი იყვნენ), ეს „ნახევარზე მეტი“ სწორედ ათი კაცი იყო.

1995 წლის აპრილში ჩატარებულ კრებაზე კოლექტივის 18-მა წევრმა (ანუ ყველამ) დროებითი ამხანაგობის შექმნასა და პრივატიზებაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოება: კოლექტივის წევრებს შორის წილების განაწილების საკითხი ვ. ბასიაშვილს მათთან არ შეუთანხმებია, 99,1 პროცენტი ხელშეკრულების პირობებში თავად „ჩაიწერა“, ხოლო „მოაჯირს მიღმა“ დარჩენილ ცხრა წევრთაგან თითოეულს... 0,1 პროცენტი „შეახვედრა“. გარდა ამისა, ხელშეკრულების პირობებში ჩაწერილია, რომ თავად ხელშეკრულების ტექსტის 12 ეგზემპლარია და მისი თითო ასლი ამხანაგობის წევრებთან ინახება. ეს დოკუმენტი 1995 წლის 14 აპრილს ასევე ნოტარიუს ქ. ოდილავაძის მიერაა დამოწმებული.

კოლექტივის წევრთა განმარტებით, ეს დოკუმენტი მათ... თვალით არასოდეს უნახავთ, შესაბამისად, მათთვის მისი შინაარსიც უცნობია. არადა, მათი ხელმოწერები არის...

სიმართლე გითხრათ, ცოტა გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება ერთმა კაცმა ამდენ ზრდასრულ ადამიანს ხელი მოაწერინოს დოკუმენტზე, რომლის შინაარსი მათთვის (ყველასათვის!) უცნობია. თუმცა ეს, როგორც ჩანს, „ტექნიკური“ საკითხია, რომლის შესახებ მსჯელობა უმჯობესია სხვა დროისთვის გადავდოთ.

ამ დროისთვის კოლექტივის ყველა წევრმა იცოდა, რომ წილები საწარმოში 18 კაცზე თანაბრად იყო განაწილებული. შემდგომში თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარმა სამმართველომ შრომითი კოლექტივის ამხანაგობის 10 წევრზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა (№23/101) გასცა, რომლის მიხედვითაც ფალიაშვილის ქ. №55-ში 119 კვადრატული მეტრი არასაცხოვრებელი ფართი კოლექტივის საკუთრება გახდა.



ამავე დროს, მოკვლევის მასალებში არსებობს 1996 წლის 25 აპრილით დათარიღებული კრების ოქმი, რომლის თანახმად მას ესწრებოდა კოლექტივის ყველა წევრი. სწორედ ამ კრებაზე მიიღეს შპს „ბასიანის“ წესდება, დანიშნეს საწარმოს დირექტორი ზაზა ბასიაშვილი, დამფუძნებელთა შემადგენლობაში მიიღეს შვიდი კაცი. აგრეთვე, დამფუძნებელთა შორის გაანაწილეს საწესდებო კაპიტალი. ამ შინაარსობრივად „დატვირთული“ დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს კაპიტალის 98,4 პროცენტი ეკუთვნის... მართალი ბრძანდებით, ბატონო, ვალერიან ბასიაშვილს, დანარჩენ წევრებს კი, მთლიანად 1,6 პროცენტი, რაც საწარმოს კოლექტივის წევრთა განცხადებით სრული სიყალბეა. კერძოდ, ეს კრება... საერთოდ არ ჩატარებულა, შესაბამისად, არც კრების ოქმში ნახსენები პირები მას არ დასწრებიან. ოქმის მიხედვით, ორგანიზაციის დირექტორად დაინიშნა ვ. ბასიაშვილის ვაჟიშვილი ზაზა ბასიაშვილი, თუმცა, ვინაიდან კრება არ შემდგარა და მას არც ხალხი დასწრებია, ზ. ბასიაშვილს ხმასაც ვერავინ მისცემდა... ამავე დროს კრების გადაწყვეტილებაში წერია, თითქოს მიიღეს წესდება, არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტივის წევრთა განცხადებით, მისი არა თუ შინაარსი არ იციან, არამედ თვალითაც არავის უნახავს.

გარდა ამისა, კრების „გადაწყვეტილებაში“ დამფუძნებელთა შორის საწესდებო კაპიტალი იმის ნაცვლად, რომ თითოეულზე 5,56 პროცენტის ოდენობით განაწილებულიყო, ვ. ბასიაშვილმა საკუთარ თავს 98,4 პროცენტი „მოუწიწკნა“, დანარჩენებს კი 1,6 პროცენტი „შეახვედრა“.

1996 წლის 26 აპრილს ზ. ბასიაშვილმა თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში დასამტკიცებლად შპს „ბასიანის“ დამფუძნებელ პარტნიორთა სახელით განცხადება და საზოგადოების წესდება შეიტანა. კრების ოქმი, განცხადება და წესდება ნოტარიუს როინ ტაბატაძეს რეგისტრირებული აქვს 1996 წლის 29 აპრილს. კოლექტივის წევრთა განმარტებით, ნოტარიუსი რ. ტაბატაძე მათ თვალით არ უნახავთ და მის მიერ დოკუმენტების დამოწმების ფაქტს არ დასწრებიან, რაც, თავის, მხრივ ეწინააღმდეგება რ. ტაბატაძის მიერ მიცემულ განმარტებას. იქ იგი აღნიშნავს, რომ თავად მივიდა საწარმოში, სადაც დოკუმენტი კოლექტივის თანდასწრებით შეადგინეს, მისი შინაარსი ყველას გააცნეს და შემდეგ ხელიც მოაწერინეს, ხოლო ზემოაღნიშნული საბუთის საფუძველზე 30 აპრილს სასამართლომ შპს „ბასიანი“ რეგისტრაციაში გაატარა.

თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ ტანსაცმლის ინდკერვის №31 ატელიეზე უკანონოდ ჩამორთმეული 188 კვადრატული მეტრი ფართის თაობაზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა და უზენაესი სასამართლოს 1997 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე ეს ფართი შპს „კვალს“ ჩამოერთვა.

1998 წლის 11 აგვისტოს ამ ფართზე ჩატარდა კონკურსი, რომელშიც გამარჯვებულად სცნეს შპს „ბასიანი“ — მისი ერთადერთი მონაწილე. ფართი „ბასიანმა“ 7100 დოლარის ლარებით ეკვივალენტით შეიძინა, რომელიც კოლექტივმა ყოველდღიური მოგების თანხებით დაფარა.

ამრიგად, მოკვლევით დადგინდა, რომ მამა-შვილი ბასიაშვილები მოტყუებით დაეუფლნენ №31 ატელიეს თანამშრომელთა მიერ საწარმოს ფართის გამოსყიდვისა და სხვა ხარჯის დასაფარავად შეტანილ 11180 დოლარს და ასევე მოტყუებით დაეუფლნენ თანამშრომელთა წილს შპს „ბასიანში“.

ყოველივე ამის გამო, მათ მიმართ, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**ოთარ ტურაზელიძე.**

◎ თარიღი

# აკაკი სექტემბრამდე მოიცდისო



**შესრულდა საქართველოს „ჩანგნაკურთხი საქართველოს ბულბულის“ აკაკი წერეთლის დაბადებიდან 165 და გარდაცვალებიდან 90 წლის საიუბილეო თარიღები. საზეიმო ღონისძიებები კი საჩხერის რაიონში სასექტემბროდ გადაუდიათ.**

აკაკის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ცეზარ ლაშხის მეგზურობით, მუზეუმის ხუთ ჰექტარნახევრიანი ეზო ფეხდაფეხ შემოვიარეთ და ყველა კუთხე-კუნჭულს შევავლეთ თვალი. ამაყად გაუშლიათ რტოები აკაკის მამულში ჩაყრილ ახალშენს, 1500 ძირ ძველშავს, საფერავს, ალექსანდროულს, ციცქასა და ცოლიკაურს. — კიდევ ორიოდე წელიც და აკაკის მარანი ვერ დაიტევს აქ დაწურულ ყურძნის ნაჟურსო, — ეამაყება ბატონ ცეზარს. საშემოდგომოდ კი „აკაკის“ სახელდების ღვინის წარმოებასაც აპირებენ.

„საჩხერელი აღმაშენებლის“ ბიძინა ივანაშვილის თაოსნობით, აქაც ბევრ სასიკეთოს ეყრება საფუძველი. კაპიტალურად შემოუღობავთ ეზო; მილსადენებით, მდინარე გონჯურაში ჩაუშვიათ მთიდან დაქანებული ნიაღვარი; შეუკეთებიათ კარის ეკლესია; მშენებლები მალე ჩამოხსნიან ხარაჩოებს ადმინისტრაციულ სახლსა და კინო-სალექციო დარბაზს. სამშენებლო ბაზის უფროსი ბესო ტეფნაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ნოდარ ქვათაძე და ბრიგადირი თენგიზ გაბაძე ჩვეული გულისხმიერებით ეკიდებიან მინდობილ საქმეს; თუმც, ამ ფონზე, დასანანია, რომ თვით მუზეუმს ჯერჯერობით მათი ხელი არ დასტყობია და მეტად უსახურად გამოიყურება.

სხვიტორელები იმედოვნებენ, რომ მშენებლები მუზეუმსაც შეაკეთებენ, შემოსასვლელ გზას დეკორატიულად შეღობავენ, შემდეგ კი სავანეში — ძიძისეულ სახლში გადაინაცვლებენ.

გამოცოცხლებაა რაიონის კულტურის განყოფილებაში, იგეგმება ღონისძიებები, ტარდება რეპეტიციები. გამოუშვეს გაზეთ „სიმების“ მე-3 ნომერი, დაგეგმილია ჟურნალ „ჩონგურის“ გამოცემაც.

... და, მიუხედავად ამისა, მაინც, წლევანდელ საიუბილეო ივნისს ის სხივოსნობა აკლია, „ბრდღვიალა მზესავით“ რომ უნდა გვეხილა საქართველოს ცაზე.

**სოზარ კუპატაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

# ევროკავშირის საბიუჯეტო სამიტი ჩაიშალა




**ბრიუსელში მიმდინარე სამიტის დროს ევროკავშირის ლიდერებმა ვერ მიაღწიეს კომპრომისს 2007-2013 წლების ევროკავშირის ბიუჯეტის შესახებ.**

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ევროპის ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ გაერთიანებული ევროპა განიცდის კრიზისს და მასში შემავალ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობა ჯერჯერობით დაუძლეველი რჩება.

„ცოტაა, თუ ვიტყვით, რომ ევროკავშირი მძიმე, ცუდ მდგომარეობაშია, რადგან იგი მართლაც კრიზისს განიცდის“, – აღიარა სამიტის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას ევროკავშირის თავმჯდომარე-ქვეყნის – ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრმა ჟან-კლოდ იუნკერმა.

ბიუჯეტის თაობაზე მოლაპარაკების ჩაშლის ფორმალური მიზეზი გახდა ის, რომ დიდი ბრიტანეთი არ დათანხმდა ევროკავშირის ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი კომპენსაციების შემცირებას. შეთანხმებას ასეთი გადასახდელების შესახებ მიაღწიეს ჯერ კიდევ 1980-იან წლებში, როცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა მარგარეტ ტეტჩერს.

ლონდონის მტკიცებით, იგი მზად არის განიხილოს კომპენსაციათა შემცირების საკითხი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის პარალელურად ევროპის ლიდერები დათანხმდებიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გადასინჯვას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები. ამ თანხებიდან დიდ ნაწილს იღებენ ფრანგი ფერმერები.

სამიტის შემდეგ პრესკონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს არ დაუმალავს, რომ ევროპაში მთავარი უთანხმოებაა პარიზისა და ლონდონის ურთიერთობაში. ამასთან, ბრიტანეთის პოზიციას მხარს უჭერს ნიდერლანდი, საფრანგეთისას კი – გერმანია.

დიდი ბრიტანეთის პოზიციის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ეს ქვეყანა პრივილეგირებულია ევროკავშირის სხვა წევრებთან შედარებით, რადგან იღებს საბიუჯეტო კომპენსაციებს. ამასთან, გაერთიანებული ევროპის დამფუძნებლები ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანწილად მოუწევთ ევროკავშირის 10 ახალი წევრისთვის განკუთვნილი სუბსიდიების ანაზღაურება.

„კომპრომისის მიღწევა შესაძლებელი იყო, – თქვა სამიტის დასრულების შემდეგ გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა, – მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ბრიტანელთა და ჰოლანდიელთა ურყევი პოზიციების გამო“.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმაც დაადანაშაულა ტონი ბლერი მოლაპარაკების ჩაშლაში და დასძინა, რომ ევროპა ამჟამად განიცდის „მძიმე კრიზისს“. შირაკის თქმით, ბრიტანეთის პრემიერი ცდილობდა მთლიანად შეენარჩუნებინა საკომპენსაციო თანხები, და ყოველივე ამის შედეგად ახლა სხვა ქვეყნებიც უფრო მეტად ზრუნავენ თავიანთი ინტერესების დაცვისთვის, რამაც ზიანი მიაყენა ევროპას. „ეს ცუდი შედეგია ევროპისთვის“, – აღიარა საფრანგეთის ლიდერმა.

# კონდოლიზა რაისი კვლავ ეწვია ახლო აღმოსავლეთს

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ეწვია ახლო აღმოსავლეთის რეგიონს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ღაზის სექტორიდან ისრაელის ჯარების კოორდინირებულ გაყვანას და დემოკრატიზაციისკენ უბიძგოს ეგვიპტის, იორდანიისა და საუდის არაბეთის მთავრობებს. ეს ქვეყნები თეთრმა სახლმა გამოაცხადა მთავარ მიმართულებად თავის საგარეო პოლიტიკაში.**

გარდა ამისა, რაისი აპირებს განიხილოს ვაშინგტონის გეგმები, რომელიც საერთაშორისო დახმარების ახალ პაკეტს სთავაზობს პალესტინის ავტონომიას. ამ დახმარებას პალესტინის მხარე მიიღებს მას შემდეგ,



რაც ისრაელი ღაზის სექტორიდან გაიტანს ებრაელთა ყველა დასახლებას. სავარაუდოდ, საქმე ეხება 3 მილიარდ დოლარს.

სახელმწიფო მდივანი ასევე გამოთქვამს პრეტენზიებს ისრაელის მიმართ, რომელიც აწვდის შეიარაღებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ეს ფაქტი უკვე კარგა ხანია ჰქმნის პრობლემებს ვაშინგტონისა და თელ-ავივის ურთიერთობაში.

ისრაელის წარმომადგენლები ამის პასუხად ამბობენ, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა სამხედრო მიწოდებები ჩინეთში, თანაც, მისი მოცულობა უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რომელსაც ახორციელებენ ევროპის ქვეყნები და რუსეთი.

არაბული ქვეყნების დედაქალაქებში ყოფნისას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აგიტაციას გაუწევს დემოკრატიულ რეფორმებს, მაგრამ ბუშის ადმინისტრაციის ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია სამართალდამცველთა ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკა, რადგან, მათი აზრით, ამერიკელებს სურთ თავს მოახვიონ რეგიონის ქვეყნებს თავიანთი ნება-სურვილი. ამის თაობაზე რაისმა აღნიშნა: თეთრ სახლს არა აქვს ილუზიები ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიზაციის პერსპექტივების თაობაზე და იგი არ ელის სწრაფ შედეგებს. „აქ საქმე ეხება ათწლეულებს, და თეთრმა სახლმა ეს იცის“, – დასძინა მან.

# ირანის პრეზიდენტს მეორე ტურში აირჩევენ



**ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭომ განაცხადა, რომ პარასკევს გამართული კენჭისყრის შედეგების მიხედვით ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტზე მეტის მოგროვება და ახლა გამარჯვებული უნდა გამოავლინოს მეორე ტურმა, რომელიც მომდევნო პარასკევს – 24 ივნისს გაიმართება.**

ბიულეტენების საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევრის დათვლის შედეგების მიხედვით, მეორე ტურში გასვლა თითქმის გაინაღდა ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ – იგი ჯერჯერობით ლიდერობს საარჩევნო რბოლას.

მაგრამ ცნობილი არ არის, თუ ვინ გახდება მისი მეტოქე: წინასწარი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, რაფსანჯანის მიუახლოვდნენ ირანის პარლამენტის ყოფილი სპიკერი მეჰდი ქარუბი და თეირანის მერი მაჰმუდ აჰმადინეჟადი.

არჩევნების წინ რაფსანჯანი ამბობდა, რომ აუცილებელია გაუმჯობესდეს ირანის ურთიერთობა ვაშინგტონთან. ამავე დროს კი, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გააკრიტიკა ირანში მიმდინარე არჩევნები.

პარასკევს გამართული კენჭისყრის დროს ძალზე მაღალი იყო ამომრჩეველთა გამოცხადების პროცენტი. ირანის ხელისუფლება იძულებული გახდა, სამჯერ გადაედო საარჩევნო უბნების დახურვის ვადა, რათა ყველა ამომრჩევლისთვის მიეცა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

# „ევროგვირაბს“ ჟაკ გუნონი გადაარჩენს

**ლა-მანშის ქვეშ გამავალი გვირაბის მფლობელი Eurotunnel კომპანიის აქციონერებმა გადაწყვიტეს, რომ ამ გაკოტრების პირას მყოფი ფირმის ხელმძღვანელი გახდება ჟაკ გუნონი – იგი შეასრულებს მისი პრეზიდენტის და გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობებს.**

ამ პოსტისთვის ბრძოლაში გუნონის მეტოქე იყო გამგეობის თავმჯდომარე ჟან-ლუი რაიმონი, რომელიც გასულ კვირას გადადგა თანამდებობიდან. ორივე მენეჯერი სხვადასხვაგვარად ხედავს კომპანიის წინაშე წამოჭრილ პრობლემათა მოგვარების გზას, რომელსაც 6,4 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ოდენობის (11,5 მილიარდი დოლარი) ვალები აქვს.

გუნონი აპირებს მკაცრი პოზიცია დაიკავოს 200 კრედიტორ-ბანკთან დიალოგის დროს. იგი მოითხოვს კომპანიის ვალების ორი მესამედის ჩამოწერას ისე, რომ კრედიტორებს არ გადასცემს საკუთრების უფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნონი აცხადებს, რომ „ევროგვირაბს“ სრული კრახი ელის.

რაიმონის აზრით, ეს გეგმა ძალზე აგრესიულია და მისი შესრულება შეუძლებელი იქნება. მას მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება კრედიტორებთან მიაღწიონ მორიგებას ხარჯების შემცირების შესახებ. ამ ყველაზე პრინციპულ საკითხში ორი ხელმძღვანელის სწორედ ასეთმა დაპირისპირებულმა პოზიციებმა გამოიწვიეს



კიდეც რაიმონის გადადგომა თანამდებობიდან.

როგორც კომპანიაში მიაჩნიათ, გუნონის დანიშვნა მოწმობს იმას, რომ „ევროგვირაბს“ შეუძლია თავი დააღწიოს კრიზისს.

თუ ვალის პრობლემა ვერ გადაიჭრება, უკვე ოქტომბრისთვის კომპანია გადახდისუუნაროდ გამოცხადდება. ეს როდი გულისხმობს, რომ შეწყდება მანქანების მოძრაობა გვირაბში – კრედიტორები ნებისმიერ შემთხვევაში დაინტერესებულები იქნებიან კომპანიის მუშაობის გაგრძელებით. გვირაბში არც მატარებლების მოძრაობა შეწყდება. მატარებლებს ფლობს „ეუროსტარის“ კომპანია, რომელიც „ევროგვირაბს“ უხდის საფასურს მისი გვირაბით სარგებლობისთვის.

თუმცა, აქციონერთა კრების შედეგებმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ფასების პოლიტიკაზე – ან „ევროგვირაბი“ დაიწყებს აგრესიულ ბრძოლას ბორნებისა და ავიაზახების ბაზრისთვის, შეამცირებს გვირაბით სარგებლობის საფასურს ან პირიქით – შემოსავლების გაზრდის მიზნით, მოუმატებს ფასებს.

„ევროგვირაბს“ ვალები დაუგროვდა მისი გახსნის დღიდანვე. კომპანია 1994 წელს ამუშავდა საგეგმო ვადით გათვალისწინებულზე ერთი წლის დაგვიანებით და უკვე მაშინ ჰქონდა 2 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ოდენობის ვალები.

ამის შემდეგ, გვირაბს უმძიმესი დარტყმა აგემეს საბორნე კომპანიებმა, რომლებმაც შეძლეს ლა-მანშზე მოგზაურობის მსურველთა საკმაო ნაწილის გადაბირება.

ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ გამოჩნდნენ იაფი ავიახაზები, რომელთა ბილეთების ფასი გაცილებით უფრო დაბალი იყო, გვირაბში მანქანით ან მატარებლით მგზავრობის ღირებულებასთან შედარებით.


## შეტყობინება

**სს „მეტეხის კერამიკას“ (მისამართი: კასპის რაიონი სადგური მეტეხი, ტელ: – 899 73-40-95) აქციონერთა საერთო კრების ჩასატარებლად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2005 წლის პირველი ივლისი.**

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2005 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერსა და საკუთარ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ ს ს „მეტეხის კერამიკას“ რეგისტრატორთან შ პ ს „კომპანია ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 22-53-51.**

**დ. ჩიტაშვილი,**
**გენერალური დირექტორი.**


◎ ჭიდაობა

# გამოვლინდა რვა ჩემპიონი

**თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დაიწყო და დღეს დამთავრდება თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძის სახელობისა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გივი კარტოზიას ხსოვნის ტურნირები. შეჯიბრებაში საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, საბერძნეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 130-მდე ფალავანი მონაწილეობს. სტუმართა შორის ყველაზე ტიტულოვანია წლევანდელი ევროპის ჩემპიონი, უკრაინელი ტარას დანკო (84 კგ.). იგი გუშინ გამოვიდა ხალიჩაზე და გულშემატკივართა სიმპათიებიც დაიმსახურა. დანკომ ნახევარფინალში ევროპის ჩემპიონსა და პრიზიორს, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსან რევაზ მინდორაშვილს სძლია, ფინალში კი ლერი ქეთიშვილი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.**

„კლასიკოსთა“ შორის ამ წონაში შესანიშნავად იჭიდავა თედო კუპატაძემ, რომელმაც გადამწყვეტი ორთაბრძოლა საკმაოდ ძლიერ სომეხ მეტოქეს – არმენ გეგამიანს მოუგო და ოქროს მედალთან ერთად გივი კარტოზიას თასი დაიმსახურა.



გუშინ გამართული დანარჩენი პაექრობებიდან განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ფინალური შეხვედრები 120 კილოში. ჩვეულებრივ, მძიმე წონაში შერკინებები დუნედ მიმდინარეობს და გულშემატკივრებზე განსაკუთრებულ ეფექტს იშვიათად ახდენს. სწორედ, გამონაკლისები ვიხილეთ გუშინ. „კლასიკოსთა ფინალში წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი მირიან გიორგაძე და გიორგი ჯობავა შეხვდნენ ერთმანეთს. თავიდან ჯობავამ შეუტია და 2 ქულაც აართვა მეტოქეს, მაგრამ პირველი პერიოდის დამთავრებამდე 13 წამით ადრე გიორგაძემ ლამაზი გდებით სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

ვადამდე დაამთავრა შერკინება თავისუფალ ჭიდაობაში ალექსი მოდებაძემაც. გიორგი ნიკურაძემ მას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია...

აქვე გაუწყებთ რვა წონით კატეგორიაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

**თავისუფალი ჭიდაობა:**

**55 კგ.** 1. გოჩა კირკიტაძე, 2. ბესიკ გუჩაშვილი (ორივე საქართველო), 3. ვაგან სიმონიანი (სომხეთი) და არიფ ზამანოვი (აზერბაიჯანი).

**66 კგ.** 1. ოთარ თუშიშვილი, 2. ცოტნე ბარამიძე, 3. პაატა ნოზაძე (სამივე საქართველო) და ემილ აზიზოვი (აზერ.).

**84 კგ.** 1. ტარას დანკო (უკრაინა), 2. ლერი ქეთიშვილი, 3. მიხეილ ბაგაური და რევაზ მინდორაშვილი (სამივე – საქართველო).

**120 კგ.** 1. ალექსი მოდებაძე, 2. გიორგი ნიკურაძე, 3. აკაკი საბაშვილი და კობა ბზიკაძე (ყველა საქართველო).

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:**

**55 კგ.** 1. ირაკლი ჭოჭუა, 2. გოდერძი დავითაძე, 3. მირიან ნიშნიანიძე (სამივე საქართველო) და ვარჯან ბაგუმიანი (სომხეთი).

**66 კგ.** 1. ვაგრამ ონანიანი (სომხეთი), 2. მუხრან მაჭუტაძე, 3. კახა ცირამუა და შმაგი გოქაძე (სამივე საქართველო).

**84 კგ.** 1. თედო კუპატაძე (საქართველო), 2. არმენ გეგამიანი (სომხეთი), 3. შალვა გადაბაძე და პაატა ზაქარაძე (ორივე საქართველო).

**120 კგ.** 1. მირიან გიორგაძე, 2. გიორგი ჯობავა, 3. ილია სამხარაძე და ზაზა სილაგაძე (ყველა საქართველო).

**დღეს 10 საათიდან პაექრობაში 60, 74 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფალავნები იჭიდავებენ. ფინალური შეხვედრები 16 საათიდან დაიწყება.**

**ლექსო ცინცაძე.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

◎ ჩვენი მეტოქე

# წაგებების მიუხედავად

**7 მატჩიდან 7 წაგება, ბურთების სხვაობა 2-21 – ასეთი კატასტროფა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, მართლაც რომ, სარეკორდოა.**

**მოვუსმინოთ ანტონ შოხს, რომელიც უწინ საბჭოთა კავშირის, ავსტრიის, ფინეთისა და ისრაელის გუნდებში თამაშობდა, ახლა კი ყაზახეთის ნაკრების მეორე, და, ამავდროულად, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა.**

– ჩვენი გუნდის სუსტი თამაშის სამ მიზეზს დავასახელებ: ძალიან ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით, ევროპულ ტურნირში პირველად ვთამაშობთ, ამდენად, გამოცდილება გვაკლია და, რაც მთავარია, ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს. სრულიად შეგნებულად გავაკეთეთ არჩევანი გუშინდელ იუნიორებზე. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ყაზახეთის ნაკრებს მომდევნო შესარჩევ ციკლებში პერსპექტივა გაუჩნდეს. ჯერჯერობით კი, მართლაც რომ, სტატისტები ვართ.

◎ იმედგაცრუებულნი

# ამჯერად უვიზოდ სამბისტები დარჩნენ

**გრძელდება ქართველ სპორტსმენთა დიპლომატიური პრესინგი – ამჯერად ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა სამბისტთა ნაკრები დარჩა, რომელიც ხვალ კანადის ქალაქ ტორონტოში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ, დაჯავშნული ბილეთების მიუხედავად, სამშობლოში მოუწია დარჩენა. თვით ფორუმი ოთხშაბათს იწყება.**



ჩვენი სახელოვანი ფალავნები მომხდარში თურქეთში საქართველოს კონსულს ადანაშაულებენ, რომელსაც სტამბოლის კანადის საელჩოში დროულად ვერ მოუგვარებია ვიზების საკითხი:

**ზაურ სახვაძე:** – მსოფლიო ჩემპიონატის წინ 8 კილოგრამი დავიკელი და არნახულად მოვემზადე. როგორი საქმეა, უკანასკნელ მომენტში რომ მოგისპობენ ტიტულის დაცვის შანსს?

**კახა მიქელთაძე:** – დამეთანხმებით, ძნელია, როცა 40 (!) კილოგრამს „ჩამოყრი“ და ყველაფერი წყალში ჩაგეყრება. აწი რომც მომცენ ვიზაჩარტყმული პასპორტი, იმ ფურცელს საერთოდ ამოვხევ...

დავძენთ, რომ ვეტერან ქართველ სამბისტთა იმედგაცრუების ამბავი გუშინ გაირკვა, უქმე დღეებში კი, მოგეხსენებათ, დიპლომატები ისვენებენ, ამიტომ მტყუან-მართლის გარჩევა და ინფორმაციის გადამოწმება სამომავლოდ გადავდოთ. თუმცა, მთავარს აღარაფერი ეშველება – მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში მთავარ ფავორიტთა – ქართველთა გარეშე გაიმართება.

◎ მძლეოსნობა

# შვილიშვილი ბებიის კვალზე

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. საასპარეზოდ 24 ქალაქისა და რაიონის 400-მდე სპორტსმენი გამოვიდა.**



– ასეთი მასობრივი შეჯიბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 1998 წლის შემდეგ აღარ მოუწყვია, – გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა,** – პირველ ჯგუფში ყველას თბილისის ნაკრებმა აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ფოთელები და ქუთაისელები გავიდნენ. მეორე ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვანი, 2. ქარელი, 3. ჭიათურა.

უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის ბირთვის კვრაში გაიმარჯვა თბილისელმა გიორგი ბედოშვილმა. ახალციხელი სტაიერის – ზიგმუნდ ზილბერშტეინის ვაჟმა გიგლამ 800 მეტრზე რბენა მოიგო. გოგონათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის – ნადეჟდა დვალიშვილის შვილიშვილის – ლიკას წარმატება. 13 წლის გოგონამ სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომებში აჯობა თანატოლებს.

უფროს ასაკში განსაკუთრებით გამოვყოფ ყვარლელ მერაბ ქააძეს, რომელმაც 800 და 1500 მეტრზე რბენაში პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. სამწუხაროა, რომ ყვარელმა ამ შეჯიბრებაზე გუნდი ვერ ჩამოიყვანა...

აქვე დავძენთ, რომ ჩვენი საუკეთესო მძლეოსნები 18-19 ივნისს ძალებს მოსინჯავენ ევროპის საკლუბო ჩემპიონატში, რომელსაც იზმირი უმასპინძლებს, 8-9 ივლისს კი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.



**შალვა ქირია.**
**სურათებზე: შეჯიბრების მომენტი; ყარამან საბანაშვილი აჯილდოებს გამარჯვებულებს.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

◎ ჭადრაკი

# გვემატოს

**ფიდეს უკანასკნელი კონგრესის გადაწყვეტილებით, დიდოსტატის წოდება მიენიჭა ახალგაზრდა ქართველ მოჭადრაკეს დავით შენგელიას, რომელმაც კაპელა-ლე-გრანდის (საფრანგეთი) დიდ საერთაშორისო ტურნირში (შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად) პირველი ადგილი დაიკავა.**

ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის წოდება ლელა ჯავახიშვილმა, ხოლო ქალთა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება **სოფიკო ხუხაშვილმა** დაიმსახურა.



# რატომ არ თამაშობს კრამნიკი?

**„კლასიკურ ჭადრაკში“ მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა უარი განაცხადა, ითამაშოს 8 გამოჩენილი დიდოსტატის „გამაერთიანებელ მსოფლიო ჩემპიონატში“, რომელიც 27 სექტემბრიდან ქ. სან ლუისში (არგენტინა) გაიმართება.**

– დოკუმენტში, რომელსაც 2002 წელს პრაღაში მოეწერა ხელი, – ამბობს კრამნიკი, – ნათქვამია, რომ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი უნდა გამოვლინდეს ფიდეს მსოფლიო ჩემპიონსა და კრამნიკ-ლეკოს მატჩში გამარჯვებულს შორის. ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც კასიმჟანოვ-კასპაროვის მატჩის გაუქმება ჩემს მდგომარეობაზეც უნდა მოქმედებდეს საჭადრაკო გაერთიანების პროცესში. გაუგებარია, რის საფუძველზე ჩამრთო ფიდემ ტურნირის მონაწილეთა სიაში ისე, რომ ამის შესახებ არც კი შემატყობინა... მზად ვარ, დავასრულო საჭადრაკო გაერთიანების პროცესი, როგორც ეს პრაღის შეთანხმებითაა გათვალისწინებული. ამ ჩიხიდან გამოსასვლელად საჭიროა ჩემი მატჩის გამართვა არგენტინის გამაერთიანებელი ტურნირის გამარჯვებულთან. თუკი ფიდე პრაღის შეთანხმებებზე უარს იტყვის, მაშინ თავად დავიწყებ მოლაპარაკებას დაინტერესებულ პირებთან მსოფლიო პირველობაზე კლასიკური სტილით მატჩის მოსაწყობად.

◎ სპორტულ ორბიტაზე

# 0:20 – მართლაც საეჭვო ანგარიშია!



**შეთანხმებულმა (თუ გაყიდულმა) მატჩებმა ფართოდ მოიკიდა ფეხი თანამედროვე ფეხბურთის პრაქტიკაში. შეიძლება ითქვას, მისგან თითქმის არც ერთი ქვეყანა არაა დაზღვეული, მაგრამ იმან, რაც ავსტრიაში მოხდა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.**

რეგიონული ბიურგერლიგის (ავსტრიული ფეხბურთის მესამე ეშელონი) კლუბის „პოდერსდორფის“ ფეხბურთელებს ბრალად დასდეს, რომ მათ განზრახ წააგეს მატჩი „ვაიდენთან“ გამანადგურებელი ანგარიშით – 0:20 (?!).

„ვაიდენს“ მართლაც სჭირდებოდა ძალზე დიდი ანგარიშით გამარჯვება, რათა სატურნირო ცხრილში გადაესწრო მთავარი კონკურენტისთვის „გროსჰუფლიანისთვის“, რომელმაც თავის მხრივ დიდი ანგარიშით – 6:0 გაიმარჯვა ბოლო ტურში. „ვაიდენმა“ სასურველს მიაღწია, მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, მეტოქის დახმარებით, რომლისთვისაც ამ შეხვედრის ანგარიშს არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ყოველივე ამან კი ძალზე აღაშფოთა „გროსჰუფლიანის“ გულშემატკივრები, მათ ღიად დასდეს ბრალი კონკურენტებს მეტოქეებთან მოლაპარაკებაში, რის გამოც ბიურგერლიგის პრეზიდენტმა კარლ კაპლანმა სპეციალურად განაცხადა: „არ მინდა, ჩვენი დივიზიონი დაცინვის ობიექტი გახდეს... ყველაფერს გამოვიძიებთ, ლიგის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი ყოველგვარი ეჭვისგან თავისუფალი უნდა იყოს!“

# მოტოსპორტიდან – „ფორმულა-1“-ში

**თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, Moto GP კლასში მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ვალენტინო როსი უახლოეს დროში პროფილს შეიცვლის და „იამახას“ იტალიელი პილოტი „ფორმულა-1“-ის ბოლიდის საჭეს მიუჯდება. იტალიური მასმედიის ცნობით, როსიმ უკვე მრავალი მიწვევა მიიღო, მათ შორის „ფიატიდან“.** თუმცა თავად პილოტის პასუხი ჯერჯერობით არ ისმის. აი, რას ფიქრობს ამის თაობაზე „ფიატის“ სპორტული დირექტორი მატილდე ტომაჯანი: „სიზმარი მალე აცხადდება, როცა ვალენტინო ჩვენი გუნდის წევრი გახდება. ვის არ უნდა, როსი თავისთან იხილოს?..“



უნდა ითქვას, რომ მოტოსპორტიდან როსის წასვლის შესახებ ხმები უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მან მონაწილეობა მიიღო „ფერარის“ სატესტო ვარჯიშებში. ზოგზოგი უკვე იმასაც ამტკიცებს, რომ როსიმ, შესაძლოა, თვით შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერიც კი შეცვალოსო.

# ბექჰემს მიბაძა?

**ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ მოთამაშემ ეშლი კოულმა ხელი და გული შესთავაზა ჯგუფის Girls Aloud სოლისტს, 21 წლის ჩერილ ტვიდის, რაზეც უარი არ მიუღია. როგორც თავად ჩერილი ამბობს, ძალზე რომანტიული იყო, როცა დაჩოქილი კოული სიყვარულს უხსნიდა.**



ამ ამბავმა ბევრს მეორე ცნობილი წყვილი – დევიდ ბექჰემი და ვიქტორია ადამსი გაახსენა. – იქაც და აქაც ცნობილი ფეხბურთელია და პოპ-მომღერალი. ახლა შვებულებაში მყოფმა კოულმა სატრფო საამიროებში აქლემებით ეგზოტიკურ სეირნობაზე დაპატიჟა, იქამდე კი 50 ათას გირვანქად ღირებული ბრილიანტებიანი ბეჭედი მიართვა. რათა ღამის კლუბში გაცნობილ სატრფოსთან ახლოს ყოფილიყო, ფეხბურთელმა ჩრდილო ლონდონში 750 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა ჩერილის სახლზე მიმდებარე პენტჰაუსი, რამაც ისინი უფრო დააახლოვა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 144. კვირა, 19 ივნისი, 2005 წელი.

## ყველაფერი ყველაფერზე

### „მაზეპა" ფესტივალში



ზალცბურგის ფესტივალი კონცერტებისგან, საოპერო დადგმებისა და დრამატული სპექტაკლებისგან შედგება. დიდი ხნის განმავლობაში მის პროგრამაში შეიძლებოდა მხოლოდ გერმანულენოვანი ავტორების ნაწარმოებების, ან გერმანულად თარგმნილი მხოლოდ კლასიკის მოსმენა და ნახვა. რამდენიმე წლის წინათ კი ცვლილებები დაიწყო: დრამატურგებისა და რუს კომპოზიტორთა ოპერების შეტანის მიზეზით ხელი.

წლეულს ფესტივალზე საკონცერტო შესრულებით გაიჟღერებს პეტრე ჩაიკოვსკის „მაზეპა". დირიჟორის პულტთან დადგება ვალერი გერგიევი, მაზეპას პარტიას შეასრულებს ვალერი ალექსეევი, კოჩუბეისას – ვლადიმერ ვანეევი, მარიასას – ოლგა გურიაკოვა. ოპერას რუსულ ენაზე იმღერებენ.

ზალცბურგის ფესტივალის ერთ-ერთი პრემიერა იქნება ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა", ვიოლეტას პარტიას იმღერებს ანა ნეტრებკო. მართალია, ეს პარტია უკვე შეასრულა გერმანიაში, მაგრამ რეჟისორი ვილი დეკერი ამბობს, რომ მის დადგმაში გმირი ქალი სულ სხვანაირად გამოჩნდება. ანა ნეტრებკოს ალფრედის პარტიაში პარტნიორობას გაუწევს მექსიკელი ტენორი როლანდო ვილაზონი.

### ოფიცრის ჯვრის კავალერი



გერმანიის მთავრობამ ოფიცრის ჯვრის ორდენით დააჯილდოვა იური ლიუბიმოვი – ამ ქვეყნის წინაშე დამსახურებებისა და გერმანიისა და რუსეთის ხალხთა შორის კულტურული კავშირების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის (ეს ორდენი უცხოელებსა და გერმანელ მოქალაქეებს გადაეცემათ მეცნიერებისა და კულტურის დარგებში გაწეული დამსახურებისთვის).

დაჯილდოების ცერემონია გერმანიის ელჩის რეზიდენციაში შედგა (მოსკოვი, პოვარსკაიას ქუჩა), სადაც საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰანს-ფრიდრიხ ფონ პლეცმა პრეზიდენტის სახელით გადასცა იური ლიუბიმოვს ოფიცრის ჯვარი. ელჩმა რეჟისორს XX საუკუნის ევროპული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე უწოდა. მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებული თეატრის სპექტაკლები მაყურებლისათვის თავისუფლების შესუნთქვად იქცა და რომ სწორედ აქ დადგეს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტი".

იური ლიუბიმოვმა მადლობა გადაუხადა გერმანიის პრეზიდენტს ჯილდოსთვის და დასძინა, რომ სპექტაკლმა „ოსტატი და მარგარიტა", გერმანულ სცენაზე კვლავ ... ; და რომ პირველი შესვლა მისი ხელისუფალთ ...

### ჯორჯ ლუკასმა ჯილდოები მოიხვეჭა

ამერიკის კინოინსტიტუტმა შემოქმედებითი კარიერისთვის პრიზით დააჯილდოვა ჯორჯ ლუკასი, რომელმაც დაასრულა ეპოპეა „ვარსკვლავური ომები". საზეიმო ცერემონია ამ დღეებში გამართა ლოს-ანჯელესის კინოთეატრში „კოდაკი", ახლო მომავალში კი ერთ-ერთი ამერიკული ტელეარხით უჩვენებენ.

სტივენ სპილბერგმა რამდენიმე წლის წინათ უკვე მიიღო ეს პრიზი, ახლა კი დამაჯილდოვებლის როლში გამოვა – თვითონ გადასცემს ჯორჯ ლუკასს.




„ვარსკვლავური ომების" ავტორი 34-ე ლაურეატი გახლდათ (აქამდე ჯილდო მიიღეს მსოფლიო კინოს კლასიკოსებმა ალფრედ ჰიჩკოკმა, ორსონ უელსმა, ჯონ ფორდმა, ბილი უაილდერმა და სხვებმა). ... „ვარსკვლავური ომების" ...

# როგორ გაება საფანგში ბერია

## კრემლის შეთქმულება ლუბიანკის წინააღმდეგ

**1953 წლის 10 ივლისს, საბჭოთა პრესის ფურცლებზე, გაზეთმა "პრავდამ" გამოაქვეყნა ოფიციალური ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, რომელმაც განიხილა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრა უცხოური კაპიტალის ინტერესებისთვის. კრემლის საიდუმლოებებში გაუთვითცნობიერებელ მოქალაქეებზე მაშინ "პრავდაში" დაბეჭდილმა ინფორმაციამ გამაოგნებელი ეფექტი მოახდინა. როგორ მოხდა ეს? – ჯერ ხომ კიდევ გუშინ ამ ადამიანს ხოტბა-დიდებას ასხამდნენ. და უცებ ირკვევა, რომ ლავრენტი ბერია საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტერი ყოფილა... მაინც, რა მოხდა სინამდვილეში?**

### ბრძოლა ხელისუფლებისთვის

**1953 წლის მარტში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როლები უმაღლეს საბჭოთა ხელმძღვანელობაში ასე განაწილდა: ბერიას წინადადებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცეს გიორგი მალენკოვი, ამ უკანასკნელმა კი, მადლიერების ნიშნად, ბერია თავის პირველ მოადგილედ დანიშნა და დათანხმდა შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების გაერთიანებას, რითაც იმპერიის ტოტალური კონტროლის სადავეები, ბუნებრივია, ბერიას გადასცა.**

ხრუშჩოვს, როგორც სტალინის მემკვიდრეს სკპ(ბ) – სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში ფაქტობრივად დარჩა მეორეხარისხოვანი როლი, რადგან მიიღეს გადაწყვეტილება ფუნქციების ხელახალი განაწილების შესახებ: ამიერიდან ცენტრალური კომიტეტი უნდა გაძღოლოდა, ძირითადად, პარტიულ საქმეებსა და იდეოლოგიას და არ უნდა ჩარეულიყო სახალხო მეურნეობის ოპერატიულ მართვასა და საგარეო პოლიტიკაში.

ხრუშჩოვი, მისთვის დამახასიათებელი ცბიერებით, ისე შეხვდა ამ ამბავს, თითქოს მისთვის ხელსაყრელი ყოფილიყო სახელმწიფო მართვის რეფორმის ბერიასეული ვარიანტი და ამით მოადუნა ქვეყნის მთავარი ჩეკისტის სიფხიზლე. უნდა ითქვას, რომ ლავრენტი ბერიამ, ამ ვერაგმა პიროვნებამ, რომელიც ჩინებულად ერკვეოდა ადამიანთა ხასიათში, ვერ აუღო ალღო ნიკიტა ხრუშჩოვს, სათანადოდ ვერ შეაფასა „უკრაინის დიადი შვილის" პატივმოყვარე მისწრაფებათა მასშტაბი. ეს შეცდომა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

სტალინის გარდაცვალებიდან პირველივე თვეებში ხრუშჩოვი ძალზე ფრთხილად ცდილობდა საიდუმლო რანდევუს დროს დაერწმუნებინა ჯერ მალენკოვი, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრი – საბჭოთა კავშირის მარშალი ნიკოლოზ ბულგანინი, ასევე ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები – მიქოიანი, მოლოტოვი და სხვები იმაში, რომ ბერიას თუ არ მოიშორებდნენ თავიდან, იგი ყველას მოსპობდა.



თანამზრახველთა წრე ნიკიტა ხრუშჩოვს ზაფხულის დამდეგისთვის გამოუჩნდა. მაგრამ ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა ბერიას თავიდან მოშორების ოპერაციის განხორციელების ტექნიკა. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმზე ან პლენუმზე თანაპარტიელი ამხანაგის ცოდვების წინასწარ დანიშნული საჯარო განხილვის ჩვეულებრივი პროცედურა ამ შემთხვევაში ვერ გაამართლებდა. მაშინ მიაჩნდათ, რომ ბერია თუ შეიტყობდა მის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადების ამბავს, იგი დაუყოვნებლივ განახორციელებდა სახელმწიფო გადატრიალებას და ყველას გაანადგურებდა.

„სამშობლოს მხსნელებს" ისღა დარჩენოდათ, რომ გამოეყენებინათ ნაძირალების კლასიკური იარაღი: სიცრუე, ჩასაფრება, ხაფანგი. ხოლო რადგან თვით ბერია ამ საქმის დიდი ოსტატი იყო, როგორც ისტორიკოსი აბდურახმან ავტორხანოვი წერდა, დასავლეთში გამოცემულ წიგნში „სტალინის სიკვდილის საიდუმლოებები", კარგად გათვლილი სიცრუის გარდა, ძალზე გონივრულად მოფიქრებული ხაფანგის დაგებაც იყო საჭირო.

### დაპატიმრება: ავტორხანოვის ვერსია

**ოპერაცია დაამთხვიეს მოსკოვის სამხედრო ოლქის საზაფხულო მანევრების დაწყებას. ამ მანევრებისთვის ჩამოიყვანეს რამდენიმე შენაერთი ციმბირიდან იმ შემთხვევისთვის, თუ ტამანის და კანტემიროვის დივიზიებში გადააწყდებოდნენ წინააღმდეგობას ბერიას მომხრეების მხრიდან. ხრუშჩოვისა და ბულგანინის მიერ შემუშავებული სცენარის თანახმად, ამ უკანასკნელს, როგორც თავდაცვის მინისტრს, მოახსენებდნენ წვრთნის მიმდინარეობის შესახებ, ამიტომ კრემლში დიდი რაოდენობის სამხედროების გამოჩენას არ უნდა გამოეწვია დაცვის შეშფოთება, რომელიც ძირითადად ბერიას ერთგული ადამიანებისგან შედგებოდა.**

1953 წლის 26 ივნისს, შუადღისთვის, მთავრობის წევრები შეიკრიბნენ კრემლში, მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში, მოწვეული მხედართმთავრები და „სამხედრო ექსპერტები" კი – იქვე მახლობლად, მოსაცდელ ოთახში, საიდანაც ისინი უნდა გამოეძახათ დარბაზში შესაბამისი საკითხის განხილვის დროს.

იხ. მე-7 გვ.

## ქრონოგრაფი

### 20 ივნისი, 1837 წელი



ინგლისის მეფის უილიამ IV გარდაცვალების შემდეგ შეწყდა ჰანოვერთა დინასტია, რომელსაც მამაკაცების განშტოებით შთამომავლობა არ დარჩენია. ტახტზე ავიდა 18 წლის ვიქტორია და ინგლისის ტახტზე ვინძორთა სასახლის მმართველობას საფუძველი ჩაუყარა. დედოფლის 64-წლიანმა მეფობამ ინგლისი კულტურულად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნად აქცია.

### 21 ივნისი, 1609 წელი

ხსენების დღე წმიდა მოწამე თევდორე მღვდლისა (კველეთელისა). იგი მოღვაწეობდა მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულსა და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. ამ დროს საქართველოსთვის ძალზე მძიმე დღეები დამდგარიყო. დაპყრობილი ტერიტორიებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ოსმალეთი და სპარსეთი. ოსმალეთმა აიღო ბაღდადი, შემდეგ მიიტაცა სამცხე-საათაბაგო და ახალციხის მხრიდან შემოესია საქართველოს. ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ II მცირე ამალით თავის საზაფხულო რეზიდენციაში ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა. ოსმალებმა გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ მას და მეფის შეპყრობით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ. მათ სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი და მიადგნენ მანგლისს. ლუარსაბ მეფემ მტრის შემოსევის შესახებ არაფერი იცოდა. მანგლისის ახლოს სოფელ კველათში თათრებმა შეიპყრეს მღვდელი, სახელად თევდორე და უბრძანეს მოკლე გზა ეჩვენებინა ცხირეთის ციხისაკენ. თევდორემ მომხვდურები კლდოვანი და საკმაოდ შორი გზით წაიყვანა. გზაში უამრავი თათარი დაიღუპა – ხევში გადაცვივდნენ. გაშმაგებულმა მუსულმანებმა, მიხვდნენ რა თევდორეს ჩანაფიქრს, მღვდელს თავი მოჰკვეთეს. მეფემ ციხეში გამაგრება მოასწრო, მაშველმა ძალამ კი მოთარეშეებს მუსრი გაავლო.

### 22 ივნისი, 1555 წელი



დიდი მოგოლის, იმპერიის დამაარსებლის ბაბურის უფროსმა ვაჟმა ხუმაიუნმა, რომელიც მამის ტახტის მემკვიდრე 1530 წელს გახდა, ათწლიანი ბრძოლის შემდეგ ქალაქ სირხინდთან სასტიკად დაამარცხა თავისი ერთ-ერთი მოწინააღმდეგე სიკანდარ-შაჰი. ხუმაიუნის წინააღმდეგ იბრძოდნენ მისი ძმებიც, რომელთაც ტახტის ჩაგდება სურდათ ხელში. იგი კვლავ ავიდა ქალაქ დელიში ტახტზე, ხუმაიუნმა სულ ერთი წელიწადი შესძლო მეფობა – თავისი ბიბლიოთეკის სახურავზე ფეხი დაუსხლტა და სული ალაჰს მიაბარა.

### 23 ივნისი, 1910 წელი



საფრანგეთის ქალაქ ბორდოში დაიბადა გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგი ჟან ანუი. მისი პიესები სიყვარულის, საზოგადოებაში მიღებული ფასეულობების მიმართ ცინიზმის, თავისუფლებისადმი ბრძოლისა და ადამიანთა ბედნიერებისთვის ბრძოლის იდეებზეა შექმნილი. ჟან ანუის პიესები „ვახშამი სანლისზე", „ანტიგონე", „პატარა ქალბატონი მოლიერი" და ჟანა დარკისადმი მიძღვნილი „ტოროლა" მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენებზე იდგმება, მათ შორის საქართველოშიც.

### 24 ივნისი, 1945 წელი



მოსკოვში, წითელ მოედანზე ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი გრანდიოზული პარადი ჩატარდა. პარადი მიიღო მარშალმა გიორგი ჟუკოვმა, აღლუმს ხელმძღვანელობდა მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი. პარადის კულმინაციას წარმოადგენდა მავზოლეუმის ტრიბუნაზე საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა და გენერალისიმუსის, მსოფლიო ხალხთა ბელადის იოსებ სტალინის ფეხქვეშ ვერმახტის დროშების დაყრა. შემდგომ, კრემლში საზეიმო მიღებაზე სტალინმა ისტორიული სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც ხაზი გაუსვა რუსი ხალხის ამტანობას, სიძლიერესა და სიბრძნეს.

### 25 ივნისი, 1925 წელი



ჰოლივუდის „ეგვიპტურ" თეატრში ჩატარდა საპრემიერო გალა-ჩვენება ლეგენდარული ჩარლი ჩაპლინის ფილმისა „ოქროს ციებ-ცხელება", რომელიც მსოფლიო კინემატოგრაფიის ოქროს ფონდში შევიდა. ქვეყნის დიდ ქალაქებში ჩაპლინის ამ ექსცენტრიკულ კომედიას არნახული აღიარება მოჰყვა, ხოლო მცირე ქალაქებში პირიქით – ფილმმა არ გაამართლა და კინოფილმის ბევრი გამქირავებელი გაკოტრების პირას აღმოჩნდა.

### 26 ივნისი, 1716 წელი

ხსენების დღე წმიდა ანთიმოზ ივერიელისა. იგი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, ფლობდა მრავალ უცხო ენას: ბერძნულს, რუმინულს, ძველ სლავურს, არაბულს, თურქულს. გათვითცნობიერებული იყო თეოლოგიაში, ბუნებისმეტყველებასა და ლიტერატურაში, შესანიშნავი გრავიორი, მხატვარი, ქსილოგრაფი და მოჩუქურთმე გახლდათ. იყო რეფორმატორია სალიტერატურო რუმინული ენისა. ანთიმოზ ივერიელმა სიცოცხლე შესწირა თავისი მეორე სამშობლოს ვლახეთის გათავისუფლებას თურქთა და ფარიოტთა უღლისაგან. იგი სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი იყო. არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში. სამშობლოში დაბრუნებული კავკასიელმა მთიელებმა ტყვედ ჩაიგდეს და მონად გაყიდეს. მონობიდან გამოიხსნა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა. 1690 წელს ვლახეთის მეფის კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ვლახეთში ჩავიდა და იქ სათავეში ჩაუდგა სასტამბო საქმეს. 1694 წელს დანიშნეს სნაგოვის მონასტრის წინამძღოლად, 1705 წელს ხელი დაასხეს რიმნიკის ეპისკოპოსად, ხოლო 1708 წელს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად. 1716 წელს თურქებმა სიკვდილით დასაჯეს ვლახეთის უკანასკნელი მთავარი. განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ანთიმოზ ივერიელი ჩაუდგა. იგი მოტყუებით გაიყვანეს სახლიდან და მდინარე დულჩიას ნაპირზე აკუწეს, მისი წმიდა ნაწილები მდინარეში გადაყარეს.



## დიდთა დიდი ფილმები

### „ფანი და ალექსანდრე"

**რეჟისორი ინგმარ ბერგმანი, შვედეთი, 1983. როლებში: ალან ედვალი, გუნარ ბერნსტრანდი, ერლანდ იუსეფონი, ჰარიეტ ანდერსონი, ლენა ელინი, ევა ფრელინგი.**

სამშობლოში დიდი ხნის არყოფნის შემდეგ დაბრუნებულმა გამოჩენილმა რეჟისორმა განაცხადა, რომ ეს მისი უკანასკნელი სურათია. ფილმი მკვეთრად განსხვავდება მისი წინა ნამუშევრებისგან – საოცრად ნათელი, თბილი, ოპტიმისტური განწყობითაც, კოლორიტითაც, მოჭარბებული მძაფრი მეტაფორული ხატოვანებითაც და კომპოზიციითაც.

ინგმარ ბერგმანმა ბიჭუნას – თეატრის დირექტორისა და მსახიობი ქალის შვილის – აღქმით გვიჩვენა ერთი დიდი ოჯახის, გასული საუკუნის დასაწყისის შვედეთის განზომილებებით ერთობ გავლენიანისა და მდიდარის, ისტორია; ამით მან ეკრანზე ბავშვობის მოგონებები, შთაბეჭდილებები, განცდები, შიში, აღტაცება გადაიტანა და განსაცვიფრებელი და იდუმალი სამყარო გადაგვიშალა.




### „კრიმინალური საკითხავი"

**რეჟისორი კვენტინ ტარანტინო, აშშ, 1994. როლებში: ჯონ ტრავოლტა, სამიუელ ჯექსონი, უმა თურმანი, ბრიუს უილისი.**

ახალი დროის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ფილმი, რომლის შემდეგაც გუშინდელი ექსტრავაგანტური დებიუტანტი კვენტინ ტარანტინო („საკითხავი", როგორც ყველასთვის ცნობილია, მისი მეორე რეჟისორული ნამუშევარია) საკულტო ფიგურად იქცა და მომავალი XXI საუკუნის რეჟისორად გამოცხადდა.

სურათში სამი სისხლიანი ისტორიაა გადმოცემული, განზრახ დარღვეული ქრონოლოგიით – ძალიან მარჯვედ გადაღებული და ერთმანეთთან ერთობ თავნებად დაკავშირებული ამბებია...

ლენტი ერთიანად ირონიით არის გამსჭვალული და გვანცვიფრებს არატრივიალური დრამატურგიული სვლებით, კინოენის არაჩვეულებრივი სიახლით. კინემატოგრაფიული ხულიგნობით კვენტინ ტარანტინო არა მარტო უბრალოდ აღფრთოვანებას იწვევს, არამედ მაყურებლებს პირდაპირ „აგიჟებს" სიამოვნებისგან.

### „გაქცეული სიყვარული"

**ფრანსუა ტრიუფოს შედევრი, საფრანგეთი, 1978. როლებში: ჟან-პიერ ლეო, მარი-ფრანს პიზიე, კლოდ ჟადი, ჟიულენ ბერტო.**

ეს გახლავთ მეხუთე და ბოლო ფილმი ანტუან დუანელეს შესახებ ცნობილ ციკლში, ანტუანისა, რომელიც იზრდებოდა ამ როლის შემსრულებელ ჟან-პიერ ლეოსთან ერთად. ცოლი კრისტინა და ვაჟიშვილი რომ დატოვა, სურათის გმირმა (ახლა უკვე 33 წლის მწერალმა) ვნებიანად შეიყვარა გრამფირფიტების გამყიდველი ქალი. განქორწინების პროცესზე ის ხვდება ყოფილ ცოლს და ორივე იხსენებს, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი („მოპარული კოცნები"), როგორ ცხოვრობდნენ ერთად („ოჯახური კერა"). ანტუანში ნოსტალგიური მოგონებები აღძრა აგრეთვე სიჭაბუკის მეგობარ გოგონასთან, კოლეტთან შემთხვევითმა შეხვედრამ („ანტუანი და კოლეტი")...



### „ცუდი აღზრდა"

**რეჟისორი პედრო ალმოდოვარი, ესპანეთი, 2004.**

**სურათში, რომელიც კინოკრიტიკამ გასული წლის ყველაზე შესამჩნევ მოვლენათა რიცხვს მიაკუთვნა, ლაპარაკია უკვე „არატრადიციულ სიყვარულზე". არადა, ოდესღაც ადამიანები მსგავსი სექსუალური ორიენტაციით ლამის მანკიერების განსახიერებად ითვლებოდნენ.**

აქაც, როგორც რეჟისორის სხვა ფილმებში, ატმოსფერო სქლად წიწაკამოყრილია მოხდენილი სიცელქით, ძარღვიანი იუმორითა და ხულიგნობით. ოღონდ ამჯერად, უწინდელთან შედარებით, პედრო ალმოდოვარი გაცილებით უფრო სერიოზული და ღრმაა, ვიდრე ადრე. ზოგიერთმა კრიტიკოსმა მისი ახალი ნამუშევარი შეაფასა, როგორც მწვავე, მამხილებელი პამფლეტი დახურულ კათოლიკურ სკოლებში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებათა შესახებ, სადაც იფურჩქნებოდა პედოფილია და ორმაგი მორალი. ეგეც კია, რომ სურათში ყველაფერს ერთგვაროვნად ვერ გაიაზრებ...

### „ტრაფიკი"

**რეჟისორი სტივენ სოდერბერგი, აშშ-გერმანია, 2000. როლებში: მაიკლ დუგლასი, ქეთრინ ზეტა-ჯონსი, დენის კუეიდი, ბენისიო დელ ტორო, სტივენ ბაუერი, ალბერტ ფინი, სელმა ჰაიეკი.**

სურათი წარმოადგენს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ და პარალელურად განვითარებად ისტორიას ნარკოსაქმოსანთა და იმათი მდევნელი პოლიციელების ცხოვრებიდან. პირველი ამბავი მექსიკაში ვითარდება. იქაური პოლიციელი სამსახურს შტატებთან საზღვრის რაიონში ეწევა. თავისთვის მოულოდნელად ის აღმოაჩენს, რომ კორუფციის მთელი ქსელის მოქმედი პირი ხდება... მეორე ისტორიაში ოჰაიოს შტატის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის ფედერალური პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება და გებულობს, რომ მისი ნორჩი ქალიშვილი ნარკომანია... მესამე სიუჟეტის გმირი ქალი – გისოსებს მიღმა მოხვედრილი მსხვილი ნარკობარონის ფეხმძიმე მეუღლე თავის ხელში იღებს კონტროლს ქმრის ბიზნესზე...




„ტრაფიკს" გვარიანი კომერციული წარმატება და ჯილდოების დამაჯერებელი კოლექცია ხვდა. ჯილდოებს შორის არის „ოსკარები" და „ოქროს გლობუსები"...

№ 144. კვირა, 19 ივნისი, 2005 წელი.

# როგორ გაება ხაფანგში ბერია



(მეექვსე გვერდიდან)

მანევრების მიმდინარეობის საკითხი სხდომის დღის წესრიგში პირველი იყო. დარბაზში შევიდა სამხედროთა ჯგუფი თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის გიორგი ჟუკოვის და მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლის, არმიის გენერლის კირილ მოსკალენკოს მეთაურობით. მალენკოვმა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მაშინვე მიმართა ჟუკოვს:

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის მარშალო, წინადადებას გაძლევთ, რომ საბჭოთა მთავრობის სახელით დააკავოთ ხალხის მტერი ლავრენტი პავლეს ძე ბერია!

## ჟუკოვის დაზუსტება

**მაგრამ, თუ ვერწმუნებით ჟუკოვისა და მოსკალენკოს მოგონებებს, მათი ოპერაცია გაცილებით უფრო იმპროვიზებული იყო, ვიდრე ეს წარმოედგინა ავტორხანოვს ხრუშჩოვის სიტყვებზე დაყრდნობით.**



როგორც ჟუკოვი ამტკიცებს, მან არაფერი იცოდა 26 ივნისის დილამდე. იგი სასწრაფოდ გამოიძახა თავდაცვის მინისტრმა ბულგანინმა და ასეთი რამ უთხრა:

— წავიდეთ კრემლში, სასწრაფო საქმეა.

სხდომათა დარბაზში ჟუკოვმა დაინახა მალენკოვი და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრები. ბერია იქ არ ყოფილა.

სიტყვა აიღო მალენკოვმა: ბერიას სურს ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ჟუკოვს ევალება მისი დაპატიმრება.

— შეძლებ ამ რისკიანი ოპერაციის განხორციელებას? — იკითხა მალენკოვმა.

— შევძლებ, — უპასუხა ჟუკოვმა.

მოგვიანებით იგი დასძენს: მთავრობისა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა იცოდნენ, რომ სასტიკად მძულდა ბერია, ჩვენს შორის ფაქტობრივად მტრობა არსებობდა. სწორედ ამას ეფუძნებოდა კიდეც მათი ანგარიში.

სიგნალზე ჟუკოვი მოსკალენკოსთან, გენერლებთან ბატიცკისთან, ნედელინთან და მოსკალენკოს ადიუტანტთან ერთად შევიდა სხდომათა დარბაზში. ჟუკოვი ბერიას ზურგს უკან გაჩერდა და გასცა ბრძანება:

— ადექით! თქვენ დაპატიმრებული ხართ!

ბერიამ წამოდგომაც კი ვერ მოასწრო, რომ მარშალმა უკვე მას ხელები გადაუგრიხა და ძალით წამოაყენა ფეხზე. განა შეეძლო ბერიას განეჭვრიტა მოვლენათა ასეთი განვითარება?

— ჟუკოვის თქმით, „მოღალატე" ბერიას პისტოლეტიც კი არ ჰქონია.

## რა დაამატა მოსკალენკომ

**კირილ მოსკალენკომ ოპერაციის მიმდინარეობა და დეტალები ოდნავ სხვაგვარად ჩამოაყალიბა. როგორც თქვა, მას დაურეკა კრემლის ტელეფონით ხრუშჩოვმა და ჰკითხა, თუ ჰყავდა საიმედო და ერთგული ხალხი. გენერალმა ხრუშჩოვს დადებითი პასუხი გასცა.**

მოსკალენკოს თქმით, სხდომათა დარბაზში ბერია დააპატიმრა ექვსმა გენერალმა და ოფიცერმა, თანაც, ხუთ მათგანს იგი იარაღით მიზანში ჰყავდა ამოღებული, ჟუკოვმა კი პირადად გაჩხრიკა ბერია.

კირილ მოსკალენკოს მტკიცებით, დაპატიმრებულის პორტფელში აღმოაჩინეს ქაღალდის ფურცელი, რომელზეც წითელი ფანქრით მრავალ ადგილზე ეწერა: „განგაში, განგაში, განგაში".

## გერმანული კვალი

**მაინც, როგორ გამორჩა ბერიას მის წინააღმდეგ შეთქმულება? ყველაფერი მარტივად მოხდა: ათი დღის განმავლობაში ბერია დაკავებული იყო ბერლინის კრიზისით, უბრალოდ... იგი არ ყოფილა საბჭოთა კავშირში, რადგან ეხმარებოდა გერმანელ ამხანაგებს.**

ხომ არ ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის „ხელმძღვანელ ბირთვს" წინასწარ ჩაფიქრებული ლავრენტი ბერიას გაგზავნა ქვეყნის ფარგლებს გარეთ? ასეთი ვერსია არსებობს. უფრო მეტიც, არის ვარაუდი, რომ ბერლინში განვითარებულ მოვლენებში გარკვეული როლი ეკისრებოდათ ხრუშჩოვისა და მალენკოვის უცნობ მომხრეებს. კერძოდ, მათ შეასრულეს გარკვეული შეკვეთა: პროვოკაციული გზით გამოეწვიათ მოვლენათა ისეთი განვითარება, რომ ბერია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გერმანიის საქმეებს, სასწრაფოდ ჩასულიყო აღმოსავლეთ გერმანიაში და იქ გარკვეული დროის მანძილზე გაჩერებულიყო.

ბერიამ, ამ უნდო და ეჭვიანმა ადამიანმა, რატომღაც ეს ხრიკი ვერ შენიშნა. სანამ იგი ყველა საშუალებით, მათ შორის, საბჭოთა ჯარების მიერ სამხედრო ძალის გამოყენებითაც, „ამყარებდა წესრიგს" აღმოსავლეთ გერმანიაში, ცდილობდა რა ჩაეხშო გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღა, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის „მმართველმა ბირთვმა" გაბედა და მოაწყო შეთქმულება, განიხილა ბერიას წინააღმდეგ ოპერაციის განხორციელების დაწვრილებითი დეტალები. ლავრენტი ბერია მოსკოვში რომ დარჩენილიყო, ვინ უწყის, ეყოფოდათ კი შეთქმულებს იმდენი ვაჟკაცობა, რომ ვაბანკზე წასულიყვნენ.

26 ივნისს, დილით, მოსკოვის ოლქის აეროდრომზე, აღმოსავლეთ გერმანიიდან ჩამოსულ ბერიას დახვდა ანასტას მიქოიანი — ნიჭიერი აპარატის მუშაკი, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში შემორჩა მმართველი პირამიდის მწვერვალს. მოსკოვისკენ გზაზე ანასტას მიქოიანმა ბერიას უთხრა, რომ თანაპარტიელი-ამხანაგები მოუთმენლად ელიან მასთან შეხვედრას და ბერლინის საქმეების შესახებ მისი ნაამბობის მოსმენას. მიქოიანის ასეთი სიტყვებით დამშვიდებულმა ბერიამ მხნე ნაბიჯით შეაბიჯა სხდომათა დარბაზში...

* * *

**1953 წლის 24 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა გაზეთ „იზვესტიაში" წაიკითხეს მოკლე ინფორმაცია: „განაჩენი სისრულეშია მოყვანილი" — სულ რვა სტრიქონი...**

ბერიას და მასთან დაახლოებულ პირებს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი და დაუყოვნებლივ დახვრიტეს 1934 წლის 1 დეკემბრის კანონის თანახმად. სწორედ იმ დღეს მოკლეს ს. მ. კიროვი. მაშინვე, სასწრაფო წესით, ისე, რომ დოკუმენტისთვის ხელი არ მოუწერია სახელმწიფოს მეთაურს მ. ი. კალინინს, გამოვიდა სსრკ ცაკ-ის დადგენილება, რომელსაც ხელს აწერდა მხოლოდ მისი მდივანი ა. ს. ენუქიძე. დოკუმენტი ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში: ტერორისტული აქტების მომზადებაში ან განხორციელებაში ეჭვმიტანილ პირთა საქმეების განხილვის ვადის დაჩქარება, მათი საქმეების მოსმენა დაცვის წარმომადგენელთა გარეშე, სასიკვდილო განაჩენის დაუყოვნებლივ აღსრულება, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების მიმართ.

1953 წლის დეკემბერში გამართულ პროცესზე ბერია იყო ბოლო ადამიანი, რომელიც გაასამართლეს 1934 წლის 1 დეკემბრის კანონით. საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში მაშინ დადგა კაცი, რომელმაც დაიფიცა, რომ ურთგულებდა დემოკრატიის პრინციპებს...

ალექსანდრე ვაისი.

# მეცნიერების სამყაროში

## რით გარდაიცვალა ტუტანჰამონი



**ფარაონი არ მოუკლავთ, ამტკიცებს ეგვიპტის გათხრებისა და სიძველეების სამმართველოს მეთაური ზაჰი ჰავასი.**

ტუტანჰამონი მოკვდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1352 წელს, ნორჩი ასაკისა. მანამდე ათი წელი მართავდა ქვეყანას. დიდხანს პოპულარული იყო ვერსია ნორჩი მმართველის მკვლელობის შესახებ. ასეთი ვარაუდის საფუძველი შექმნა 1968 წელს მუმიის რენტგენული გამოკვლევისას ფარაონის თავის ქალაში აღმოჩენილმა ძვლის ნამსხვრევმა.

შარშან, ნოემბერში, ეგვიპტის კულტურის მინისტრმა ფარუკ ჰოსნიმ მოიწონა ქაიროს მუზეუმიდან ტუტანჰამონის სხეულის დროებითი ამოღების გეგმა — უფრო საგულდაგულო შესწავლისთვის. სკანირების პროცესში გამოირკვა, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ფარაონს ბარძაყის ძვალი გაუტყდა და რომ ნამსხვრევი თავის ქალაში, სახვევ მასალაში შეღწევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დარტყმის შედეგად ვერასგზით ვერ გამოჩნდებოდა.

ჰავასის აზრით, გარდაცვალების მიზეზი გახდა მოტეხილობისას მიღებული ჭრილობის მოწამვლა. ფარაონის მკვლელობის ვერსია საბოლოოდ უნდა დავივიწყოთო, ამბობს ის.

## რობოტოტექნიკის მომავალი



**თანამედროვე ტექნოლოგიები მიმართულია მობილურობის მაღალი დონის მქონე ახალი თაობის ანდროიდის შესაქმნელად, რაც მას შეაძლებინებს ადამიანთა მოძრაობების კოპირებას, გარემოსთან უკეთ ურთიერთქმედებასა და უცნობ ვითარებაში დამაჯერებელ ქცევას — მრავალრიცხოვანი სენსორის გამოყენებით.**

იაპონურმა კომპანიამ Honda Motors 2004 წლის დეკემბერში წარმოადგინა ადამიანის მსგავსი რობოტის „ასიმოს" გაუმჯობესებული ვარიანტი. მას შეუძლია საათში 3 კილომეტრი სიჩქარით სირბილი და რთული მანევრების შესრულება, თანაც გზად შეხვედრილი დაბრკოლებების გვერდის ავლა. წარმოდგენილი მოდელი მოცემულ მომენტში ყველაზე სრულყოფილად ითვლება.

სამხრეთკორეელმა მეცნიერებმა კი ისეთი პროგრამა შეიმუშავეს, რომელსაც ცოცხალი ორგანიზმების უნარის იმიტირებით (ვნების განცდის, გრძნობის, ფიქრის, სურვილის უნარისა) შეუძლია მანქანების განაყოფიერებამდე მიყვანა. ვაითუ ეს ყველაფერი კაცობრიობისთვის სახიფათო გახდეს...

## სიცილი – სისხლის მიმოქცევის მეგობარი



**ამერიკელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სიცილი ამცირებს გულსისხლძარღვთა დაავადებების წარმოქმნის რისკს.**

ბალტიმორში (აშშ), მერილენდის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში, სპეციალისტები აკვირდებოდნენ იმ მოხალისეთა სისხლძარღვებს, რომლებიც იმყოფებოდნენ როგორც ემოციური სტრესის, ისე დადებითი ემოციებით გაჯერებულ მდგომარეობაში.

გამოკვლევაში 20 კაცი მონაწილეობდა ექსპერიმენტამდე და ექსპერიმენტის შემდეგ, რომელთაც ულტრაბგერის დახმარებით გაუზომეს სისხლის მიმოქცევა და მხრის არტერიის დიამეტრი. ჯერ შესთავაზეს კომედიური ფრაგმენტების ჩვენება. გამოირკვა, რომ 19 მოხალისეს სურათების ნახვიდან 30-45 წუთში არტერია მოუდუნდა, სისხლი ჩვეულებრივზე თავისუფლად მიედინებოდა.

უკუეფექტი შეიმჩნეოდა ფილმიდან „გადაარჩინეთ რიგითი რაიანი" სისხლიანი სცენების დემონსტრირების შედეგად: 14 მოხალისეს შეუვიწროვდა სისხლძარღვები და შეუნელდა სისხლის მიმოქცევა. საშუალოდ, ემოციური სტრესი მიმოქცევას 35 პროცენტით ამცირებდა, სიცილი კი 22 პროცენტით ზრდიდა.

მიღებული შედეგები ადასტურებს ვარაუდს, რომლის თანახმადაც სიცილი ემოციური სტრესის ნეგატიური ზემოქმედების კომპენსაციას ახდენს (ეს სტრესი დამღუპველია იმ უჯრედების ფენისათვის, რომლებითაც მოფენილია სისხლძარღვთა შიგა ზედაპირი). სწორედ ამის გამო იკლებს გულსისხლძარღვთა დაავადებების გაჩენის რისკი.

## ასტრონავტებს – წყალმცენარეები



**ცნობილმა ფრანგმა მზარეულებმა ევროპის კოსმოური სააგენტოს (ESA) დაკვეთით 11 კერძის ნიმუში მოამზადეს. ეს საჭმელები, შესაძლოა, შევიდეს მომავალ საპლანეტათშორისო მოგზაურთა რაციონში. უბრალო მენიუ აიხსნება ESA-ს მკაცრი მოთხოვნებით: საკვები უნდა იყოს მომზადებული იმისგან, რისი მოყვანაც მარსზე მოხერხდება.**

კომპანიებმა, რომლებიც კულინარულ რეცეპტებს ამუშავებდნენ, ინგრედიენტების სიაში შეიტანეს ბრინჯი, კიტრი, სოია, სალათა, ისპანახი და ხორბალი. ეს ყველაფერი, ექსპერტთა აზრით, სათბურ-კონტეინერებში შეიძლება გამოვზარდოთ მარსის ამინდის პირობებში. გარდა ამისა, კოსმონავტებს საკვებად ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებისგან დამზადებული კერძები შესთავაზეს, რომლებიც საკმაოდ კალორიულად მიიჩნიეს.

ეგ კია, რომ საჭმელისგან მარტო კალორიულობა არ მოითხოვება — ის ფსიქოლოგიურ ტრავმებს არ უნდა იწვევდეს.

ისე, სხვა პლანეტებზე თუ კოსმონავტები ან ასტრონავტები სოფლის მეურნეობას მოჰკიდებენ ხელს, დამატებით სასარგებლო ამოცანასაც გადაწყვეტენ: სწორედ მცენარეებს მოუწევთ ჟანგბადით ატმოსფეროს გამდიდრება...

# მათი გატაცებანი

## ვინ როგორ...

**ცნობილი სპორტსმენები უზარმაზარ ფიზიკურ დატვირთვებს განიცდიან და ყოველი მათგანი თავისებურად ცდილობს „განმუხტვას".**

მაგალითად, ჩოგბურთელი **ჯონ მაკინროი,** თავის დროზე, სკანდალს უწყობდა მსაჯს და უშვერი სიტყვებით იგინებოდა წვრილმანების გამოც კი; მოქმედ ჩოგბურთელს **მარატ საფინს** სწამს, რომ რაკეტის დამტვრევით დაძაბულობას მოიხსნის; ლეგენდარული კალათბურთელი **უოლტ ჩემბერლენი** ქალთა სქესის უზომო მოყვარული გახლდათ: მისივე აღიარებით, 10 ათასამდე (!) ინტიმური კავშირი ჰქონდა; ასევე სექსით იქარვებდა მატჩისშემდგომ სტრესს „რკინის" **მაიკ ტაისონი** (მოკრივე) და „გულიკორტნია" **ბორის ბეკერი** (ჩოგბურთელი); მოკრივე **კოსტია ცზიუ** ორთაბრძოლის შემდეგ ოჯახის პრობლემებში ეფლობა და შინაურ ლუდს ხარშავს; მსოფლიოს მე-13 ჩემპიონს, მოჭადრაკე **ვლადიმერ კრამნიკს** უყვარს კლასიკური მუსიკის მოსმენა, სიგარეტის მოწევა და კარგი კონიაკის გადაკვრა, თანაც შთაგონებას ისტორიული შრომების წაკითხვასა და დაწერაში პოულობს.

**სპორტული ფსიქოლოგი ანატოლი ალექსეევი რაკეტების მტვრევას არ იწონებს და ამტკიცებს, რომ ასეთი ისტერიულობა პრობლემას მხოლოდ ამძაფრებს და ამცირებს ნერვიული ენერგიის პოტენციალს. ასეთ შემთხვევაში სჯობს ბანანისა და შოკოლადის პატარა ნატეხის მირთმევა, რომელშიც განწყობისა და გონებრივი მუშაობის გამაუმჯობესებელი შაქარი და ალკალოიდები შედის.**

# ბობი ფიშერი კვლავ ალაპარაკდა



**ის 1943 წლის 9 მარტს დაიბადა ჩიკაგოში. ჭადრაკის თამაში 6 წლისამ ისწავლა უფროსი დის დახმარებით. 29 წლისა მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი გახდა. 1975-ში უარი თქვა ანატოლი კარპოვთან საჩემპიონო მატჩზე და მთელი 30 წელი განდეგილად ცხოვრობდა...**

ამ დღეებში რუსეთულმა „Родная газета"-მ გამოაქვეყნა ინტერვიუ რობერტ ფიშერთან, რომელიც „Комсомольская Правда"-მ გადაბეჭდა (გაზეთის 10-16 ივნისის ნომერი). გთავაზობთ ზოგიერთ მის შეხედულებას.

**მშობლიურ ქვეყანაზე:**

— ამერიკის მთავრობა კრიმინალური ნაძირალებისგან შედგება! გაუსამართლებლად და გამოუძიებლად, ისინი საპყრობილეებში ამწყვდევენ ადამიანებს მთელ მსოფლიოში — იუგოსლავიაში, ავღანეთში, ერაყში... ამერიკელები, უმეტესად, შტერი, უტვინო ღორები არიან! თუნდაც იმიტომ, რომ უკვე მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად ეს კლოუნი ჯორჯ ბუში... 10 წლის შემდეგ მსოფლიოში ბირთვული ომი ატყდება და მას ამერიკელები დაიწყებენ. აშშ — ეს ბოროტებაა!

**რუსეთზე:**

— ყველაფრის აზრზე ვარ, რაც იქ ხდება. ერთადერთი, კარგად რომ არ მესმის — ჩეჩნეთში შექმნილი ვითარებაა. არ მომწონს, რომ რუსეთი მუსულმანურ სამყაროს ებრძვის, ხოლო მუსულმანები ამ ქვეყნის წყენინებას ცდილობენ. მინდა, რომ ჩეჩნეთში, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობამ დაისადგუროს, არაბულმა და მაჰმადიანურმა სამყარომ კი ერთად დაიწყონ მუშაობა ამერიკის წასაქცევად. აი, ეს უფრო პროდუქტიული საქმე იქნება...

**„კოლეგებზე":**

— ვაპირებ იმის დამტკიცებას, რომ კარპოვისა და კასპაროვის მატჩი 1984-1985 წლებში სკკპ-ისა და სუკ-ის მიერ იყო ინსცენირებული. ორივენი მატყუარები და მოვაჭრეები არიან. ყველა, ვინც „ჩაწყობილ" პარტიებს თამაშობს, ცრუპენტელა და გამყიდველია. კასპაროვს მე სწორედ რომ დამნაშავედ მოვიხსენიებ. ვიცი, რომ პოლიტიკოსობას ლამობს, პრეზიდენტ პუტინის წინააღმდეგია, თუ ასეა, მე პუტინს ვემხრობი. კასპაროვი ბოროტების განსახიერებაა...

# ჰიტლერმა სტალინს შესთავაზა... ებრაელები

**ებრაელთა მიმართ ეროვნულ პოლიტიკას, როგორც გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტებისა, ისე საბჭოთა რუსეთში კომუნისტებისა, საკმაოდ ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა.**

რუსეთში არცთუ დიდი ხნის წინათ გამოქვეყნდა იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ 1940 წელს, ოსვენციმში საკონცენტრაციო ბანაკის მშენებლობაზე ბრძანებამდე ცოტა ხნით ადრე, ნაცისტი ფუნქციონერები შეეცადნენ ებრაელების გასახლებას საბჭოთა კავშირში. შემდგომი მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სტალინმა უარი თქვა.

რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში (ყოფილი სსრ კავშირის პარტიული არქივი) ინახება საოცარი დოკუმენტი, რომელიც პირველად რუსეთელი ისტორიკოსის გენადი კოსტირჩენკოს ნაშრომში გამოჩნდა — „სტალინის საიდუმლო პოლიტიკა". ეს გახლავთ 1940 წლის 9 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომელიც სახალხო კომისართა საბჭოს გადასახლებითი სამმართველოს უფროსმა ევგენი ჩეკმენიოვმა გაუგზავნა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვიაჩესლავ მოლოტოვს.

აი, რა არის აქ ნათქვამი:

„საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა გადასახლებითმა სამმართველომ ორი წერილი მიიღო ბერლინისა და ვენის გადასახლებითი ბიუროებისგან



გერმანიიდან სსრ კავშირში, კონკრეტულად ბიორობიჯანსა და დასავლეთ უკრაინაში ებრაელი მოსახლეობის გადასახლების ორგანიზების საკითხთან დაკავშირებით. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ გერმანიასთან სსრ კავშირის მთავრობის შეთანხმების მიხედვით, ევაკუაცია შეეხებათ მხოლოდ ბელორუსებს, უკრაინელებსა და რუსებს. ვფიქრობთ, რომ ხსენებული გადასახლებითი ბიუროების წინადადებების მიღება არ შეიძლება.

გთხოვთ მითითებებს.

იქიდან თუ გამოვალთ, რომ ბარათები ბერლინისა და ვენის ბიუროებიდან მათი ხელმძღვანელების ხელმოწერილი იყო, მაშინ ეს ადოლფ აიჰმანისა და ალბათ ალოიზ ბრუნერის სახელები იქნებოდა.

გერმანული წერილების არსი ნათელია: ჰიტლერი სტალინს სთავაზობს ყველა იმ ებრაელის მიღებას, ვინც იმ დროს გერმანიაში იმყოფებოდა. ჩეკმენიოვის პასუხი კი მოჭრილია: „ამ ებრაელთა მიღება არ შეგვიძლია, ჩვენებიც ბლომად გვყავან..."



# აუქციონი



## გალილეის ნაშრომი

**მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე იშვიათ წიგნს გალილეო გალილეის „La Defensa" წარმოადგენს, სწავლულის ავტოგრაფიანი. ის იმ აუქციონზე გაიყიდება, რომელიც ამ თვეში შედგება ლონდონში, ანტიკვარული წიგნის ბაზრობის ფარგლებში. ნაშრომი 1607 წელს დაიწერა პადუაში, სადაც მეცნიერი უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრას უძღვებოდა. იმჟამად გალილეი მექანიკით იყო გატაცებული და ლოგარითმული სახაზავის მსგავსი ხელსაწყო გამოიგონა. მოხდა ისე, რომ ფლორენციაში მცხოვრებმა მკვლევარმა ბალდესარ კაპრამ, რომელმაც ანალოგიური ხელსაწყო მოიფიქრა, გალილეი პლაგიატში დაადანაშაულა: „La Defensa" კაპრასადმი პასუხი გახლდათ და სწორედ ფლორენციაში დაიბეჭდა.**

გარკვეული დროის შემდეგ გალილეი ასტრონომიით დაინტერესდა, გამოიგონა ტელესკოპი, დაინახა, რომ მთვარის ზედაპირი ძალიან ჰგავს დედამიწისას, აღმოაჩინა იუპიტერის ოთხი თანამგზავრი და დაადასტურა კოპერნიკის თეორიის სიმართლე. ამისათვის სწავლული ეკლესიამ შერისხა და შინ მისი წიგნების შენახვა, მით უმეტეს საკუთარი ხელმოწერით, სახიფათო გახდა. ამიტომაც იქცნენ ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

გასულ საუკუნეში „La Defensa" აუქციონზე სულ რამდენჯერმე გაიყიდა. მეცნიერთათვის ცნობილი, გალილეის ავტოგრაფიანი მეორე ცალი სენტ-ენდრიუსის (შოტლანდია) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

## მიტერანის ღვინოები

**საფრანგეთის განსვენებული პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის მიერ მოგროვილი ღვინის კოლექცია პარიზის აუქციონზე 15 ათას ევროდ გაიყიდა.**

ამ უნიკალურ ნაკრებში ნახავდით 1856 წლის კონიაკსა და სხვა ალკოჰოლურ საკვირველებებს, რომელთაგან არაერთი ყოფილ პრეზიდენტს კოლეგებმა აჩუქეს სხვადასხვა ქვეყნიდან.

აუქციონზე ყველაზე ძვირი ლოტი აღმოჩნდა 1982 წელს მიტერანის სპეციალური დაკვეთით ჩამოსხმული არმანიაკი. ბოთლის სასტარტო ფასი იყო 50-60 ევრო, გაიყიდა კი 1533 ევროდ.



კოლექციაში სულ 50 ბოთლი ღვინო მოითვლებოდა, მათ შორის სახელგანთქმული „შატო დიკემი", „მონგტრაშე" და „მერსო".

საფრანგეთის გაზეთები წერენ, რომ აუქციონი ორგანიზებული იყო მიტერანის ვაჟის ჟან-კრისტოფის ვალების გასასტუმრებლად. შარშან უმცროსი მიტერანი გადასახადების გადაუხდელობისთვის — 600 ათასი ევროსთვის! მას პირობითი 2,5 წლით პატიმრობა მიესაჯა. გასულ წლის ოქტომბერში აუქციონზე 80 ათას ევროდ გაიყიდა ექსპრეზიდენტის ავეჯი. ახლა ბოთლების ჯერი დადგა. შვილიც ასეთი უნდა..

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე – საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ვახტანგ გაჩეჩილაძე საპატიო სიგელს გადასცემს საქართველოს ოფთალმოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარეს, პროფესორ ნიკოლოზ ბერაძეს. 1970 წელი. თბილისი.

მოგვაწოდა ედუარდ გიგილაშვილმა.

## გიხაროდეთ!

# ბიჭს ვარქვი ქართველად გავზრდით

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

მე თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ. ჩემი ოჯახის სიხარულს გატყობინებთ, მიხარია „საქართველოს რესპუბლიკის" მე-8 გვერდის წაკითხვა, იქ ერის გამრავლებაზეც რომ წერთ ხოლმე. გთხოვთ, ჩემი პირველი შვილის დაბადების ამბავიც გამოაქვეყნოთ. იგი ჩემი და ჩემი მეუღლის ლუიზას სიყვარულის ნაყოფია. მე და ლუიზას ერთმანეთი სტუდენტობიდან გვიყვარს. პირველ შვილს ლუიზამ ჩემი სახელი დაარქვა, დათო.



წინასწარ მადლობას გიხდით ჩემი ოჯახის სიხარულის გაზიარებისთვის. მე და ლუიზა ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელნი ვართ, უფალი როგორც ინებებს, რამდენი შვილიც შეგვეძინება, ყველას კარგ ქართველებად გავზრდით.

**დათო ხომასურიძე, ქუთაისი.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



— გაიგეთ, პუტინს ყოველ წუთს შეუძლია გადადგომა!

— შენ რა, აფრენ?

— შენი თვალებით წაიკითხე, ბატონო. აი კონსტიტუცია. მუხლი 37: „პრეზიდენტს ყოველ წუთს შეუძლია გადადგომა".

* * *

კაცი სანაპიროზე დგას და წყალში ათშაურიანებს ყრის.

— რა მოხდა? — გაკვირვებით ეკითხება გამვლელი.

— არხში ათშაურიანი ჩამივარდა.

— მერე კიდევ რატომღა უმატებ?

— აბა, ერთის გულისთვის ხომ არ ჩავალ წყალში.

* * *

რუსი სტუდენტი გამოცდის წინ ფიქრს მისცემია: „ჩავაბარებ, დავლევ ერთი მაგრა... ვერ ჩავაბარებ და მაინც დავლევ!.." რახან მაინც დალევა მიწევსო, ერთი ბოთლი არაყი წინასწარ იყიდა, გულის ჯიბეში ჩაიდო და მივიდა გამოცდაზე. ღელავს, რასაკვირველია, ხელები უკანკალებს, აიღო ბილეთი და დაუვარდა. დაღუნვა უნდა, მაგრამ ვერ იღუნება, ბოთლი უშლის. ამოიღო ბოთლი და მაგიდაზე დადგა. ბოლოს ბილეთი რომ ძირიდან აიღო, პროფესორი ეკითხება:

— მჟავე კიტრი გაქვს?

— არა...

— მაშინ ოთხიანი!

* * *

სროლის დროს ერთ-ერთი განგსტერი ყვირის:

— ცუდად არის საქმე, ბიჭებო! ისროლეთ, არ გაჩერდეთ, პოლიციამ არ იფიქროს, ტყვია გაუთავდათო.

* * *

მაღაზიაში:

— წითელი თევზი გაქვთ?

— კი. ჭიჭყინა ტომატში.

* * *

ამერიკული სერიალის — „სექსი დიდ ქალაქში" ნაცვლად გერმანელმა რეჟისორებმა შექმნეს: „დიდი სექსი პატარა სოფელში".

* * *

ტელეფონით ეფიცება სიყვარულს:

— უშენოდ აღარ შემიძლია, ძვირფასო! შენ თუ დამეკარგე... სულ შენს საძებნელად ვივლი, გადავივლი ზღვებს, ჯუნგლებს, უდაბნოებს...

საპასუხოდ ყურმილში ისმის:

— მოდი, საყვარელო, მოდი. უკვე ვიხდი!

— ოღონდ დღეს არა, გარეთ წვიმს...

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური – 022;**
**გენერალური პროკურატურა – 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;**
**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.**

## საიდუმლო განძსაცავები

# ნიანგები ოქროს არ მიირთმევენ...

**ეს სათაური რამ გვიკარნახა, მკითხველი ქვემოთ გაიგებს. მანამდე კი მას გვინდა შევახსენო ჩვენი გაზეთის წლევანდელი 5 მაისის ნომერში გამოქვეყნებული სტატია – „რა სიმდიდრეს ფლობს კაცობრიობა?", რომელშიც საუბარია ოქროზე, ადამიანი უხსოვარი დროიდან რომ ეძიებდა და ჰპოვებდა. მაგრამ მოპოვება ერთია და შენახვა – მეორე. როგორც მეცნიერი ალექსანდრე გავაშელი გვიმტკიცებს (მას ამის თაობაზე უამრავი წიგნი და ისტორიული წყარო დაუმუშავებია), ოქროს იმდენი მტერი ჰყავდა და ჰყავს, რომ მისი შენახვა ერთობ გაძნელებულია. ის კი არა, თუ ვიტყვით, რომ ოქროს მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე მისი დაცვა-შენახვა, ამაში, ალბათ, გაზვიადებული არაფერი იქნება.**

არ გჯერათ? მივყვეთ ბატონ ალექსანდრეს მიერ მოპოვებულ მასალებს და ეჭვი გაგეფანტებათ. რა დღიდანაც ოქრო გაჩნდა, როგორც ადამიანის სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლო, ვკითხულობთ ამ მასალებში, იმ დროიდანვე მოექცა იგი ქურდებისა და მძარცველების განსაკუთრებული „მზრუნველობის" არეში. იქ, სადაც იყო ოქრო, ყოველთვის იყო ქურდი და მძარცველიც; მეცნიერები ასაბუთებენ, რომ ქურდები „აქტიურად მოღვაწეობდნენ" უძველეს დროშიც. ამას ადასტურებს თუნდაც ეგვიპტის ფარაონთა საფლავების გასაძარცვად გაყვანილი მიწისქვეშა გვირაბები, რომლებიც ასაკით თვით პირამიდების თანადროულია. დღეისთვის გაუძარცვავი პირამიდების ძალზე მცირე ნაწილია გადარჩენილი. და ეს მარტო ეგვიპტის ხვედრი როდია. ავაზაკთა და მძარცველთა წყალობით კაცობრიობამ დაკარგა უამრავი ძეგლი, უძველესი უნიკალური ხელოვნების ნიმუში და თავად ოქროს საკმაოდ დიდი განძიც.

დროის სინქრონულად, ქურდები ხდებოდნენ უფრო აგრესიულნი, წინდახედულნი და „ცივილიზებულნი". ამის შესაბამისად, ბუნებრივია, ოქროს მფლობელებიც ცდილობდნენ მისი შენახვა-დაცვის უფრო საიმედო ხერხები და მეთოდები შეემუშავებინათ. ასეთად უძველეს ხანაში მიწა მიაჩნდათ – ოქრო მიწიდან არის ამოღებული და იგივე მიწა უკეთესად შეინახავსო. და ფლავდნენ მიწაში ამ უძვირფასეს ნივთებს, განსაკუთრებით დიდი ომებისა და რევოლუციების პერიოდში, საიდანაც ხშირად მათი მფლობელები ვეღარ ბრუნდებოდნენ. ასე იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე მიწისქვეშა საგანძურები, რომლებიც, მკვლევართა აზრით, ყველაზე დიდი რაოდენობით ჩამარხულია ქალაქ რომის შემოგარენში, რაც ძირითადად უკავშირდება რომის იმპერიის დაცემას. ამგვარი განძეულობა გვხვდება სხვა უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებშიც – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, დანარჩენ ევროპაში, აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ქვეყნებში, ასევე ინდოეთში, ჩინეთში, აზიის სახელმწიფოებში და სხვ.



თავის დროზე უზარმაზარი რაოდენობის ოქრო და სხვა სიმდიდრე დააგროვეს მეკობრეებმა, რომლებიც მის შესანახად იყენებდნენ როგორც მიწის სეიფებს, ასევე მცირე სიღრმის ზღვისა და კუნძულების სანაპიროებს. მეცნიერთა ვარაუდით, ამგვარი სეიფების დიდი ნაწილი თავმოყრილია ძირითადად კარიბის ზღვის კუნძულებზე და მის სანაპიროებზე, ევროპის დასავლურ და ჩრდილო-დასავლურ რეგიონებში.

დროთა მანძილზე მიწისა და წყლის სეიფები შეცვალა ქანდაკება-სეიფებმა. ასურეთის დედოფალმა სემირამიდამ, მაგალითად, საიდუმლოდ ოქროსგან ჩამოასხმევინა რამდენიმეტონიანი ძეგლი, რომელიც გარედან ქვით „მოაპირკეთებინა". ასეთი ძეგლი აღმოაჩინეს ბანგკოკშიც, რომელსაც გარედან „ეცვა" ქვის პერანგი, შიგნით კი იმალებოდა ხუთტონიანი ბუდას ოქროს ქანდაკება. ამას მოჰყვა სხვა უბედურება – ძეგლთა დამამზადებლებს, საიდუმლოების დაცვის მიზნით, ხშირად ასევე საიდუმლოდ ისტუმრებდნენ იმქვეყნად. და მეორეც – ქურდები და მძარცველები ისტორიულ ქანდაკებებსა და ძეგლებს მასობრივად აზიანებდნენ, ანგრევდნენ და სპობდნენ იმ იმედით, რომ მათში ოქროსა და სხვა განძეულობას აღმოაჩენდნენ.

აზიის ქვეყნებში ერთ დროს მოდაში იყო არა მარტო მიწისა და წყლის სეიფები, არამედ მაგარი თასმებით შეკერილი ხარის ან კამეჩის ტყავის ტომრები, რომლებიც ოქროს შესანახად ერთგვარი სეიფების როლს ასრულებდნენ. ასეთი ტყავის სეიფები უფრო მეტად გავრცელებული იყო ირანში, ერაყში, ავღანეთში, მონღოლეთში, ინდოეთში და სხვაგან. ამგვარი სეიფებით ხდებოდა ძირითადად ოქროს ტრანსპორტირებაც. ასეთ ტყავის ტომარაში ინახებოდა, მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი ოქროს გლობუსი, რომელიც დღეს განთავსებულია ქ. თეირანის სახელმწიფო განძსაცავში. იგი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული გლობუსია, იწონის 80 გირვანქა სუფთა ოქროს, მოჭედილია 51366 ძვირფასი ქვით, რომელთა საერთო წონა 18200 კარატია (3640 გრამი).

ოქროს შენახვის ფრიად ორიგინალური ხერხი მოუგონია სუმატრის მეფე რაჯი ალ-მახას, რომელიც თურმე ამ ძვირფას ნივთს ნიანგებით სავსე ტბის ფსკერზე მალავდა. ნიანგები თავად ოქროს არ მიირთმევდნენ, მაგრამ არც სხვებს უშვებდნენ მის მოსაპარად. მაგრამ თუ მეფეს მოესურვებოდა საგანძურის ამოღება? ამ დროს მისი მოხელეები ყვირილით ნიანგებს ტბის ერთი სანაპიროდან მეორესკენ სდევნიდნენ. მყვინთავები სარგებლობდნენ ამ მომენტით და ტბის ფსკერიდან ოქროს იღებდნენ. რა თქმა უნდა, მოხელეების გარდა, არავინ იცოდა, თუ სად ინახავდა მეფე ოქროულობას.

ასეთი ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ისტორიისთვის საერთოდ უცნობია სახელმწიფოთა მეთაურების და სხვა კერძო პირების სეიფების მოდელები და ოქროს შენახვის საიდუმლოებები. ასევე უცნობია, სად და როგორ ინახავდა ოქროს იმ დროისათვის უმდიდრესი იმპერატორი იულიუს კეისარი, რომელიც 1052 ტონა ოქროს ფლობდა. ეს წონა დღევანდელი კურსით 10 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია.

ცივილიზაციამ განძეულის შესანახი სეიფები თუ ტომრები ისტორიას ჩააბარა. დღეისათვის მას თანამედროვე ტექნიკით დაცული ბანკები ინახავენ. ერთი ასეთი ყველაზე უფრო საიმედოდ დაცულია შვეიცარიის ბანკი, რომელიც სპეციალიზებულია კერძო საკუთრების, მათ შორის ოქროს შენახვაზე. ამასთან, იგი იძლევა გარანტიას განძის საიდუმლოებაზე.

ცნობილია აგრეთვე მსოფლიოში უმდიდრესი სახელმწიფო ოქროს საცავი, რომელიც აშშ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქ ლუისვილის სიახლოვეს, კენტუკისა და ინდიანას შტატების საზღვარზე მდებარეობს. ნაგებობა შემოღობილია ეკლიანი მავთულით, რომელშიც მუდმივად გადის 500-ვოლტიანი ელექტრომაბვა. მისასვლელთან განლაგებულია ცხრა სათვალთვალო კოშკი, რომლებიც აღჭურვილნი არიან რადიო და ელექტრონული სიგნალიზაციით, სამეთვალყურეო სისტემით, იარაღით, მათ შორის ავტომატური დასამიზნებელი მოწყობილობებით. გარკვეულ მანძილზე ნებისმიერი საგანი ავტომატურად და ავტონომიურად ჩაიძირება წყალში და წამებში გაივსება მომწამვლელი გაზით. მთავარ სექტორში შესასვლელი ფოლადის კარის სისქე 1 მეტრია და იწონის 20 ტონას. ამ უნიკალურ ნაკეთობაზე დღემდე თავდასხმა არ მომხდარა.

ამის ფონზე, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, ოქროს შესანახად ზოგი დღესაც იყენებს მიწას, წყალს, სეიფებს, „სუნდუკებს", ავტოფარეხებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მუთაქებსაც კი. რა ვიცით, იქნებ ეს უფრო სანდოა?

**მოამზადა ოთარ ხუციშვილმა.**

## მოდა

# ფერადი და... გაშიშვლებული

**ზაფხულის მოდა, უპირველესად, მრავალფეროვნებას გვკარნახობს. ამ სეზონის სამოსი ჭრელი ფერებით დამშვენდება, სწორედ ფერთა სიუხვე შეიტანს არსებით შტრიხს როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ჩაცმულობაში. მხიარული ფერები ასაკოვან ქალბატონებსაც ახალგაზრდულ იერს მიანიჭებს და, ბუნებრივია, ხალისიან განწყობილებასაც შეუქმნის.**

შარშანდელისგან განსხვავებით, მკაცრი სილუეტის უტრირება ზედმეტად ქალურმა და ჰაეროვანმა სილუეტმა შეცვალა, რაც ყველა მანდილოსანმა შეძლებისდაგვარად უნდა დაიცვას. დღევანდელმა მოდელებმა ბოლოს და ბოლოს მკაფიოდ გამოხატული ქალურობა, სინაზე დააბრუნეს.

დღეისათვის აქტუალურია აბრეშუმის, შიფონისა და სხვა თხელი, გამჭვირვალე,



ნაზი ქსოვილის სექსუალური, მაგრამ არავულგარული ყვავილებიანი, ფერადი სარაფანები და კაბები. ამ სტილისაა კოკაისა და მანგოს ბოლო კოლექციებიც.

დიზაინერებს მიაჩნიათ, რომ ფაქიზ ქსოვილს, ფერადი, ნაზი ხელჩანთა და ფეხსაცმელი შეესაბამება, სადაც ხაზგასმულია წლევანდელი მოდის მთავარი შტრიხი – ფერადოვნება და სინაზე. თუ გავითვალისწინებთ კენზოს, გუჩის, დიორის, გალიანოსა და სხვა წამყვანი დიზაინერების ნამუშევრებს, დავინახავთ, რომ ისინი სწორედ ამ ნიუანსებს ითვალისწინებენ.

საქმიანი ქალის სწრაფვა მამაკაცურობისკენ წარსულს ჩაბარდა, დიზაინერებმა ქალი ქალს დაამსგავსეს, 2005 წლის ზაფხულის კოლექციები სწორედ ამის დადასტურებაა.

მოდელიერებმა თავიანთ შემოქმედებაში უხვად გამოიყენეს ნაქარგები, მაქმანები, ელეგანტური მოსართავები. მსოფლიოს პოდიუმებზე დიდი მოწონება დაიმსახურეს ვარდისფერი ტონალობის ნამუშევრებმა – კაბებმა და წინსაფრის მსგავსმა ქვედაბოლოებმა.

ამჯერად, კაროლინა ჰერერამ ელეგანტური, ვიწრო ქვედაბოლოები, ქორსეს პერანგები და საოცრად დახვეწილი, არაკონსერვატორული სტილის პიჯაკები წარმოადგინა.

დამწყებმა დიზაინერმა ალის როიმ ნიუ-იორკის პოდიუმზე რიო-დე-ჟანეიროს შთაგონებით შექმნილი კოსტიუმები შესთავაზა მაყურებელს. ქალები მსუბუქი, გამჭვირვალე კაბებით შემოსა და შესაბამისად, რიოელებისთვის დამახასიათებელი ჭრელი ფერთა გამა გამოიყენა: ღია მწვანე, ფორთოხლისფერი, წითელი, თეთრი. ამ კოლექციით ალის როიმ ქალი ძალიან ნაზი და მაღალი წარმოაჩინა, საღამოს კაბებში კი, ყველა მოდელს მკერდი მაქსიმალურად მოუშიშვლა.

საგულისხმოა ქამარი, რომელიც წლევანდელი საზაფხულო მოდის ერთ-ერთი მთავარი აქსესუარია. იგი მხოლოდ მამაკაცის აუცილებელი ატრიბუტი როდია – თეძოზე ლამაზად მორგებული, ოდნავ დაცურებული იგი ქალსაც უდიდეს მომხიბვლელობასა და მიმზიდველობას ანიჭებს. შიშველი მხრები, მკლავები, ყელი და ღრმა დეკოლტე წლევანდელი საზაფხულო მოდის უმთავრესი შტრიხებია, რაც ქალის სინაზესა და რომანტიკულობას უფრო მეტად გამოხატავს.



მსოფლიო მოდის კანონმდებელთა რჩევები, ბუნებრივია, საყურადღებოა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამ სეზონისთვის გასათვალისწინებელია მთავარი – ჩაიცვათ ის, რაც გიხდებათ...

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: უახლესი საზაფხულო მოდელები.**

## ხსოვნა

# ვლადიმერ ბახუტაშვილი



რამდენიმე დღის წინათ ქ.მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ ბახუტაშვილი.

ვ. ბახუტაშვილი დაიბადა 1931 წლის 23 მარტს ქ. თბილისში, ცნობილი ექიმის, ივანე ბახუტაშვილის ოჯახში. 1955 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1957 წლიდან დაიწყო მისი პროფესიული მოღვაწეობა პრაქტიკოსი ექიმ-ინფექციონისტის თანამდებობაზე. ამ პერიოდში მან შეისწავლა საქართველოში მანამდე ნაკლებად ცნობილი ტოქსოპლაზმოზის და პნევმოცისტოზის ეპიდემიოლოგია და კლინიკა. გამოკვლევის მასალები საფუძვლად დაედო ვ.ბახუტაშვილის საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც მან 1962 წელს დაიცვა. ამის შემდეგ იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ დაავადებათა კათედრაზე, სადაც გაიარა აკადემიური კარიერის ყველა ტრადიციული საფეხური ასისტენტიდან პროფესორამდე. 1967 წელს მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1966 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტში ვ.ბახუტაშვილმა ჩამოაყალიბა ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების განყოფილება, რომელსაც 1972 წლამდე ხელმძღვანელობდა, ხოლო ამის შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის იმუნოლოგიის და ვირუსულ დაავადებათა ქიმიოთერაპიის სექტორის გამგე გახდა.

1978 წლიდან ვ. ბახუტაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მუშაობდა, ჯერ ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში ბიოტექნოლოგიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1980 წლიდან ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ექსპერიმენტების ციკლი, რომლის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფეტალური მედიცინისათვის. მიღებული იქნა საინტერესო მასალები ვირუსული ინფექციების მიმდინარეობაზე იმუნოდეპრესიის გავლენის შესახებ.

მეცნიერული კვლევის ლოგიკამ იგი ბიოტექნოლოგიასთან მიიყვანა. ამის შედეგად 1991 წელს ვ. ბახუტაშვილის თაოსნობით მეცნიერებათა აკადემიის სისტემას შეემატა ახალი ერთეული – სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი.

ვ. ბახუტაშვილის მეცნიერული ინტერესები სხვადასხვა დროს მოიცავდა კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ისეთ დარგებს, როგორებიც არის ინფექტოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია და იმუნორეაბილიტაცია, სამედიცინო ბიოტექნოლოგია. მან მოამზადა ამ დარგის მრავალი სპეციალისტი. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით დაცულია 50-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი მონაწილეობდა ყვავილის ვაქცინის ახალი შტამების გამოცდასა და მათი შედარებითი ეფექტიანობის შემოწმებაში. მისი ხელმძღვანელობით გამოკვლეულია შერეული ვირუსულ-ბაქტერიული ინფექციების პათოგენეზი უჯრედისა და ორგანოს კულტურების დონეზე და გნოტობიონტ ცხოველებში.

ვ. ბახუტაშვილმა თანამშრომლებთან ერთად ადამიანის პლაცენტიდან შექმნა ოთხი პრეპარატი: პლაფერონი (პლაცენტური ინტერფერონი), პლაფერონი ლბ (იმუნომოდულატორი), ამა (აპოპტოზის ამნიოტური მოდულატორი), რბ (პეპტიდინი, ანტიიშემიური პრეპარატი), რითაც, ფაქტობრივად, დასაბამი მისცა საქართველოში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის განვითარებას.

უკანასკნელ წლებში ვ. ბახუტაშვილი ხელმძღვანელობდა საერთაშორისო პროექტს „პლაცენტიდან გამოყოფილი ფიზიოლოგიურად აქტიური პეპტიდების სეკვენირება და მათი ფარმაკოლოგიური თვისებების შესწავლა", რომლის რეალიზაციაში მონაწილეობენ სამეცნიერო ჯგუფები იტალიიდან, ბელგიიდან და აშშ-დან.

ვ.ბახუტაშვილის მეცნიერული კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი ნაშრომის სახით (მათ შორის 5 მონოგრაფიაა).

ვ. ბახუტაშვილი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის წევრი და მთავარი ვირუსოლოგი, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი, რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის თანარედაქტორი, რიგი უცხოური აკადემიების საპატიო წევრი, მრავალი ეროვნული, რეგიონული თუ საერთაშორისო კონფერენციისა და ყრილობის ორგანიზატორი.

იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით (სსრკ), ღირსების ორდენით, აკად. ნ. ვავილოვის სახელობის მედლით.

ლადო ბახუტაშვილი, როგორც მეცნიერი, ხელმძღვანელი, დირექტორი, მშვენიერი დიდი ოჯახის მამა, დააკლდება ქართულ მედიცინას, სამეცნიერო საზოგადოებრიობას, თავის გამოზრდილ მოწაფეებსა და თანამშრომლებს, ინსტიტუტს, რომელზეც საკუთარი ოჯახივით ზრუნავდა. მას რამდენიმე საინტერესო მსხვილი პროექტი ჰქონდა წამოწყებული. იმედია, ამ პროექტებს მისი ორი ვაჟი, იმუნოლოგები – ივანე და ალექსანდრე და მოწაფეები შეასხამენ ხორცს.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი თ. გამყრელიძე, გ. თევზაძე, ფ. თოდუა, გ. ხარატიშვილი, ო. ნათიშვილი, ე. გამყრელიძე, გ. გველესიანი, გ. კვარაცხელია, გ. კვესიტაძე, ჯ. ლომინაძე, რ. მეტრეველი, თ. ონიანი, მ. სალუქვაძე, გ. ხარაძე, თ. იოსელიანი, კ. ნადარეიშვილი, ვ. ოკუჯავა, რ. სეფიაშვილი, ნ. ყიფშიძე, მ. ხანანაშვილი, ს. ხეჩინაშვილი, ა. ასათიანი, გ. იოსელიანი, თ. დეკანოსიძე, ლ. მანაგაძე, ზ. კორსანტია, ნიკ. ყიფშიძე, ნ. კიკნაძე, ზ. უკლება.**

## ამინდი

| 19 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 32° | 18° |
| ბათუმი | 30° | 17° |
| თელავი | 33° | 16° |
| სოხუმი | 33° | 17° |
| ქუთაისი | 31° | 16° |

## ლარის კურსი

**18 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.2868 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8175 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2050 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0636 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3835 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.3984 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6205 ლ. |

ბიძაშვილები მურთაზ, ჯიმი, ლალი, მზია მიქელაძეები, მამიდაშვილები ლამარა აბესალაშვილი, ვანო, ანზორ, ბორის ცაგარეიშვილები, რამაზ კანდელაკი, რუსიკო ზაალიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თემურ ვლადიმერის ძე მიქელაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 19, 20 VI, 17 სთ. გამოსვენება 21 VI, 15 სთ. მისამართი: ჩოლოყაშვილის ქუჩა, კორპუსი 3 ა, I სადარბაზო, I სართული.

შპს „№ 1 ქალთა კონსულტაციის" თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი

გულიკო სარალიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

და ცისანა ღვინერია, დისწულები მირიან ძველაია, გია, მიშიკო რუხაძეები, რძლები ნინო მახარაძე, ნუნუ შუბლაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენერა გიორგის ასული ღვინერია

პანაშვიდი 19, 20 VI, 17 სთ. დაკრძალვა 21 VI, 15 სთ. ა. ყაზბეგის გამზირი № 13, II სადარბაზო, I სართული, ბინა 15.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK